დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 11 - 17 ნოემბერი

N 47 1565

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



2-3

ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტება პოლიტიკური ჭუჭყისა და ნაგვისაგან საქართველოს გაწმენდას კიდევ უფრო დააჩქარებს!

## ისევ ის ბიჭია, ხუჭუა, პატარა!





8-9

მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუა

# მეორედ ამერიკაში



ამერიკის პრეზიდენტად ტრამპის მეორედ მოსვლა კოლექტიური ნაცებისათვის ნამდვილი პოლიტიკური აპოკალიფსია!

„მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს, რომელმაც „ასავალ-დასავალისა“ და მამუკა ხაზარაძის დავა განიხილა, მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკიდან“ სესხის სახით 37 ათასი დოლარი ჰქონდა გამოტანილი და ხაზარაძეს როგორ გაამტყუნებდა?“




4-6





„ხაზარაძეს ეს მოსამართლეები საქმეს როგორ წააგებინებდნენ, როცა საქაშვილისგან ხაზარაძეს დავალებული ჰქონდა, რომ მოსამართლეებისთვის სესხი წლიურ 1-2 პროცენტში მიეცა?“

# საიადან სადაო?!

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია











ლიბერალური ბოროტების ერთ-ერთი მთავარი სამჭედლოა!

7

„ამერიკულმა კომპანია „სმარტმატიკმა“, რომლის ტექნიკითაც საქართველოში არჩევნები ჩატარდა, აუცილებლად უნდა უჩივლოს საია-ს, რომელიც მის რეპუტაციას მიზანმიმართულად აზიანებს!“

„დღეს სამხრეთ კორეაში 54 ქართველი იმყოფება და აქედან 52 კაცმა ოპოზიციას მისცა ხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას თვით საელჩოს თანამშრომლებმაც კი არ დაუჭირეს მხარი!“




10

# რუკა ვერ გაამალეენ!

14

***რა ახსნა უნდა, რომ წინამდებარე წერილის სათაური — „მეორედ ამერიკაში“ — ალუზიურად ეხმიანება ცნობილი იტალიელი რეჟისორის სერჯო ლეონეს საკულტო ფილმის სახელწოდებას — „ერთხელ ამერიკაში“, თუმცა ის, რაც 2024 წლის 5 ნოემბერს ამერიკაში მეორედ მოხდა, მხატვრული ფილმი კი არა, ხელშესახები რეალობაა.***

# მეორედ ამერიკაში

დიახ, **2024 წლის 5 ნოემბერს დონალდ ტრამპი** მეორედ გახდა ამერიკის პრეზიდენტი და თანაც, არჩევნებში იმაზე უფრო დამაჯერებლად და შთამბეჭდავად გაიმარჯვა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

მაინც რამ განაპირობა **ტრამპის** ტრიუმფალური გამარჯვება მაშინ, როცა წინასაარჩევნო სოციოლოგიური კვლევები აჩვენებდნენ, რომ მას და დემოკრატიული პარტიის კანდიდატ **კამალა ჰარისს,** ფაქტობრივად, თანაბარი რეიტინგი ჰქონდათ, რის გამოც მთელი მსოფლიო აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში უდიძაბულეს ბრძოლას მოელოდა?

**ეტყობა, წინასაარჩევნო სოციოლოგიური კვლევები ამერიკაშიც ისევე არასანდო და მანიპულაციურია, როგორც საქართველოში, სადაც „ენდიაი“, „აირაი“ და „ედისონ რისერჩი“ ნაცოპოზიციის რეიტინგს ჰელიუმის ბუშტივით ბერავენ და მიუნჰაუზენურ ეგზიტპოლებს აქვეყნებენ.**

თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ **ბაიდენ-ჰარისის ნეოლიბერალური მმართველობის** მთელი სიმახინჯე და მავნებლობა ამერიკელი ხალხის უმრავლესობას იმაზე მწარედ ჰქონია ყელში გაჩხერილი, ვიდრე ეს ამერიკის გარეთ ჩანდა და იგრძნობოდა.

სწორედ ამიტომ მოიპოვა არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება **დონალდ ტრამპმა,** რომელიც ამერიკელ ხალხს მშვიდობას, ეკონომიკურ აღმავლობას, ლგბტ ნარატივების წინააღმდეგ ბრძოლასა და ოჯახური ღირებულებების დაცვას დაჰპირდა!

სწორედ ამიტომ არ აირჩია ამერიკელმა ხალხმა **ლგბტ აქტივისტი კამალა ჰარისი,** რომლის მთელი წინასაარჩევნო პროგრამა, აგიტაცია და პროპაგანდა ამერიკელი ქალებისათვის აბორტის უფლების დაკანონებაზე იყო აგებული!

მოკლედ, **ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის ხელმეორედ გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ამერიკის სულს ტრანსგენდერები კი არ განასახიერებენ, როგორც ამას ჯო ბაიდენი აცხადებდა, არამედ ამერიკის სულის გამოხატულებას მშრომელი, პურიტანი, მორწმუნე, კონსერვატიული ღირებულებების ერთგული და ნეოლიბერალურ სიბილწეთა უარმყოფელი ამერიკელი ხალხი წარმოადგენს!**

რა გავლენას მოახდენს ამღვრეულ მსოფლიო პოლიტიკაზე და რა შეიცვლება ტრამპის ტრიუმფალური დაბრუნებით კონკრეტულად საქართველოსთვის, ამას 2025 წლის 20 იანვრის შემდეგ ვნახავთ, როცა აშშ-ის 47-ე პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგება, დღეისათვის კი დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ **წყალწაღებულ ქართულ ოპოზიციას ტრამპის გაპრეზიდენტება ისე წამოეწია, როგორც აღმართში მიმავალ გაჭირვებულ კაცს — ზურგში ნასროლი ქვა!**

აქ მარტო იმას არ ვგულისხმობთ, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულ და თბილისის ქუჩებში ფაღარათიანი თხების არვესავით მორბენალ კოლექტიურ ნაცებს **ბლინკენების, მილერების, რიშებისა და შაჰინების** სახით, უკანასკნელი იმედიც გამოეცალათ ხელიდან!

ყოველივე ამასთან ერთად, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის ფაქტორი, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობა პირადად **დონალდ ტრამპის** მაგინებლებითა და მის შესახებ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ავტორებით არის გაძეძგილი. მაგალითად, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასული ოპოზიციური ძალის ლიდერი **ნიკა გვარამია** 2020 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში **დონალდ ტრამპის** დამარცხების გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა და იმხანად ჯერ ისევ ნაცბანდის ოკუპაციის ქვეშ მყოფი „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში აცხადებდა (სტილი დაცულია. რედ.):

> *„არსებობს ყალბი ამერიკაც — ეს **დონალდ ტრამპია.** მსოფლიო მასხარას ეძახდნენ წლების განმავლობაში, მაგრამ ეს კლოუნი **ბოროტი კლოუნი** აღმოჩნდა, ძალიან საშიში. ძალიან მიხარია **ბაიდენის** გამარჯვება, არ დავმალავ, 2020 წელს ყველაზე სასიხარულო, ალბათ, ეს იყო, მაგრამ **კიდევ უფრო მეტად მიხარია ტრამპის წასვლა.** ჩემი ქვეყანა არასდროს ყოფილა ისეთი რუსული, როგორიც ტრამპის დროს. **ყველაზე სუსტი პრეზიდენტი ამ მხრივ, რუსეთთან ყველაზე უფრო კარგ ურთიერთობებში მყოფი, საქართველოს, პრაქტიკულად, რუსეთისთვის გადამცემი პრეზიდენტი უკვე შეიცვალა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაიდენია პრეზიდენტი.** ამერიკის შეერთებული შტატები ამბობს უკვე იმას, რომ გაკოტრებული ოლიგარქის პრეზიდენტად არჩევა არ იყო ყველაზე კარგი ნაწილი აშშ-ის ისტორიის“.*



დონალდ ტრამპს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტი პირველად 2016 წელს გახდა, სააკაშვილისათვის ჯერ კიდევ 2013 წელს უკითხავს — კენჭი მეორედაც ხომ არ ვიყაროთ?

## 2016: ტრამპის პირველი მოსვლა!

## კოლექტიურ ნაცებს ბლინკენების, მილერების, რიშებისა და შაჰინების სახით, უკანასკნელი იმედიც გამოეცალათ ხელიდან!

და აი, **დონალდ ტრამპი,** რომელსაც გვარამია 4 წლის წინათ **„ყალბ ამერიკას“, „ბოროტ კლოუნს“, „რუსეთუმესა“ და „გაკოტრებულ ოლიგარქს“** ეძახდა, დღეს ისევ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია!

საინტერესოა, შეატრიალებს თუ არა ფირფიტას **გვარამია** და შეუდგება თუ არა **ტრამპისათვის** ხოტბის შესხმას ისევე, როგორც ახლა აქებს და ადიდებს მის მიერვე **„რეზიდენტ ყ...ქალად“** (ცენზურა აქ და ყველგან ჩვენია. რედ.) შერაცხილ **სალომე ზურაბიშვილს?**

თუმცა, **ტრამპი** ტრამპია და არა — **სალომე ზურაბიშვილი,** რომელმაც მისთვის **„რეზიდენტი ყ...ქალას“** დამრქმევი გვარამია შეიწყალა... მითუმეტეს, რომ ამერიკის პრეზიდენტები ქათმებს კი არა, ინდაურებს იწყალებენ!

სხვათაშორის, გვარამიას მიერ **„რეზიდენტ ყ...ქალად“** წოდებულმა **სალომე ზურაბიშვილმა,** რომელიც საქართველოში ახლახან ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, სოციალურ ქსელ „იქსში“ გა-

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

უახლოეს მომავალში შეჯამდება არჩევნების შედეგები ცესკო-ს მიერ. **ამის შემდეგ ძალიან მალე შედგება პარლამენტის პირველი შეკრება, თვის ბოლოსთვის გაიმართება პარლამენტის პირველი სხდომა,** რამდენიმე დღეში ჩამოყალიბდება მთავრობის შემადგენლობა.

„ინტერპრესნიუსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — **ოპოზიცია ხვალ-ზეგ „შემოლაგდება“ პარლამენტში.** ქვეყანაში ვერასდროს დაბრუნდება ის დრო, როდესაც ხელისუფლებას გარედან ნიშნავდნენ.

„აიპრესი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ცესკოსგან შემაჯამებელი ოქმის მიღების მერე, **არაუგვიანეს მეათე დღისა,** პარლამენტი უნდა შეიკრიბოს. **თუ პრეზიდენტი არ მოიწვევს პარლამენტს,** თავად პარლამენტია ვალდებული, რომ შეიკრიბოს.

ის პარასკევები, რომელიც **სალომე ზურაბიშვილს** დარჩენილი აქვს ამ თანამდებობაზე, სულ უფრო მცირდება. მშვიდად უნდა მივიყვანოთ ეს საკითხი ბოლომდე და **ღირსეული ახალი პრეზიდენტი ავირჩიოთ.**

**როგორი გაღიმებულიც დავტოვეთ ოპოზიცია** 2020, 2021, 2022 წლებში, ასევე გაღიმებული დარჩებიან იმ გადაწყვეტილებებით, რომელსაც პარლამენტი მიიღებს — **იდგნენ და იმარჩიელონ, შევუწყვეტთ თუ არა მანდატს.**

„რეზონანსი“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

ადგილი აქვს გარკვეული ამოცანის შესრულებას, რათა გეგმა ბოლომდე მიიყვანონ — **ეს არის დესტაბილიზაცია, სახელმწიფოს გადატრიალების ორგანიზება, რევოლუციური პროცესების განვითარება** და ხელისუფლებაში მოსვლა.

„რეზონანსი“

# ამერიკის პრეზიდენტად ტრამპის მეორედ მოსვლა კოლექტიური ნაცებისათვის ნამდვილი პოლიტიკური აპოკალიფსია!

# 2024: ტრამპის მეორედ მოსვლა!




## ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტება და თეთრ სახლში ტრიუმფით დაბრუნება კოლექტიურ ნაცმოძრაობად წოდებული პოლიტიკური ჭუჭყისა და ნაგვისაგან საქართველოს გაწმენდას კიდევ უფრო დააჩქარებს!

მოქვეყნებული პოსტით **დონალდ ტრამპს** ხელმეორედ გაპრეზიდენტება უმალ მიულოცა, არადა, 2016 წელს, როცა **ტრამპი** პირველად გახდა პრეზიდენტი, იგივე **სალომე ზურაბიშვილი** „ფეისბუქში“ წერდა (სტილი დაცულია. რედ.):

> ***„ტრამპის გამარჯვება მსოფლიოსთვის შესაძლოა უფრო მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს: რუსეთის და, კერძოდ, პუტინის მიმართ გამოცხადებული სიმპათიები და აგრესიის შემთხვევაში ჩამოუყალიბებელი პოზიცია, ნატო და ევროპის მიმართ საკმაოდ ბუნდოვანი ხედვები... იმიგრანტების მიმართ მკაცრი ზომების დაწესება და ქსენოფობიური განცხადებები... მისი პოპულისტური და სრულიად გაუთვლადი რეაქციები კრიზისულ სიტუაციებში“.***

**ზურაბიშვილს,** რომელმაც მისი **„რეზიდენტ ყ...ქალად“** მომნათლავი გვარამია არამხოლოდ შეიწყალა, არამედ პოლიტიკურ პარტნიორადაც გაიხადა, ცხადია, არც იმის რცხვენია, რომ ხელმეორედ გაპრეზიდენტება მიულოცოს ტრამპს, რომელსაც პირველად გაპრეზიდენტების შემდეგ ქსენოფობსა და პოპულისტს ეძახდა.

აშშ-ის პრეზიდენტად **ტრამპის** მეორედ მოსვლას ოპერატიულად გამოეხმაურა ჯერ ისევ კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე მსჯავრდებული **სააკაშვილიც,** რომელმაც თავის ფეისბუქ-გვერდზე ასეთი პოსტი გამოაქვეყნა **(სტილი დაცულია. რედ.):**

> *„2013 წელს, უკვე პრეზიდენტობის შემდეგ, ნიუ-იორკში ვიყავი, როცა* ***მაიკლ კოენმა*** *დამირეკა და მითხრა, შენთან* ***დონალდს*** *სურს დალაპარაკებაო და გადასცა მას ყურმილი. მკითხა, სად ხარო. ვუთხარი, რომ ნიუ-იორკში ვიყავი, თუ გინდა, მესტუმრემეთქი. დამპირდა, რომ გამომივლიდა უილიამსბურგში, თანაც მითხრა —* ***რას ფიქრობ, მიშა, პრეზიდენტად ხელახლა კენჭი რომ ვიყაროო?*** *ვუპასუხე: ხომ იცი, ამის შესახებ ჩემი აზრი, ადრეც ბევრჯერ გვისაუბრია, რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ ძალიან მაგარი შანსები გაქვს-თქო. ცოტა იხტიბარგატეხილმა მიპასუხა: რა ვიცი, ჩემ გარშემო არავის არ სჯერა, რომ მაქვს შანსები. გავამხნევე, არ დაუჯერო-მეთქი. და მერე* ***მაიკლს*** *გადაულაპარაკა — ხომ ხედავ, ხომ გეუბნებოდი, მიშაც ამბობს, რომ მაქვს შანსებიო“.*

**გესმით?**

**დონალდ ტრამპს,** რომელიც აშშ-ის პრეზიდენტი პირველად 2016 წელს გახდა, სააკაშვილისათვის ჯერ კიდევ 2013 წელს უკითხავს — **კენჭი მეორედაც ხომ არ ვიყაროო?**

ყოველმხრივ დამტკიცებული ამბავია, რომ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ქართველი და უცხოელი ექიმები 2 წლის წინათ ურცხვად იტყუებოდნენ — პაციენტს დემენცია აქვსო, მაგრამ ახლა, მისი ამ განცხადების ფონზე, **ვფიქრობთ, სააკაშვილი მართლაც დემენციაზეა გამოსაკვლევი ან კიდევ ფსიქიატრი სჭირდება, რომელიც მის ბოდვებში კვალიფიციურად გაერკვევა.**

თუმცა, მთავარი ის არის, რომ **სააკაშვილი,** რომელიც ახლა ცდილობს, **ტრამპს** „ერთ ადგილას“ უსაპნოდ შეუძვრეს, 2020 წელს აცხადებდა:

> ***„ტრამპს მაინც რაღაც ოლიგარქიული ინსტინქტები აქვს, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დააყენა თავისი პირადი ინტერესები იმიტომ, რომ ასეთი არის ოლიგარქის ბუნება. ყველამ იცის, რომ ივანიშვილი აფინანსებდა ტრამპს მისი სიძის — კუშნერის მეშვეობით და ამაზე აუცილებლად იქნება ახლა გამოძიება ამერიკაში“.***

ერთი წამით ჩავთვალოთ, რომ სააკაშვილი დემენციურად არ ბოდავს და 2020 წელს **ბიძინა ივანიშვილი** მართლა აფინანსებდა **დონალდ ტრამპის** საარჩევნო კამპანიას... მაშ, გამოდის, რომ ახლა, როცა კოლექტიურ ნაცმოძრაობას ივანიშვილის ხელისუფლების დასამხობად ამერიკის დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება, ამერიკის პრეზიდენტი მეორედ გახდა კაცი, რომელსაც ივანიშვილი ფინანსურად ეხმარებოდა.

**ეს ხომ ნაცსექტის საბოლოოდ დასამარებას ნიშნავს?!**

**ჰოდა, პოლიტიკურ სამარეში დასამიწებლად გახაზირებული ნაცსექტის ერთ-ერთი სახე სალომე სამადაშვილი, რომელიც ადრე სააკაშვილის პარტიაში იყო, ახლა კი ხაზარაძის პარტიაში აქვს ცხვირი შეყოფილი, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის დამარცხებით ხარობდა და აცხადებდა:**

> *„დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ ომში ტრამპი პუტინის უზარმაზარი გამარჯვება იყო. რაც ვერ გაითვალისწინა რუსეთმა და რატომ დასრულდა საბოლოოდ ფიასკოთი მისი ეს პოლიტიკური პროექტი, არის ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ უძლიერესი სახელმწიფო ინსტიტუტები“.*

**ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი თავმჯდომარე თინა ბოკუჩავა 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის დამარცხების შემდეგ სოციალურ ქსელში წერდა:**

> *„ჯო ბაიდენი არის აშშ-ის შემდეგი პრეზიდენტი, მსოფლიო უბრუნდება კანონზომიერებას“.*

ყოფილი ნაცდეპუტატი **რომან გოცირიძე,** რომელიც თავისივე პარტიამ ჩამოწერა და 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის სიაში არ ჩაწერა, ამერიკის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩეული **დონალდ ტრამპის** შესახებ ოთხი წლის წინათ აცხადებდა:

> ***„ტრამპი დემოკრატიის ის შეცდომაა, რომელიც ხდება ხოლმე“.***

გიორგი, იგივე **ჟიჟე-ჟუჟუ ვაშაძის** სამკაციანი პარტიის სამში ერთი წევრი **სერგო ჩიხლაძე** 2020 წელს ამბობდა:

> ***„არ უნდა დავუშვათ ხელისუფლებაში ოდიოზური და გაუწონასწორებელი პიროვნებები, როგორიც, სამწუხაროდ, ბატონი ტრამპი აღმოჩნდა“.***

როცა კოლექტიური ნაცსექტის წარმომადგენლები **დონალდ ტრამპს** ასე ხელაღებით ლანძღავდნენ და შეურაცხყოფდნენ, ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ იგი კვლავ ამერიკის პრეზიდენტი გახდებოდა და თანაც, რა დროს — ნაცსექტისათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, **როცა მათი პოლიტიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.**

თუმცა, ფაქტი ჯიუტია — **დონალდ ტრამპი,** რომელსაც კოლექტიური ნაცსექტის ლიდერები **„ბოროტ კლოუნს“, „რუსეთუმეს“, „გაკოტრებულ ოლიგარქს“, „ქსენოფობს“, „პოპულისტს“, „ოდიოზურსა“ და „გაუწონასწორებელს“** ეძახდნენ, ამერიკის სათავეში მეორედ მოვიდა!

**ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტება და თეთრ სახლში ტრიუმფით დაბრუნება კოლექტიურ ნაცმოძრაობად წოდებული პოლიტიკური ჭუჭყისა და ნაგვისაგან საქართველოს გაწმენდას კიდევ უფრო დააჩქარებს!**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის პრეზიდენტად **ტრამპის** მეორედ მოსვლა კოლექტიური ნაცებისათვის ნამდვილი პოლიტიკური აპოკალიფსია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი*



მე არ ვაპირებ **ომების დაწყებას** — მე **ომების დასრულებას** ვაპირებ.

„იმედინიუსი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



არ შეიძლება, ქვეყანა **გიყვარდეს მხოლოდ მაშინ,** როდესაც იმარჯვებ, მეზობელი **გიყვარდეს მხოლოდ მაშინ,** როდესაც ეთანხმები, დაინახეთ ერთმანეთში თანამემამულე ამერიკელები, **დაუწიეთ ტემპერატურას.**

„პირველი არხი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ეს ოპოზიცია **რევოლუციას ვერ მოაწყობს.** ოპოზიციონერი პოლიტიკოსების უმეტესობა, მერწმუნეთ, ჩემზე და თქვენზე გაცილებით უკეთ ცხოვრობს და **ჩვენ არ უნდა ვინერვიულოთ მათზე.** ცუდი ის არის, რომ **საკუთარი თავის პოლიტიკური დასამარებით** ამ ქვეყანაში დემოკრატიას ასუსტებენ!

„ახალი თაობა“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



ნაცმოძრაობა **უნდა გასამართლდეს მრავალი მიზეზის გამო** და ნურავინ გვეტყვის, რომ ეს დემოკრატია არ არის.

„ინტერპრესნიუსი“

**პაველ კოვალი**
*პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე*



საქართველო **ერთ-ერთი ყველაზე პროევროპული** ქვეყანაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“



# ლაზარე ჟორბენაძე:

# დარწმუნებული ვარ – რაც მოსამართლე ხუჭუამ თეთრიწყაროსა და წალკაში ჩაიდინა, ზურაბ ადეიშვილის მითითების გარეშე არ მომხდარა!




დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–46

***უფლებადამცველი ლაზარე ჟორბენაძე სასამართლო სისტემაში არსებულ უმძიმეს ვითარებას მიმოიხილავს და ბიძინა ივანიშვილს საგანგებოდ აფრთხილებს, რომ დღევანდელი მოსამართლეები აფერისტები, მედროვეები, მლიქვნელები, დამნაშავეები, კომპრომეტირებულები არიან და ერთ მშვენიერ დღეს ისეთ საშინელებას იზამენ, რომ ქვეყანას გადაატრიალებენ:***

— პირველ რიგში, ამერიკას, საქართველოს და მთელ მსოფლიოს ვულოცავ **დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას!** დღეს მისი გამარჯვება დიდი შვება ჩვენი პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც მსოფლიო გეი-მაფია უტევს, მაგრამ საბოლოოდ საქართველოს ბედი მაინც ქართველი კაცის ღირსებასა და თავმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება **ნაცმოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას,** რომელმაც წინა კვირას თეთრიწყაროსა და წალკაში 30 ელექტრონული საარჩევნო უბნის შედეგები გააბათილა, იგი ადეიშვილის დროს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის **ზაზა ქაჩიბაიას** მოადგილე იყო და ყველა იმ სიბინძურეში აქვს მონაწილეობა მიღებული, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა. **ასეთი წარსულის მქონე კაცს რომ მოსამართლედ დანიშნავს, იმ ხელისუფლებას კარგი რომ არ დაემართება, ცხადია!**

## „ასეთი წარსულის მქონე კაცს რომ მოსამართლედ დანიშნავს, იმ ხელისუფლებას კარგი რომ არ დაემართება, ცხადია!“

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ იმან გადაარჩინა, რომ ქართველი ხალხი მასობრივად გამოვიდა და ბატონ ბიძინას კიდევ ერთხელ ენდო. სწორედ ამის შედეგია მმართველი პარტიის დიდი უპირატესობით გამარჯვება, თორემ ასე რომ არ მომხდარიყო და სხვაობა „ქართულ ოცნებასა“ და მეორე ადგილზე გასულ ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიას შორის მცირე ყოფილიყო, თქვენ დაინახავდით, **ეს მოსამართლეები, რომლებიც დღეს ვითომდა ხელისუფლებას უჭერენ მხარს, მაქსიმუმ, ორ**

> **„ვალერი ცერცვაძეს 120 ათასი დოლარი ჰქონდა მამუკა ხაზარაძისგან სესხის სახით აღებული, ხოლო ლევან მურუსიძეს — 100 ათასი დოლარი. ეს იყო არა ყოველთვიური, არამედ წლიური და თან 1 და 2-პროცენტიანი სესხები!“**

**კვირაში გადახტებოდნენ ნაცების მხარეს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში!**

წინა კვირას თუ ერთმა მოსამართლემ — **ვლადიმერ ხუჭუამ** სცადა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, ჩემ მიერ დახატული სურათის შემთხვევაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელი სასამართლო კორპუსი მიიღებდა ქვეყნის დაქცევაში მონაწილეობას, რადგან **დღევანდელი მოსამართლეები, რომლებიც ციხეში უნდა გაეშვათ და ვერ გაუშვეს, სააკაშვილზე უფრო დიდი ნაცები არიან!** იმ სიგიჟისთვის, რაც ნაცმოსამართლე **ვლადიმერ ხუჭუამ** ჩაიდინა, სააპელაციო სასამართლოს იურიდიული საფუძველი რომ მიეცა, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყებოდა!

**— მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ მოსამართლეები თავფეხიანად ნაცში არიან? სხვათაშორის, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ცამდე მართალი ვიყავით, „ასავალ-დასავალმა“ მამუკა ხაზარაძესთან სასამართლო დავაში ვერაფერი გააწყო და კაცი, რომელიც 1989 წლის 18 თებერვალს სულმნათ მერაბ კოსტავას კომკავშირელ ზონდერებთან ერთად სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა და ეროვნული მოძრაობის მიტინგს არბევდა, გაამართლეს!**

— ვინ იყო თქვენი მოსამართლე?

**— საქალაქო სასამართლოში — თამაზ ურთმელიძე, ხოლო აპელაციაში — ქეთევან მესხიშვილი!**

— რომ იცოდეთ, დღევანდელი მოსამართლეების გურუ — **ლევან მურუსიძე** ჩემი ძმის თანაშემწე იყო... **მთელი ხუთი წლის განმავლობაში ეს მოსამართლეები ჩემთან ერთად ჭამდნენ, სვამდნენ და ჩემზე უკეთ მაგათ არავინ იცნობს.** ესენი იმდენად ღრმად და დანაშაულებრივად არიან დაკავშირებული ნაცმოძრაობასთან, რომ მონურად ასრულებდნენ სააკაშვილისა და ადეიშვილის დავალებებს. არსებობდა ასეთი დოკუმენტი — ე.წ. **„ჰაიდლაინი სასამართლო სისტემისთვის“,** რომელიც **ადეიშვილის დავალებით** ჩემმა ძმამ დაწერა. იქ პირდაპირ ეწერა, რა დანაშაულისთვის რამდენი წელი უნდა მიესაჯათ და განაჩენში რა უნდა ჩაეწერათ. მოსამართლეებიც წერტილ-მძიმის გამოტოვების გარეშე იწერდნენ ამ განაჩენებს და აუბედურებდნენ ათასობით ადამიანს... **ე.წ. „ჰაიდლაინი“ შეიმუშავეს იმისათვის, რათა ხალხი კონვეიერული სისტემით დაეჭირათ და რაც შეიძლება სწრაფად გაესამართლებინათ.** ნაცმოძრაობის დროს ეს მოსამართლეები და სასამართლო ღამითაც კი მუშაობდნენ და მუჭა-მუჭა ყრიდნენ ხალხს ციხეში, მაგრამ **2012 წლის შემდეგ სასამართლო სამოქალაქო და სხვა ტიპის საქმეებს 6-7 წლის განმავლობაშიც კი არ იხილავს, რაც სხვა არაფერია, თუ არა საბოტაჟი.**

სწორედ ეს გადაწერილი განაჩენები მივიტანე პროკურატურაში **არჩილ კბილაშვილთან...** საუბარია ორასამდე განაჩენზე, სადაც ტექსტი სიტყვასიტყვით, წერტილ-მძიმით არის გადაწერილი ე.წ. „ჰაიდლაინიდან“, მხოლოდ სახელები და გვარებია შეცვლილი, მაგრამ, საუბედუროდ, არაფერი შეიცვალა.

რაც შეეხება **მამუკა ხაზარაძესა** და „ასავალ-დასავალს“, მამუკა ხაზარაძეს ეს მოსამართლეები საქმეს როგორ წააგებინებდნენ და „ასავალ-დასავალს“ როგორ გაამარჯვებინებდნენ, როცა სააკაშვილისგან ბანკირს დავალებული ჰქონდა, რომ მოსამართლეებისთვის სესხი წლიურ 1 და, მაქსიმუმ, 2 პროცენტში მიეცა? **ვალერი ცერცვაძეს** 120 ათასი დოლარი ჰქონდა **მამუკა ხაზარაძისგან** სესხის სახით აღებული, ხოლო **ლევან მურუსიძეს** — 100 ათასი დოლარი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს იყო არა ყოველთვიური, არამედ წლიური და თან 1 და 2-პროცენტიანი სესხები. მაგალითად, მოსამართლე **თამაზ**




## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*



**მინდა, მივმართო ჩვენს პრეზიდენტს, ქალბატონებს ოპოზიციიდან** და იმ ადამიანებს, რომლებსაც ქუჩის აქციები უნდათ — რას მოგვცემს ეს აქციები? **ის ხალხი, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა, დამთმობი არ არის. ქართველი ხალხი ამ არჩევნებს არ დათმობს.**

როდემდე უნდა ვიყოთ სხვების ჭკუაზე?

„ინტერპრესნიუსი“

**პავლე კახიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



ამჯერად კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ არაერთხელ ნანახ „კინოს“ — **სანამ ძალიან აცივდება, ქუჩაში გამოეფინებიან,** შემდეგ კი, როდესაც პირველი ხელფასის აღების დრო მოუვათ, **ერთმანეთის მიყოლებით შევლენ პარლამენტში.**

„საერთო გაზეთი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



რეალობა ასეთია — **გაიმარჯვა სახელისუფლებო ძალამ.** სიმართლე გითხრათ, იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, **ხვალ რომ ხელახლა ჩაატარონ არჩევნები,** უფრო მეტი სხვაობით არ მოიგებს ხელისუფლება.

„კვირის პალიტრა“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



ხმის ფარულობის დარღვევის ერთი მტკიცებულება არ არსებობს — **თეთრიწყაროს სასამართლოს მოსამართლე პოლიტიზებული სასამართლოს გადმონაშთი და საკუთარი ოჯახით ნაცმოძრაობის აქტივისტია!**

„ინტერპრესნიუსი“




# „მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის ქორწილში დღევანდელმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სადღეგრძელო ფეხზე წამოდგომით სამჯერ შესვეს!“

# „ეს კეთდება სპეციალურად, რათა ხალხი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე განაწყენდეს!“

**ურთმელიძეს,** რომელმაც „ასავალ-დასავალისა“ და მამუკა ხაზარაძის დავა განიხილა, **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკიდან“** სესხის სახით 37 ათასი დოლარი ჰქონდა გამოტანილი და ხაზარაძეს როგორ გაამტყუნებდა?

**— უფრო დააკონკრეტეთ, მაინც როგორ ემონებოდნენ მოსამართლეები სააკაშვილსა და ადეიშვილს?**

— კონკრეტულ ფაქტს გეტყვით: ჩემი ბიძაშვილი, ცნობილი მოსამართლე **მერაბ ჯორბენაძე** რომ დავაქორწინეთ, 900-კაციანი სუფრა მცხეთაში, რესტორან „სამეფოში“, მე და ჩემმა ძმამ, **ბატონმა ომარ ჯორბენაძემ** გავშალეთ. მთელი სასამართლო სისტემა და პროკურატურა ქორწილში იყო. თამადა გახლდათ ჩემი ძმა, **ბატონი ომარ ჯორბენაძე,** ხოლო თამადის მოადგილე — მე. მოკლედ, ჩემი ბიძაშვილის, მოსამართლე **მერაბ ჯორბენაძის** ქორწილში დღევანდელმა მოსამართლეებმა და პროკურორებმა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის სადღეგრძელო ფეხზე წამოდგომით სამჯერ შესვეს!

**— თქვენ და თქვენმა ძმამ თუ ადღეგრძელეთ სააკაშვილი და ადეიშვილი, ესენიც დალევდნენ. აბა, რას იზამდნენ?!**

— (იცინის) სადღეგრძელო პირადად მე არ მითქვამს, სადღეგრძელო წარმოთქვა **ზურაბ ადეიშვილის** პირადმა მეგობარმა და სასამართლოს მამამ — **ბატონმა ომარ ჯორბენაძემ,** რომელიც ამავე დროს მაგათი იდეური მამაც იყო! მოკლედ, ერთხელ **ბატონმა ომარ ჯორბენაძემ** ჰიმნის ფონზე ადღეგრძელა სააკაშვილი და ადეიშვილი, მეორეჯერ კი **ლევან მურუსიძემ** წარმოთქვა სააკაშვილისა და ადეიშვილის სადღეგრძელო, ხოლო მესამედ — **ვალერი ცერცვაძემ.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაფრთხილებ **ბიძინა ივანიშვილს:** ეს მოსამართლეები არიან აფერისტები, მედროვეები, მლიქვნელები, დამნაშავეები, კომპრომეტირებულები და ერთ მშვენიერ დღეს ისეთ საშინელებას იზამენ, ქვეყანას გადაატრიალებენ! ახლა მათ მხოლოდ თავშესაფარი და მაღალი ხელფასები სჭირდებათ, რათა არ დაიჭირონ და უზრუნველად იცხოვრონ... ჯერჯერობით ორივე აქვთ.

**— ნაცმოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას, რომელსაც ცოლი ჰყავს ნაცსექტანტი, თელავის მოსამართლემ მამუკა წიკლაურმაც დაიწია ბინა და სოციალურ ქსელში დაწერა — „სიმართლე სინათლეა!“ ანუ მეორე მოსამართლეც მზად არის ქვეყნის გადასატრიალებლად!**

— დავიწყოთ იმით, რომ ხმის მიმცემი ვერიფიკაციის აპარატი საგანგებოდ შევისწავლე და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არჩევნების გაყალბება წარმოუდგენელია! არც ფარულობა დარღვეულა... მოსამართლე **მამუკა წიკლაური** ისევე, როგორც **ვლადიმერ ხუჭუა,** იდეური ნაცია, თან წყეული **ზურაბ ადეიშვილისა** და ქალაქის პროკურორის **გიორგი ღვინიაშვილის** „ლიუბიმჩიკი“. ისინი კლანის წევრები არ არიან, მაგრამ კლანთან დაახლოებული ბრძანდებიან. **მამუკა წიკლაურის** კისერზეა **ნიაზ ჩხვიმიანის** გაუბედურება, რომელსაც მტკიცებულებების გარეშე ნაცმოსამართლე **ქეთევან ლუაშვილმა** სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონის ჯარისკაცი **ნიაზ ჩხვიმიანი** ჟურნალისტი ქალისა და მისი მეგობრის მკვლელობის საქმეზე გაასამართლეს. ნაცპროკურორებმა — **მამუკა წიკლაურმაც, გიორგი ღვინიაშვილმაც და გრიგოლ გიგილაშვილმაც** იცოდნენ, რომ **ჩხვიმიანს** ისინი არ მოუკლავს, მაგრამ იმისათვის, რომ ნამდვილი მკვლელისთვის ხელი დაეფარებინათ და საქმე ჩაეფარცხათ, კაცი სამუდამო პატიმრობისთვის გაწირეს. ნაცპროკურორი **მამუკა წიკლაური** ამ საქმეში შემსრულებელი იყო... ამის შემდეგ ის ნაცებმა მოსამართლე გახადეს და დღემდე ნაცების მონა-მოსამართლედ რჩება. ასეთი ნაცმონები სასამართლოში ბევრია, რაც დიდ საფრთხეს ქმნის... არადა, რომ იცოდეთ, მოსამართლეებს რამოდენა ხელფასები აქვთ, გაგიჟდებით!

**— მაინც?**

— **7 ათასი ლარია** საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ხელფასი, **9 ათასი ლარი** — სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ხელფასი, ხოლო **11 ათასი ლარი** — უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასი. სააპელაციოში კოლეგიის თავმჯდომარეებს აქვთ **10 ათასი ლარი,** ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეების ხელფასი **14-15 ათასი** ლარია... ეს მაშინ, როცა სასამართლოში ზოგიერთ მოსამართლეს 300, 400 ან 700 საქმე აწერია. ამის გამო საქმეები წლების განმავლობაში არ იხილება და, ფაქტობრივად, მართლმსაჯულება ვერ ხორციელდება... 2012 წლის შემდეგ სასამართლო, ფაქტობრივად, ახორციელებს საბოტაჟს, რაც კლანის გარეშე არ ხდება. ეს კეთდება სპეციალურად, რათა ხალხი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე განაწყენდეს.

**— თქვენ ხშირად ახსენებთ სასამართლო კლანს, მაინც ვინ არიან სასამართლო კლანის წევრები?**

— სასამართლო კლანის წევრები არიან **ლევან მურუსიძე, გიორგი მიქაუტაძე, თამარ ზამბახიძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ვასილ მშვენიერაძე, თემურ გოგოხია, დიმიტრი გვრიტიშვილი, ძმები ბონდარენკოები, მაია თეთრაული, გიორგი გოგინაშვილი, ვალერი ცერცვაძე,** დასანქცირებული მოსამართლე **ირაკლი შენგელია...** ესენი არიან ადამიანები, რომლებიც **მიხეილ ჩინჩალაძემ და ვალერი ცერცვაძემ** შიდა ქართლის პროკურატურიდან და სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობიდან წამოკრიფეს... ყველა, ვინც დავასახელე, ჩემი ძმის, **ბატონი ომარ ჯორბენაძის** გამოზრდილია... ამათ გავლილი აქვთ **ადეიშვილის სკოლა** და ამათთვის სამართალი არ არსებობს. ესენი არიან მედროვეები და პირად კომფორტზე გაცვლიან ყველაფერს — სამშობლოს, მშობლებს, ცოლ-შვილს... სააკაშვილის დროს ნულოვანი ტოლერანტობა სწორედ ამ ხალხმა განახორციელა.

**— რატომ ვერ მოიშორა ეს ხალხი „ქართულმა ოცნებამ“?**

— როცა ჩემი მეგობარი **არჩილ კბილაშვილი** გენერალური პროკურორი იყო და ხან აჭარის პროკურორად მნიშნავდა და ხან — თავის პირველ მოადგილედ, მთელი ექვსი თვის განმავლობაში ვეხვეწებოდი, რომ სასამართლოდან — 50 მოსამართლე, ხოლო პროკურატურიდან 80 პროკურორი ჯერ სასწრაფოდ გაეშვა, ხოლო შემდეგ მათ წინააღმდეგ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. **კბილაშვილმა** ამის გაკეთება ვერ გარისკა, რადგან წესიერი კაცია... სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ **ბიძინა ივანიშვილზე** ამერიკელები ახდენდნენ დიდ ზეწოლას, რომლებმაც აამოქმედეს თავიანთი აგენტურა და **თინა ხიდაშელისა და დავით უსუფაშვილის** მეშვეობით, რომლებიც მაშინ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდნენ, მოხდა გარიგება... **ლევან მურუსიძემ,** რომელსაც **გირგვლიანისა და მოლაშვილის** საქმეებზე გამოტანილი განაჩენების გამო დაჭერა ემუქრებოდა, ერთი კაცის დახმარებით, შეკვეთილში ჩააკითხა **ბიძინა ივანიშვილს,** მუხლებზე დაუდგა და ატირდა — **მე კი არ ვჩაგრავდი ხალხს, მაიძულებდნენ, ხალ-**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**„მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს, რომელმაც „ასავალ-დასავალისა“ და მამუკა ხაზარაძის დავა განიხილა, მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკიდან“ სესხის სახით 37 ათასი დოლარი ჰქონდა გამოტანილი და ხაზარაძეს როგორ გაამტყუნებდა?“**


თამაზის – მოკითხვა! მამუკას – სალამი!!!

დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.GE
2015 წლის 16-22 მარტი N11 (1063)

მამუკა ხაზარაძემ საკუთარი პატივი და ღირსება 160 ათას ლარად შეაფასა, „ასავალ-დასავალისათვის“ კი, საკუთარი პატივი და ღირსება ფასდაუდებელია და დედამიწის ზურგზე ჯერ არ მოჭრილა იმდენი ფული, რომელიც ჩვენთვის ამას გადაწონის!

„ასავალ-დასავალის“ ბრძოლა ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძისათვის ნიღბის საბოლოოდ ჩამოსახსნელად გრძელდება!

შესამიზნავი სამეული

P.S

დღეს ორშაბათია და „ასავალ-დასავალი“ მიესალმება მამუკა ხაზარაძეს! კიდევ ბევრი ორშაბათის განმავლობაში მოუვა ჩვენი სალამი ყაჩაღ-ბანკირს! ხაზარაძისათვის ორშაბათი ნამდვილად მძიმე დღეა!

თემის გაგრძელება მე-6-7 გვერდებზე

ჯაბა ხუბუ

**„მამუკა ხაზარაძეს ეს მოსამართლეები საქმეს როგორ წააგებინებდნენ და „ასავალ-დასავალს“ როგორ გაამარჯვებინებდნენ, როცა სააკაშვილისგან ხაზარაძეს დავალებული ჰქონდა, რომ მოსამართლეებისთვის სესხი წლიურ 1 და 2 პროცენტში მიეცა?“**

## კვირგვინოსნები

**რასა იუკნევიჩიენე**
*ევროპარლამენტარი*



**ევროპის კარი იხურება,** მაგრამ ეს თავად ქართველების ხელით ხდება — **იმათი ხელით, ვინც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა.**

„რეზონანსი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**რასა იუკნევიჩიენეს** — ამ გორბაჩოვის პარტია **„ზა პერესტროიკუ“-ს აგიტატორს** რომ ვუსმენ, საბჭოთა ეპოქა მახსენდება, კონდუქტორები რომ გაიძახოდნენ: **ფრთხილად! კარები იხურება! შემდეგი გაჩერება კომუნიზმი!**

„იმედინიუსი“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



ჩვენ თუ ვთანხმდებით, რომ **პარლამენტი, რომელშიც ოპოზიცია არ შევა, არალეგიტიმურია,** მაშინ რისი ეშინიათ? რატომ არ უშვებენ ამ არალეგიტიმურ ხალხს, „ოცნების“ დეპუტატებს, რომ **პარლამენტში შეიკრიბონ და სხდომა ჩაატარონ?**

„რეზონანსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



მინდა, ჩვენს ელჩებს ვუთხრა — **არ მიაქციონ ყურადღება ქალბატონ მავნებელს,** რომელიც რამდენიმე კვირაში აღარ იქნება, **გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



მალე მთელი საქართველო ერთმანეთს მიულოცავს, რომ **ქვეყანას პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი აღარ ეყოლება.**

„ინტერპრესნიუსი“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

**ხი დამეჩაგრა, თორემ დამიჭერდნენო!** ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჰუმანური კაცია, **მურუსიძე** არ გაწირა, შეეცოდა და განაცხადა — **მურუსიძე სისტემის მსხვერპლი** იყოო! ანუ „ქართულ ოცნებას" დღეს უდგას კადრების და მერე ამ კადრების მიერ ყველაფრის კადრების პრობლემა.

სასამართლო სისტემა უნდა გავყოთ სამ ნაწილად: **კარიერისტები,** რომლებიც გადმოხტნენ „ქართული ოცნების" სამსახურში და წარმოადგენენ სასამართლო კლანს. მეორე ნაწილია **კლანთან დაახლოებულები**, რომლებიც კლანის წინაშე თვალთმაქცობენ, რათა თანამდებობები შეინარჩუნონ, ხოლო მესამე ნაწილია **ძალიან მცირე ჯგუფი, რომელიც თავისთავისაა** და არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ ნაძირალა ზურაბ ადეიშვილი, რომელიც თითოეულ მოსამართლეზე ათასობით კომპრომატს ფლობს, ერთ მშვენიერ დღეს ამ კომპრომატებს ააფრიალებს! დარწმუნებული ვარ — რაც **მოსამართლე ხუჯუამ** თეთრიწყაროსა და წალკაში ჩაიდინა, **ზურაბ ადეიშვილის** მითითების გარეშე არ მომხდარა!

**— პრივატულ საუბარში ჩვენ ვახსენეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც სააკაშვილმა გროზნოდან ჩამოასვენა და 2007 წლის 1 აპრილს მთაწმინდაზე დაასაფლავებინა! სააკაშვილს ზვიადი სძულს... საქვეყნოდ ცნობილია მისი ინტერვიუ, რომელიც 1992 წლის იანვარში პოლონურ გაზეთში გამოქვეყნდა და სადაც სააკაშვილი ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს, უფრო მეტიც, „კავკასიის სადამ ჰუსეინს" უწოდებს! რატომ აეტორღიალა სააკაშვილი ზვიადის სახელს?**

— სააკაშვილი საბჭოთა ჯარში გახდა „გრუ"-ს აგენტი... კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს მან და **ლევან ვარშალომიძემ** ჩხუბში კაცი მოკლეს. სააკაშვილის ნაჩხუბარი არ გაიშვა, მაგრამ ფსიქიკურად არამდგრადი, საშინლად აგრესიული და დაუნდობელია. ის მკვლელობის საქმე სააკაშვილის ბიძამ **თემურ ალასანიამ** ჩაფარცხა... **ლევან ვარშალომიძემ** დანაშაული აღიარა და მერე მამამისის ფულების წყალობით დაიძვრინა თავი... **აქვე ვადასტურებ, რომ სააკაშვილი ციხეებში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველ ვიდეომასალებს უყურებდა და ტკბებოდა.**

რაც შეეხება სააკაშვილის მიერ ზვიად გამსახურდიას ნეშტის ჩამოსვენებას, სააკაშვილმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ საქართველოში მხარს არავინ უჭერდა. ამიტომ გადაწყვიტა, ეროვნული მოძრაობის ხალხი კიდევ ერთხელ მოეტყუებინა და მიემხრო. ვინც ფულით მოისყიდა, ხომ მოისყიდა, მაგრამ დანარჩენების მოსამხრობად დადგა სპექტაკლი. საბედნიეროდ, **ცოტნე გამსახურდია** აღმოჩნდა ვაჟკაცი, რომელმაც მამის წმინდა ხსოვნა სააკაშვილს სათამაშოდ და პიარისთვის არ დაანება და კონცერტი ჩაუშალა. ამის გამო **ბოლშიანმა სააკაშვილმა** ცოტნე გამსახურდიას პროვოკაცია მოუწყო, შეაგდო ციხეში, აწამა და გაასამართლებინა კლანის ყველაზე კარგ შემსრულებელს, ჩემს ბიძაშვილს **მერაბ ჯორბენაძეს.** ცოტნე გამსახურდიას განაჩენი არ დაწერილა **მერაბ ჯორბენაძის** ხელით, განაჩენი დაიწერა პროკურატურის მითითებით, ჩემი ძმის, **ბატონი ომარ ჯორბენაძის** კაბინეტში. არც ცხონებული **სულხან მოლაშვილის** განაჩენი დაუწერია **ლევან მურუსიძეს,** განაჩენი დაიწერა **ადეიშვილის დავალებით** და ასევე ჩემი ძმის კაბინეტში. ასე რომ,

**თუ ვინმეს უნდა სამართლიანობის აღდგენა, აგერ ვარ და მივცემ ოფიციალურ ჩვენებას, თუ არა, დაასრულონ ეს მასკარადი!**

ზვიადი იყო და არის დიდი მამულიშვილი და საქართველოს ეროვნული გმირი, ხოლო სააკაშვილი გახლავთ სამშობლოს მოღალატე, გამყიდველი, გარყვნილი და დიდი ეროვნული ვირი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# ლაზარე ჯორბენაძე:

# „ქართულ ოცნებას" დღეს უდგას კადრების და მერე ამ კადრების მიერ ყველაფრის კადრების პრობლემა!







**მიქაუტაძე, ზამბახიძე, მარსაგიშვილი, ჩინჩალაძე, მშვენიერაძე**

**„სასამართლო კლანის წევრები არიან ლევან მურუსიძე, გიორგი მიქაუტაძე, თამარ ზამბახიძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ვასილ მშვენიერაძე, თემურ გოგოხია, დიმიტრი გვრიტიშვილი, ძმები ბონდარენკოები, მაია თეთრაული, გიორგი გოგინაშვილი, ვალერი ცერცვაძე, დასანქცირებული მოსამართლე ირაკლი შენგელია... ამათ გავლილი აქვთ ადეიშვილის სკოლა და ამათთვის სამართალი არ არსებობს!"**







**გოგოხია, გვრიტიშვილი, თეთრაული, გოგინაშვილი, შენგელია**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**მუხტი არ არის, ხალხს ვერ აგროვებენ,** იმიტომ, რომ ხალხმა კიდევ უფრო დაინახა **ამათი ულირსი და გამყიდველი სახეები.** ევროკავშირი არ არის რადიკალური ოპოზიციის ფანჩატური.

„აიპრესი"

**ანდრო გოცირიძე**
*კიბერუსაფრთხოების ექსპერტი*



თუ მმართველ ძალას **ხელისუფლებაში მუდმივად დარჩენა სურს,** არჩევნების გაყალბებას ელექტრონული აპარატების კი არა, **კოსმოსური ტექნოლოგიების პირობებშიც** მოახერხებს.

„კვირის პალიტრა"

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" ლიდერი*



**ნიკა გვარამიას** ინიციატივა არის გზა, როგორ შეიძლება, **სახალხო პროტესტი ჩაკლა კარვებში!**

„რეზონანსი"

**რიშარდ ჩარნეცკი**
*ევროპარლამენტარი*



თუ არ გვინდა, რომ **საქართველო მართლაც რუსეთისკენ შეტრიალდეს,** ზურგი არ უნდა შევაქციოთ.

„რეზონანსი"

**ურსულა ფონ დერ ლაიენი**
*ევროკომისიის პრეზიდენტი*



საქართველოს თუ უნდა, შეინარჩუნოს **სტრატეგიული ორიენტაცია ევროკავშირის მიმართულებით,** ჩვენ გვჭირდება კონკრეტული ქმედებები ხელისუფლების მხრიდან.

„პირველი არხი"

# საიადან სადაო?!

***ის, რასაც ახლა უცხოეთიდან დაფინანსებული და, შესაბამისად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია) აკეთებს, კლასიკური მაგალითია, თუ როგორ უნდა იმოქმედო საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ „სამოქალაქო საზოგადოების“, „დემოკრატიისა“ და „დასავლური ფასეულობების“ შირმით.***



საია-ს ყოფილი თავმჯდომარეები:

დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, ანა დოლიძე, თამარ ჩუგოშვილი, ანა ნაცვლიშვილი

კერძოდ, უცხოეთიდან დაფინანსებულმა და, შესაბამისად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელმა **საია**-მ საკუთარ თავზე აიღო იმ პროცესის ლიდერობა, რომელიც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დისკრედიტაციასა და დელეგიტიმაციას გულისხმობს, საბოლოო მიზნად კი პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად შექმნასა და ქართული სახელმწიფოს ჩამოშლას ისახავს.

**მას შემდეგ,** რაც ყველაზე მთავარმა და ავტორიტეტიანმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ — **ეუთო/ოდირმა** 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულად ცნო და აღიარა, რომ საქართველოს არჩეული ხელისუფლება ჰყავს;

**მას შემდეგ,** რაც 25 000-ზე მეტმა საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ვერ დააფიქსირა არჩევნების გაყალბება ან რაიმე ისეთი დარღვევა, რაც არჩევნების შედეგებზე მოახდენდა გავლენას;

**მას შემდეგ,** რაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) მიერ დაფინანსებული და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების პარალელური დათვლის გამყალბებელი არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისფედიც“** კი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მისი პარალელური დათვლის შედეგები ზუსტად ემთხვევა ცესკო-ს ოფიციალურ შედეგებს;

**მას შემდეგ,** რაც არჩევნებში მონაწილე ოთხი მთავარი ოპოზიციური ცენტრის წარმომადგენლებმა ვერც ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ვერც გენერალურ პროკურატურაში ვერ წარადგინეს ვერცერთი რეალური მტკიცებულება, რომლითაც არჩევნების გაყალბება დადასტურდებოდა;

**მოკლედ, ყოველივე იმის შემდეგ,** რაც კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ არამხოლოდ არჩევნებში, არამედ არჩევნების შემდეგაც, უკაცრავული პასუხია, კაპიტალურად ჩაისვარა, უცხოელმა პატრონებმა წინა პლანზე

## საია-ს ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი მავნებლობა არავითარ საიადუმლოებას აღარ წარმოადგენს!

წამოსწიეს **„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“,** რომელიც ვითომ სამართლებრივი გზებით ცდილობს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგის გაუქმებას.

**სქემა მარტივია:** რაკი არჩევნების გაყალბება ვერ მტკიცდება, საჭიროა რაიმე სხვა მიზეზის გამოძებნა, რომელიც შეიძლება, არჩევნების შედეგების გაბათილების სამართლებრივ საფუძვლად გამოდგეს.

**ჰოდა, მოიფიქრეს ასეთი მიზეზიც** — ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა! ვითომ მელანმა გაასხა, მარკერის კვალმა ბიულეტენის უკანა მხარეს გაჟონა და შესაძლებელი გახდა, უცხო თვალს შეემჩნია, ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა!

ამის თაობაზე წინა ნომერში ვრცლად ვწერდით და აქ აღარ გავაგრძელებთ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით ნაცოპოზიციისა და მათი მოკავშირე არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ 7 საჩივარი წარადგინეს, ანუ მთელი საქართველოს მასშტაბით გახსნილ 3 111 საარჩევნო უბანზე, სადაც, საერთო ჯამში, 2 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, ფარულობის დარღვევის **შვიდად შვიდი შემთხვევა** დააფიქსირეს.

მიუხედავად ამისა, **საია**-მ საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს მიაყარა და მიაყარა სარჩელები, რომლითაც ითხოვს, რომ ბათილად იქნას ცნობილი ყველა იმ საარჩევნო უბნის შედეგები, სადაც არჩევნები ელექტრონული სისტემით ჩატარდა, ასეთი კი საქართველოს მასშტაბით 2 263 საარჩევნო უბანია.

3 111 საარჩევნო უბნიდან 2 263 უბნის გაბათილებას რომ ითხოვ, ცხადია, ეს არჩევნების მთლიანი შედეგების გაუქმებას ნიშნავს და **საია** და მისი თავმჯდომარე **ნონა ქურდოვანიძე** სწორედ ამას ცდილობენ, თანაც, მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნებზე მისული 2 მილიონზე მეტი ადამიანიდან სულ რამდენიმემ ვერ შეძლო, ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატში ბიულეტენი სწორად მოეთავსებინა.

ცხადია, **საია**-ს თავმჯდომარე **ქურდოვანიძემ** და მისი ორგანიზაციის იურისტებმაც მშვენივრად იციან, რომ მათი მოთხოვნა სრულიად უტოპიურია, არავითარ სამართლებრივ მტკიცებულებებს არ ემყარება და შეუძლებელია, რომელიმე კვალიფიციურმა და ობიექტურმა მოსამართლემ დააკმაყოფილოს.

ამდენად, **საია**-ს მიერ წამოწყებული ვითომ სამართლებრივი ბრძოლა, რეალურად, წმინდა წყლის პოლიტიკური ავანტიურა გახლავთ, რომლის მიზანიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2024 წლის 26 ოქტომბერს ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნების დისკრედიტაცია და ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევაა.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **უცხოეთიდან დაფინანსებული და, შესაბამისად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი საია** კოლექტიური ნაცმოძრაობის ისეთივე პოლიტიკური ფილიალია, როგორებიც, მაგალითად, **ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურის** ორგანიზაციები არიან.

ზოგადად, საქართველოში 30 წლის წინათ — **1994 წელს დაარსებული საია**-ს ისტორიას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციის საფარქვეშ მოქმედი პოლიტიკური ლაბორატორია, რომელიც ქართულ პოლიტიკას მკვეთრად ანტიქართული განწყობის მქონე და უცხო ძალების ინტერესთა მსახური ლიბერალი კადრებით ამარაგებს.

**იმ პოლიტიკოსთაგან, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის თვალში ანტიეროვნულობის, ანტიმართლმადიდებლობის, უსამშობლობის, ლგბტ პროპაგანდის, ყოველგვარი ლიბერალური უკუღმართობის, „მეხუთე კოლონისა“ და უცხოეთის გავლენის აგენტურის სახე-სიმბოლოდ ჩამოყალიბდნენ, საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ საია-სთან არიან დაკავშირებული.**

საკმარისია, თუნდაც **საია**-ს ზოგიერთი ყოფილი თავმჯდომარე გავიხსენოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში ლიბერალური ბოროტების ერთ-ერთ მთავარ სამჭედლოს წარმოადგენს!

1994-1996 წლებში **საია**-ს თავმჯდომარე იყო **დავით უსუფაშვილი;**

1999-2001 და 2003-2004 წლებში **საია**-ს თავმჯდომარე იყო **თინა ხიდაშელი;**

2004-2006 წლებში **საია**-ს თავმჯდომარე იყო **ანა დოლიძე;**

2010-2012 წლებში **საია**-ს თავმჯდომარე იყო **თამარ ჩუგოშვილი;**

2014-2017 წლებში **საია**-ს თავმჯდომარე იყო **ანა ნაცვლიშვილი.**

სხვათაშორის, იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ **საია**-ს სამი ყოფილი თავმჯდომარე — **დავით უსუფაშვილი, ანა ნაცვლიშვილი და ანა დოლიძე** დღეს **ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებული ყაჩაღ-ბანკირის მამუკა ხაზარაძის** პოლიტიკური თანაგუნდელია!

ამაზეა ნათქვამი — **საიდან სადაო?!**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **საიადან სადაო?!**

ჰო, აბა, სად — ლიბერალური დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა, რაზეც **საია** დებს თავს და სად — **ყოფილი ზონდერკომკავშირელის, მოსახლეობის ანაბრების მიმთვისებლის, ხალხის გამტყავებელი ყაჩაღ-ბანკირისა და ხანდაზმული თაღლითის** პოლიტიკური თანამეინახეობა?!

თუმცა, **საია**-ს ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელებთან პრინციპებზე, ღირებულებებსა და იდეალებზე საუბარი მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია, რადგან მათი მთავარი ფასეულობა გაუმჭვირვალე უცხოური დაფინანსებაა, რომელსაც უცხო სახელმწიფოთა ინტერესების მსახურებაში იღებენ!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **საია**-ს ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი მავნებლობა არავითარ **საია**დუმლოებას აღარ წარმოადგენს!

ქართველი ხალხი ყველაფერს ხედავს და გრძნობს, რისი დასტურიც თუნდაც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგია, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი გააუქმებს!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**ნიკა მელია**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*

იქნება ქარი, **აგვეჩეჩება თმები თუ არ აგვეჩეჩება,** მოთოვს თუ არ მოთოვს, **ყოველდღიურად ვიქნებით თბილისის მოედნებზე,** გამზირებზე, ქუჩებში.

„პირველი არხი“



**თაზო დათუნაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*

**მოძრაობა იქნება მთელ ქალაქში,** იქნება სიურპრიზად ისეთ უბნებში, სადაც აქამდე არავითარი დემონსტრაცია არ ჩატარებულა, **ამ ქვეყანაში ნორმალურად ცხოვრება ველარ გაგრძელდება.**

„პირველი არხი“



**ლაშა ბაქრაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი*

**იცით, რატომ გავიმარჯვებთ?** იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ხალხი და **ამ ხალხს ეკუთვნის ეს ქვეყანა.**

„პირველი არხი“



**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა*

**ეს მოპარული არჩევნებია,** მეტი არაფერი. გამოსავალი რა არის? — **ქუჩა.**

„ახალი თაობა“



**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*

მადლობა, რომ ეს დღეები გვაკრიტიკებდით და **წკეპლები შემოგვცხეთ, კოჭები გვეწვოდა ოპოზიციას** — აბა რა, ასე ანგარიშვალდებულები უნდა ვიყოთ, რომ ყოველთვის ვიყოთ ფორმაში.

„ინტერპრესნიუსი“

# ისევ ის ბიჭია, ხუჭუა, პატარა!

***2021 წლიდან არის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე წალკის მუნიციპალიტეტში — ვკითხულობთ ვლადიმერ ხუჭუას CV-ში, ანუ როგორც ნაცმოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი იტყოდა, „კურკუმალ ვაითში“.***

**მოსამართლე ხუჭუას,** რომელმაც უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია **საია**-ს, ანუ **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა** ასოციაციის სარჩელი დააკმაყოფილა და თეთრიწყაროსა და წალკის 30 საარჩევნო უბნის შედეგები გააუქმა, თავის **„კურკუმალ ვაითში“** ასევე მითითებული აქვს, რომ 2004-2011 წლებში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, **მოსამართლე ხუჭუა საქართველოს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო მაშინ, როცა საქართველოს გენერალური პროკურატურა სააკაშვილის რეჟიმის მთავარ რეპრესიულ აპარატს წარმოადგენდა,** ანუ უდანაშაულო მოქალაქეთათვის სისხლის სამართლის საქმეების შეთითხნის, ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკური დევნის, ბიზნესმენების ცოცხლად გატყავებისა და სასამართლოს ტოტალური კონტროლის ინსტრუმენტი გახლდათ.

კიდევ უფრო თუ დავაკონკრეტებთ, **საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოსამართლე ხუჭუას კარიერა მაშინ გაიფურჩქნა, როცა ამ სისტემის სათავეში ზურაბ ადეიშვილი იდგა, ხოლო ნიკა გვარამია მის მოადგილედ მუშაობდა!**

მიუხედავად იმისა, რომ **ვლადიმერ ხუჭუა** დღეს არა პროკურორის ტყავში, არამედ მოსამართლის მანტიაშია გახვეული, იგი მაინც ისევ ის კაცია, უფრო სწორად, **ისევ ის ნაცია, რომელიც ადეიშვილის გათახსირებული სისტემის კარიერულ კიბეზე სწრაფი ნაბიჯებით არბოდა და დანაშაულებრივი რეჟიმის ერთგული მსახურებისათვის 2006 წელს პრეზიდენტ სააკაშვილისაგან ღირსების ორდენიც დაიმსახურა.**

სხვანაირად რომ ვთქვათ და მხატვარ კორნელი სანაძის ლექსზე შექმნილი ცნობილი ქართული სიმღერის ფრაზა — **„ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა პატარა“** — ოდნავ გადავაკეთოთ, ადეიშვილის ყოფილი ხელქვეითი **ისევ ის ბიჭია, ხუჭუა, პატარა!**

შესაბამისად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ **მოსამართლე ხუჭუამ** 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული კოლექტიური ნაცსექტისათვის მაშველი რგოლის გადაგდება სცადა და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის აბსურდული მოტივით, 30 საარჩევნო უბნის შედეგები გააბათილა.

ეს მით უფრო არ არის გასაკვირი იმ ფონზე, როცა

## მოსამართლე ხუჭუას ცოლი ელზა გურგენიძე აქტიური ნაცაქტივისტი და ლგბტ პროპაგანდისტია, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში სახეგაბადრული ყვება, თუ როგორ გამოუტყდა მისი 19 წლის ქალიშვილი – დედა, მე ლესბოსელი ვარო!

აი, ფრაგმენტი მოსამართლე ხუჭუას ცოლის ინტერვიუდან, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული **(სტილი დაცულია. რედ.):**

***ჟურნალისტი:*** *— შენი შვილი ღია ლესბოსელი ქალია, შენც ყოველთვის ღიად ლაპარაკობ ამის შესახებ... მოდი, გაიხსენე, როგორ გაიგე იმის შესახებ, რომ შენი შვილი იყო ქვიარი* ***(კრებსითი ტერმინი, რომელშიც იგულისხმება სექსუალური და გენდერული უმცირესობები. რედ.),*** *როდის გაიგე და თავიდან როგორი განცდები გქონდა?*

***ელზა გურგენიძე:*** *— 19 წლის იყო, როგორც მახსოვს, სტუდენტი იყო და არდადეგებზე ჩამოსული, ერთ დღესაც ერთად ვიყავით წასული საყიდლებზე და ძალიან ისეთ მოულოდნელ დროს მითხრა... საყიდლებზე დავდიოდით და — დე, რაღაც უნდა გითხრა, მე გეი ვარო! ანუ მიღებულია ქალის მიმართაც ამის თქმა.*

ყველაფერთან ერთად, **მოსამართლე ხუჭუას** ცოლი **ელზა გურგენიძე მამუკა ხაზარაძის მიერ დაფინანსებული ლიტერატურული პრემიის — „საბას“ 2023 წლის ლაურეატიც გახლავთ** და ლიბერალ „საბარასტთა“ საუკეთესო ტრადიციების დაცვით, საჯარო სივრცეში ბილწსიტყვაობას არ ერიდება. მაგალითად, საზოგადოებას ნაცოპოზიციის მიტინგში მონაწილეობისაკენ სოციალური ქსელიდან ასე მოუწოდებს:

*„აწი ტრ...ი* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.),*** *გამო რუსთაველზე!“*

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სულაც არ არის უცნაური, რომ **კოლექტიურმა ნაცსექტამ** წინდაწინ იცოდა, **მოსამართლე ხუჭუა** რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა და ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდა, როცა **მოსამართლე ხუჭუას** თავისი გადაწყვეტილება გამოცხადებული არ ჰქონდა.

კერძოდ, **2024 წლის 4 ნოემბრის 20 საათსა და 58 წუთ-**






**მოსამართლე ხუჭუას გადაწყვეტილება კანონსა და მტკიცებულებებს კი არა, მისი ნაცაქტივისტი და ლგბტ პროპაგანდისტი ცოლის პოლიტიკურ გემოვნებას ეფუძნებოდა!**

## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



საქართველო არ არის პროტექტორატი, **საქართველო სუვერენული ქვეყანაა და არ დაუშვებს გარე უხეშ ჩარევას,** არა აქვს მნიშვნელობა, ევროკავშირის ელჩი ან სახელმწიფო დეპარტამენტი რას იტყვის.

რას ჰქვია, **პარლამენტს არ მისცემენ შეკრების უფლებას?** არავინ თქვას მერე, რომ რეპრესიები დაიწყო. **ამომრჩეველი მოატყუეს ყალბი ეგზიტპოლებით** და ახლა რაღაცა გზებს ხლართავენ. რა უნდა თქვან? **წავაგეთო, ვერ ამბობენ, არც გეგმა აქვთ, რადგან პარლამენტში შესვლა უნდათ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



იმის გამო, რომ რუსული საფრთხე აიცილონ, **ბალტიელები დაუფარავად გვერეკებიან ომში.** ჩვენ სანქციებისკენ მოგვიწოდებენ და თვითონ **რუსეთში ალკოჰოლის ექსპორტით გვისწრებენ!** ჩვენ ავღანეთში ამხელა მსხვერპლი გვქონდა ნატოს ოპერაციაში და **მაგათი სამხედროები შტაბიდან ცხვირს არ ყოფდნენ.** მიეჩვივნენ ჩვენს ხარჯზე სამოთხისკენ მოძრაობას. **ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲐᲗ! ᲒᲔᲧᲝᲗ.** თუ რამე გინდათ, **გაწყვიტეთ ვაჭრობა რუსეთთან, აიღეთ იარაღი ხელში და იომეთ** იმ ღირებულებებისთვის, რისი დაცვისკენაც მოგვიწოდებთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტიკოსი*



დღეს ძალაუფლების **ძალისმიერი მეთოდებით** ხელში აღების რესურსი **არც ხალხშია და არც — ამ ოპოზიციაში.** არც 2003 წელია და არც — 2012.

„ახალი თაობა“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



**რეჟიმი უკვე გასამართლდა, ოღონდ ქართველი ხალხის ხელით.** დიახ, ეს განაჩენია — **ნაცები საბოლოოდ პოლიტიკურ სანაგვეზე ქართველმა ხალხმა გაუშვა.**

„საერთო გაზეთი“

# ქართულ სასამართლო სისტემაში დღემდე ადეიშვილის ავბედითი აჩრდილი დაძრწის!




**ზე** „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა ხაზარაძის კოალიციის წევრის **ალეკო ელისაშვილის** კომენტარი:

> *„გაბედა თეთრიწყაროში მოსამართლემ და თქვა, რომ ფარულობა იყო დარღვეული. ეს რა მაგარი ამბავია“.*

**2024 წლის 4 ნოემბრის 21 საათსა და 11 წუთზე** „პალიტრანიუსის“ ეთერში **ელისაშვილის** კიდევ ერთი კომენტარი გავიდა:

> *„გაბედა თეთრიწყაროს მოსამართლემ და თქვა, რომ ფარულობა იყო დარღვეული“.*

სინამდვილეში, **თეთრიწყაროს მოსამართლე ხუჭუამ** ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება სასამართლო დარბაზში **2024 წლის 4 ნოემბრის 22 საათსა და 8 წუთზე,** ანუ ტელეეთერში ელისაშვილის ბოლო კომენტარის გასვლიდან თითქმის 1 საათის შემდეგ გამოაცხადა.

ახლა, როცა **პოლიტიკურ კინტო ელისაშვილს** ჟურნალისტები ეკითხებიან — **წინასწარ საიდან იცოდი, მოსამართლე ხუჭუა რა გადაწყვეტილებას მიიღებდაო,** ისტერიულ ყვირილს იწყებს და ტელეკამერებს გაურბის ან უკბილო ხუმრობით ცდილობს გამოძრომას — **ხაშურის სასაფლაოდან ბაბუაჩემის მამამ მაცნობაო!**

არადა, **მამუკა ხაზარაძის პოლიტიკურ გვამში ყირაზე გადასულ ალეკო ელისაშვილს** კითხვებს მარტო ჟურნალისტები კი არ უნდა უსვამდნენ, პროკურატურამ დაკითხვაზე უნდა დაიბაროს და გაარკვიოს — **ერთი საათით ადრე საიდან იცოდა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა მოსამართლე ხუჭუა?**

ისე კი, ფაქტია, რომ **ყრანტალა ელისაშვილმა მოსამართლე ხუჭუას** გადაწყვეტილების წინასწარ გათქმით ნაცოპოზიციას მთელი პოლიტიკური სპეცოპერაცია წყალში ჩაუყარა, რისთვისაც, ალბათ, თავისივე პოლიტამფსონებმა სერიოზულად შეჯორეს და შესაძლოა, ყურისძირშიც უთავაზეს.

**მოსამართლე ხუჭუას** გადაწყვეტილება, რომელიც კანონსა და მტკიცებულებებს კი არა, მისი ნაცაქტივისტი და ლგბტ პროპაგანდისტი ცოლის პოლიტიკურ გემოვნებას ეფუძნებოდა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა, თუმცა, ამით სულაც არ იცვლება ის საგანგაშო მოცემულობა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში დღემდე **ზურაბ ადეიშვილის** ავბედითი აჩრდილი დაძრწის!

**ადეიშვილის ბინძურ სისტემაში ჩამოქნილმა და გაქნილმა ერთმა მოსამართლემ თავი უკვე გამოამჟღავნა და მთელ ქვეყანას გააგებინა, რომ ისევ ის ბიჭია, ხუჭუა, პატარა, მაგრამ ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ხუჭუაა დაბუდებული ქართულ სასამართლოში და ქართული სახელმწიფოსათვის ზურგში** **დანის ჩასარტყმელად შესაფერის დროსა და მომენტს ელოდება!**



## მამუკა ხაზარაძის პოლიტიკურ გვამში ყირაზე გადასული ალეკო ელისაშვილი პროკურატურამ დაკითხვაზე უნდა დაიბაროს და გაარკვიოს – ერთი საათით ადრე საიდან იცოდა, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა მოსამართლე ხუჭუა?

*ალეკო ელისაშვილის წინასაარჩევნო მალაყი ხაზარაძის პარტიის ოფისში*

საინტერესოა, ქართული სასამართლოს ბოსებმა — **ლევან მურუსიძემ, მიხეილ ჩინჩალაძემ და სხვებმა,** რომლებიც ასევე **ადეიშვილის წიაღიდან** მოდიან, ქართული სახელმწიფოს წინაშე პასუხი არ უნდა აგონ იმისათვის, რომ მათთვის მინდობილ სისტემაში **ვლადიმერ ხუჭუას** მსგავსი პოლიტიკურად მიკერძოებული მოსამართლეები ბოგინობენ?!

აკი, **მოსამართლე ხუჭუას** მაგალითი გვაჩვენებს, რომ ქართული სახელმწიფო ნელი მოქმედების ნაღმზე ზის და თუ საქართველოს ხელისუფლება ამაზე თვალს დახუჭავს, მაშინ **კოლექტიური ხუჭუები** ამ ქვეყანაში კანონსა და სამართალს სამუდამოდ **დაუხუჭავენ** თვალებს!

მაშინ ქართული სახელმწიფო **ადეიშვილის ხუჭუების თუ ხოჭოების** ხელით აღესრულება!

**ჯაბა ხუბუა**




**მურუსიძე და ჩინჩალაძე**

**ქართული სასამართლოს ბოსებმა — ლევან მურუსიძემ, მიხეილ ჩინჩალაძემ და სხვებმა, რომლებიც ასევე ადეიშვილის წიაღიდან მოდიან, ქართული სახელმწიფოს წინაშე პასუხი არ უნდა აგონ იმისათვის, რომ მათთვის მინდობილ სისტემაში ვლადიმერ ხუჭუას მსგავსი პოლიტიკურად მიკერძოებული მოსამართლეები ბოგინობენ?!**

## კვირგვინოსნები

**ვატო შაქარიშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობის „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



სამწუხაროა, რომ **ადეიშვილი-გვარამიას** პროკურატურის მაღალჩინოსანი **ვლადიმერ ხუჭუა** დღემდე მოსამართლეა, დავალებამ არ დააყოვნა საელჩოდან და **ხუჭუამ გაკოტრებულ ოპოზიციას ხავსი გადაუგდო.**

„პირველი არხი“

**ირაკლი რუხაძე**
*ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი, ბიზნესმენი*



როდესაც წააგეს 2012 წლის არჩევნები, მივედი **ბიძი უგულავასთან,** ვუთხარი, რომ, **თუ თქვენ „იმედს“ არ დაგვიბრუნებთ,** წავალთ, ვიჩივლებთ და მაინც დავაბრუნებთ. ერთი დღის განმავლობაში აქეთ-იქით **სააკაშვილთან იარა და გვიან ღამით, 02:00-03:00 საათზე გვითხრა, რომ ხვალ დილით მიდით „იმედში“, დაგიბრუნდებათო.** მოვიდა მფლობელი **გიორგი არველაძე,** რომელმაც ერთ ლარად გადმოგვცა „იმედი“ ისე, რომ „იმედს“ არანაირი შეხება არ ჰქონია გიორგი არველაძესთან. **ასეთი დემოკრატია ცხვებოდა, ასეთი იყო მედიათავისუფლება.**

„TV იმედი“

**ლალი აფციაური**
*უფლებადამცველი*



დეტალებში შემიძლია მოგყვე, **როგორი ნაწამები პატიმრები მყავს ჩემი თვალით ნანახი.** ამ ყველაფერს მასობრივი სახე ჰქონდა. ყოველდღე ველოდით, **როდის დათვრებოდა ბაჩო ახალაია და შევარდებოდა რომელიმე ციხეში ან როდის დათვრებოდა მეგის ქარდავა და ვიღაცას გადატეხავდა ხერხემალში,** ეს ყველაფერი ყოველდღე ხდებოდა.

„TV იმედი“

**გიორგი გაბუნია**
*საზოგადოება „ქართულის“ თავმჯდომარე*



საქართველოში უნდათ მართული ხელისუფლება. **სამწუხაროდ, არავის არ აწყობს პროქართული და პროეროვნული ხელისუფლება** — ისეთი, როგორიც არის „ქართული ოცნება“.

„TV იმედი“



საქართველოს პარლამენტის წევრი **კახი კახიშვილი** საქართველოსა და ამერიკაში ჩატარებული ისტორიული არჩევნების ფონზე პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და ევროპაში დიდ ცვლილებებს ელის:

## კახი კახიშვილი:

# აი, ეს არის კოლექტიური ნაცების გეგმა!



— საარჩევნო ყუთების დაწვის, შუქების ჩაჭრის, მოსყიდული მასმედიის, საშინელი ზეწოლისა და ცრუ შეტყობინებების მიუხედავად, ამერიკელმა ხალხმა საპრეზიდენტო არჩევნებში მაინც გაიმარჯვა და ხმა დონალდ ტრამპს მისცა. დღეს იგი აკონტროლებს სენატსა და კონგრესს, აქვს უდიდესი გამოცდილება, იცის, როგორ მოექცნენ მის გუნდს, რაც იმას ნიშნავს, რომ **დონალდ ტრამპს** ეძლევა სრული კარტბლანში, მართოს ამერიკა. მერწმუნეთ, ახლა ის იქნება სულ სხვა პრეზიდენტი, რომელიც ამერიკის მმართველობის სისტემას დიდ ცვლილებებს ჰპირდება. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ტრამპს ახსოვს ევროპელი პოლიტიკოსების ღალატი... გავიხსენოთ მაკრონის, შოლცის, ანჯეი დუდას ადრინდელი განცხადებები, რომლებმაც თავიანთი რიტორიკა ამ დღეებში უკვე სამარცხვინოდ შეცვალეს.

ამასთან, ტრამპი აუცილებლად გამოიძიებს იმ კორუფციულ სქემებს, რომელშიც უკრაინის ომთან მიმართებაში ბაიდენის ოჯახი და ევროპელი მაღალჩინოსნები არიან ჩართული. ცხადია, ამის გამო **ტრამპს** დაუპირისპირდებიან და მის მოკვლასაც კი შეეცდებიან. ახლა მთავარია, 2025 წლის 20 იანვრამდე გაძლოს და თეთრ სახლში უვნებლად შევიდეს!

**— ტრამპის გამარჯვების შემდეგ ევროპაში უკვე დაიწყო ცვლილებების ხანა — უამრავი ლიდერი და გავლენიანი პოლიტიკოსი ბუდაპეშტში ჩაფრინდა და ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტში მიიღო მონაწილეობა, რადგან ორბანი ტრამპის მეგობარია.**

— არადა, ეს ხალხი აქამდე **ორბანს** აქილიკებდა და დასცინოდა. გერმანიის მმართველი კოალიცია უკვე დაიშალა, ჩრდილიდან გამოდიან ის ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც, ფაქტობრივად, დევნის რეჟიმში იყვნენ. **სალომე ზურაბიშვილიც** კი, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის მონაა, იძულებული გახდა, ტრამპისათვის გამარჯვება მიელოცა...

**— თუ ევროპელმა პოლიტიკოსებმა ე.წ. „პლასტინკა“ უკვე გადმოატრიალეს, რატომ მოხდა, რომ მაკრონმა, შოლცმა და ტუსკმა საქართველოს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენეს — სანამ ოჯახის სიწმინდის დაცვისა და უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონებს არ გააუქმებთ, ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს არ გავხსნითო?**

## „მერწმუნეთ, პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები იქნება და მაკრონიც, შოლციც და ტუსკიც აუცილებლად შეიცვლებიან!“

— ეს არის იმ დამანგრეველი ინერციის შედეგი, რომელიც **ტრამპის** გამარჯვებამდე მსოფლიოს ტანჯავდა. ულტიმატუმი, რომელიც უნგრეთში წამოგვიყენეს, ჯერ კიდევ მაშინ იყო მოფიქრებული, როცა ამერიკას დემოკრატები მართავდნენ. ახლა საკითხავი ისაა, ამ ულტიმატუმით ევროპელი ავტორები რამდენი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. **მერწმუნეთ, პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები იქნება და მაკრონიც, შოლციც და ტუსკიც აუცილებლად შეიცვლებიან!** აი, ასეთ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მოახდინოს **პრეზიდენტ ტრამპის** სრული ინფორმირება. ხელისუფლებამ მას აუცილებლად უნდა აუხსნას, რომ საქართველოს სჯიან იმის გამო, რის გამოც თავად ტრამპსაც ებრძვიან — **ვიცავთ ჩვენს რელიგიას, ოჯახის სიწმინდეს, ტრადიციებს და უარს ვეუბნებით ლგბტ უწმინდურებას!** დიახ, საქართველოს ტრამპთან საურთიერთოდ ჰყავს დიდებული და ერთგული მოკავშირე — **ვიქტორ ორბანი,** რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ახლო მეგობარია. ეს ფაქტორი ბოლომდე უნდა იქნეს გამოყენებული... საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა გადახედოს დიპლომატიური მისიების საქმიანობასაც...

**— რას გულისხმობთ?**

— **„ქართულმა ოცნებამ“ უცხოეთში არჩევნები ყველგან რომ დათმო, ეს მარცხი საქართველოს საელჩოების კისერზეა, სადაც დასაქმებული ადამიანები, ძირითადად, ნაცმოძრაობის აქტივისტები არიან. დღეს სამხრეთ კორეაში 54 ქართველი იმყოფება და აქედან 52 კაცმა ოპოზიციას მისცა ხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას თვით საელჩოს თანამშრომლებმაც კი არ დაუჭირეს მხარი!** აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ სახელისუფლებო ვერტიკალშიც კი არაერთი ოპოზიციონერია მოკალათებული... იგივე მოსამართლე **ვლადიმერ ხუჭუა** და მისი მეუღლე ნაცებისადმი თავიანთ სიმპათიებს არასოდეს მალავდნენ. აქედან გამომდინარე, „ცესკოს“ თავიდანვე უნდა მოეთხოვა ამ მოსამართლის აცილება, რაც არ მოხდა!

**— ემუქრება თუ არა 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებს არალეგიტიმურად გამოცხადება?**

— იურიდიულად ეს გამორიცხულია! არჩევნები არ გაყალბებულა და, საერთოდ, ამაზე ლაპარაკი დიდი სისულელეა. მიმაჩნია, რომ ამერიკულმა კომპანია „სმარტმატიკმა“, რომლის ტექნიკითაც საქართველოში არჩევნები ჩატარდა, აუცილებლად უნდა უჩივლოს საიას, რომელიც კომპანიის რეპუტაციას უსაფუძვლოდ და მიზანმიმართულად აზიანებს. სწორედ „სმარტმატიკის“ აპარატურით აირჩიეს ლონდონის მერი, ამ აპარატურით ჩატარდა არჩევნები ბელგიასა თუ არგენტინაში და არავის მოსვლია აზრად იმის თქმა, რომ ეს აპარატები ხმებს აყალბებს.

**— ე.წ. „ოპოზიციას“ რა შანსები რჩება?**

— ოპოზიცია თავიდან ბოლომდე გაკოტრებულია, რადგან ვერ შეძლო სიტუაციის არევა, მაგრამ მაინც რჩება საშიშ ძალად, რადგან იმართება უცხო ძალის მიერ. დარწმუნებული ვარ, ახლა ისინი მთავარ იმედს ამყარებენ ახალი პარლამენტის პირველი სესიის გახსნაზე, როდესაც კოლექტიური ნაცები შეეცდებიან პოლიციისა და სამართლადამცავი სტრუქტურების პროვოცირებას, რათა მოხდეს შეტაკება, დაიღვაროს სისხლი და მოკვდეს ან მოკლან რომელიმე ახალგაზრდა დემონსტრანტი, რომელსაც სიამოვნებით გაწირავენ... ამის შემდეგ ყველაფერს იზამენ, რათა თავიანთ ევროპელ მოკავშირეებს გააჴმაურებინონ საქართველოსთვის მონიჭებული ვიზალიბერალიზაციის გადახედვის მოთხოვნა და ამის საფუძველზე ქუჩაში გამოიყვანონ ახალგაზრდობის კრიტიკული მასა. **აი, ეს არის კოლექტიური ნაცმოძრაობის გეგმა — სესიის გახსნის დღეს უმიზნებენ!** სუს-ი კარგად მუშაობს, დარწმუნებული ვარ, ოპოზიციის ამ გეგმის შესახებ იცის და ხელისუფლება ამ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდება!

**— საპარლამენტო სიაში არ ხართ... სახელმწიფო სამსახურში რამე თანამდებობა შემოგთავაზეს?**

— ვნახოთ! ნებისმიერ შემთხვევაში ცხოვრება გაგრძელდება...

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






საიას თავმჯდომარე ნონა ქურდოვანიძე

## „ამერიკულმა კომპანია „სმარტმატიკმა“, რომლის ტექნიკითაც საქართველოში არჩევნები ჩატარდა, აუცილებლად უნდა უჩივლოს საიას, რომელიც კომპანიის რეპუტაციას უსაფუძვლოდ და მიზანმიმართულად აზიანებს!“

## კვირგვინოსნები

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



**ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის** უფლებები უკვე კანონით არის განმტკიცებული. **ჩვენი ნაციონალურ-კულტურული კოდი არის ოჯახი და ვინც მას შეეხება, პოლიტიკური თვალსაზრისით, განწირულია.**

„საერთო გაზეთი“

**პეტრე მამრაძე**
*„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი*



კიდევ სამარცხვინოდ რომ ითხოვენ — **ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები** და ჩაატარონ უცხოელებმაო, უკაცრავად, მაგრამ უცხოელებს გაეროს ეგიდით ჩატარებული აქვთ არჩევნები **მარტო იქ, სადაც იყო სამოქალაქო ომი.**

ასე ატარებენ ცოტა ხანი ხალხს ზევით-ქვევით და **მერე ისევ 2020 წლის სცენარს გაათამაშებენ.** გაყალბებული ეგზიტპოლები აზეიმეს საკუთარ ამომრჩეველს და **მართლა მეცოდება ეს ხალხი, რომლებსაც მათი სჯერა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



სინამდვილეში, **ოპოზიციას უნდა პარლამენტში შემოსვლა,** ამაზე ოცნებობენ კიდეც. ვფიქრობ, ქვეყნისთვის უკეთესიც კი იქნება, თუ ასეთი **უთავმოყვარეო და გაკოტრებული ოპოზიცია არც პარლამენტში იქნება, არც პოლიტიკაში** და არც სხვაგან.

ჭორიკანა ოპოზიცია **საზოგადოების ნდობას** არ იმსახურებს.

„ინტერპრესნიუსი“



„დადგა დრო, როცა ყველას უნდა მიეზღოს საკადრისი, არავითარი დანდობა!“

## ლია კრიალაშვილი:

# ბატონო ბიძინა, გახსოვდეთ – დანაპირების არშესრულება ღალატის ტოლფასი იქნება!

***მაშინ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგები და მხარდამჭერები მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირიან, საქართველოში არჩევნები გაყალბდაო, რეჟიმის მიერ მოკლული და გამწარებული ოჯახის წევრები საათებს ითვლიან ნიურნბერგის პროცესის მოლოდინში. როგორც ე.წ. მუხროვანის ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი ამბობს, დადგა დრო, როცა „ქართულმა ოცნებამ“ დანაპირების შესრულება უნდა დაიწყოს:***

— უპირველესად, მადლობა მინდა, გადავუხადო „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს** და მთელ თქვენს კოლექტივს, რომელიც ყოველთვის დროულად და პირუთვნელად ახმოვანებს ასიათასობით ადამიანის სათქმელს.

**ის, რომ გაზეთის ბოლო ნომრებში იბეჭდება რეპორტაჟები ნიურნბერგის პროცესიდან, ამით პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ასავალ-დასავალი“ ნამდვილად ზეპარტიული და სახალხო გაზეთია! ყოველთვის იქ არის, სადაც ხალხი და სამშობლოა!**

მიუხედავად იმისა, რომ ამჯერადაც დიდი წვლილი შეიტანეთ სანაცეთის დამარცხებასა და „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, თქვენი პუბლიკაციებით ხელისუფლებას დაპირებულ ნიურნბერგის პროცესს ახსენებთ. კიდევ ერთხელ მადლობა ამისათვის რეჟიმის მიერ გამწარებული ხალხის სახელით!

**— მართალია, გაზეთში იბეჭდება მიხეილ კვესელავას რეპორტაჟები ნიურნბერგის პროცესიდან, მაგრამ კოლექტიური ნაცები ჯერ კიდევ არ აღიარებენ დამარცხებას...**

— წარმოგიდგენიათ, რა დონის უტიფრები არიან? 7 ნოემბრისა და 26 მაისის ავტორები, რომლებმაც ქართველი ხალხის სისხლის გუბეები დააყენეს, აქეთ გამოდიან პრეტენზიებით და არჩევნების გაყალბებაზე საუბრობენ. რიგები იდგა საარჩევნო უბნებთან, რომ ეს გარეწრები და მკვლელები ხელისუფლებაში არ დაბრუნებულიყვნენ, ვის აყრიან თვალში ნაცარს?! თუმცა, ეს ხომ მათი პროფესიაა?! **აწი რითი უნდა გამაკვირვოს ხაზარფაშამ, რომელიც რეჟიმის დროს ციხეებში ქონებებს იფორმებდა?!** ან ნიკა გვარამიამ, რომელიც ფილმის „7 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე“ ავტორია? ის ხომ ორი გვამის მოთხოვნის ერთ-ერთი იდეოლოგი გახლდათ?! ქართველმა ხალხმა შესაფერისი სახელი შეარქვა მას — აფოფრილი ქათამი **ნიკუტა გვარამია!**

მე ის მიკვირს, მკვლელებმა, მათმა იდეოლოგებმა თუ ხელისბიჭებმა ამდენი ხმა რომ მიიღეს. იმ ადამიანებზე ვარ გამწარებული, ვინც იცის, რა საშინელებებს სჩადიოდნენ და მაინც ეს გაიძვერები, მწამებლები შემოხაზეს.

### როგორ უნდა მიეცა 700 ათას კაცს ხმა ამ ნაძირალებისათვის?!

**ხაზარაძეს რომ შემოხაზავ ადამიანი, მურმან დუმბაძისა არ იყოს, როგორ არ უნდა გაგიხმეს ხელი?!**

კიდევ უფრო ამაზრზენია, როცა ამ მკვლელების გაკერპება ტელევიზიებით ხდება. ჩემმა მტერმა უყურა და მოუსმინა ტელეკანალიზაციის ჟურნალისტებს, მაგრამ, როცა მათი მენტორული ტონი ჩამესმის, სურვილი მაქვს, პირში ბურთი ჩავჩხირო. ისინი ჟურნალისტები კი არა, დაგეშილი ძაღლები არიან!

**— არადა, მავანს ეს სიმართლედ მიაჩნია...**

— **ხაზარფაშა** და მისი **ნაცვალი ლიაკა ხოშტერია, სალომანდრა სამადაშვილი,** სააკაშვილის ძმის **ნაცოლარი დეკანოიძე** და აკრობატი, **ჭორიკანა ელისაშვილი** რომ გეყოლება მუდმივად დასკუპებული ეთერში, ივანიშვილს 24 საათის განმავლობაში აძაგებ და მის გაკეთებულს იოტისოდენასაც ვერ ხედავ, ეს არის ჟურნალისტიკა? სააკაშვილის სიცოცხლეს რომ მიუძღვნი ათობით გადაცემას და ცდილობ, მე და ჩემისთანები დააჯერო მის წამებაში, ეს არის სიმართლე? სამწუხაროა, რომ სიბინძურეების ტირაჟირებას ტელეეთერებიდან ის ჟურნალისტები ახდენენ, რომლებიც 7 ნოემბერს „იმედში“ დაარბიეს. აღარაფერს ვამბობ **ვახო სანაიაზე,** მსგავსი გაბოროტებული და უსამართლო არათუ ჟურნალისტი, ადამიანიც არ მინახავს! **კაცს, დიდი ალბათობით, ნაციონალებმა ძმა მოუკლეს და კიდევ მათ საგალობელს აღავლენს.** ტელეკანალიზაციის ჟურნალისტებო, ფულის საფასურად მზად რომ ხართ, მკვლელებს შეეკრათ, ჩაიხედეთ სარკეში! ძალიან ამაზრზენია თქვენი ნამდვილი სახე!

**— რამდენადაც ვიცი, განაწყენებული ხართ ამ ხელისუფლებაზე, რადგან თქვენი ძმის მკვლელობისა და თაღლითური გზით თქვენთვის ბინის წართმევის საქმეები თაროზეა შემოდებული...**

— მაგრამ ამჯერადაც პირადი წყენა გვერდით გადავდე და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება — **რცხვენოდეს ყველას, ვისაც ევროპა-ევროპის ძახილი ურჩევნია ქვეყანაში მშვიდობას და ვინც ხელისუფლებაში მკვლელების დაბრუნებას მისცა ხმა!** მადლობა ღმერთს, ძალიან ბევრნი ვართ და ამჯერადაც კუდამოძუებულები დარჩნენ!

ახლა ნამდვილად დადგა დრო, როცა ყველას უნდა მიეზღოს საკადრისი. არავითარი დანდობა! **პირველ რიგში, ის კუდიანი დედაბერი — ზურაბიშვილი უნდა მოსცილდეს საქართველოს!** ამ ქალის დანახვა აღარ უნდა ხალხს! ნეტა იცოდეთ, როგორ მძულს და მეზიზღება. საკუთარ თავზე მეშლება ნერვები, მის გაპრეზიდენტებაში რომ მივიღე მონაწილეობა.

სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაზარალებულებმა უკვე ვისაუბრეთ — **თუ ბიძინა ივანიშვილი დანაპირებს არ შეასრულებს და საკადრისად არ დასჯის დამნაშავეებს, ქუჩაში გამოვალთ და სხვა გზებით ვიბრძოლებთ სამართლიანობის აღსადგენად!**





„პირველ რიგში, ის კუდიანი დედაბერი – ზურაბიშვილი უნდა მოსცილდეს საქართველოს!“

**— კიდევ რა უნდა იცოდეს და ახსოვდეს ბიძინა ივანიშვილს?**

— **უნდა ახსოვდეს,** რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაზარალებულები სულში ჩაფურთხებულები ვართ — **ამდენი წელია, ველოდებით, როდის აღდგება სამართალი!**

**უნდა ახსოვდეს,** რომ სწორედ ჩვენი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების სისხლით შეიცვალა ხელისუფლება. ჩვენი გვერდით დგომით გაიმარჯვა დღესაც!

**უნდა ახსოვდეს,** რომ საჯარო სტრუქტურები ისევ გამოტენილია ჩანერგილი ნაციონალებით, რომლებიც ქვეყანას ჩუმად უთხრიან ძირს!

**უნდა ახსოვდეს,** რომ **გია კრიალაშვილს** ისევ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მიკერებული მტრის იარლიყი აქვს. რატომ უნდა ჰქონდეს ჩემს ძმას სამშობლოს მოღალატის სახელი, როცა ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, სიცოცხლის ფასად იცავდა ქვეყანას?!

**უნდა ახსოვდეს,** რომ რეჟიმის მიერ ქუჩაში მოკლული **ბურამ შარაძის** საქმე კვლავ გაუხსნელია და თაროზე შემოდებული!

**უნდა ახსოვდეს,** რომ ნაძირალა სააკაშვილი ისევ მძორივით გდია „ვივამედში“ და ადამიანები მოუთმელად ელიან სამშობლოს გამყიდველის ციხეში გადათრევას!

**უნდა ახსოვდეს,** რომ ორი გვამის ავტორს — **ვანო მერაბიშვილს** დღემდე არ უგია პასუხი გია კრიალაშვილის მკვლელობის გამო!

**უნდა ახსოვდეს,** რომ საათებს ვითვლით, როდის გაიმართება ნიურნბერგის პროცესი და როდის ვიამაყებთ საკუთარი ხელისუფლებით!

**ბატონო ბიძინა, თქვენ ათიათასობით ადამიანი შეგცქერით იმედის თვალით და დანაპირების არშესრულება ღალატის ტოლფასი იქნება!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## ქვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



პრეზიდენტმა რომ თქვა — **არჩევნები გაყალბებულია და რუსეთი შემოვიდაო,** ეს მხოლოდ ბრალდებაა და **თუ ფაქტები არ იქნა წარმოდგენილი,** მაშინ აშკარა ცილისწამება იქნება. **ფაქტები გვჭირდება,** რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ არჩევნებში მართლაც მოხდა რაღაც ისეთი, რაც ქვეყნისთვის საზიანოა. თუ ამას ვერ ასაბუთებ, მაშინ **ეს არის ცილისწამება და დანაშაულის კატეგორიაში გადის.**

„კვირის პალიტრა“

**ელიზბარ გვენეტაძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*



არ შემიძლია, გულისტკივილით არ ვიკითხო: **როგორ აღმოჩნდა საქართველოში თითქმის 200 ათასი ამომრჩეველი, რომელიც ხმას ღვინოში ჩამფსმელებს, ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრეებს, არასრულწლოვანთა ლგბტ პროპაგანდით გამბრუებლებს აძლევს?!** საქართველომ გამოიარა **დიდი თურქობა,** ახლა კი **დიდი ელჩიანობაა.**

„საერთო გაზეთი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ივანიშვილს** ვურჩევდი, რომ საპატიო თავმჯდომარეობას თავი დაანებოს, დადგეს პარტიაში და ამის საშუალებით **საქართველოს მართვა დაიწყოს.** საპატიო თავმჯდომარეა და **მაინც ქვეყანას მართავს,** რაც პოლიტიკაში არ ხდება.

„რეზონანსი“

**ავთანდილ კახნიაშვილი**
*სამართლის დოქტორი*



როგორც ყოველთვის ხდება, **რამდენიმე „პროევროპელი“ ახალგაზრდა ციხეში აღმოჩნდება, ხოლო მათი წამქეზებელი პოლიტიკოსები პასუხისმგებლობას აირიდებენ** და პარლამენტში „კოჰაბიტაციის რეჟიმში“ გააგრძელებენ მოღვაწეობას.

„რეზონანსი“



# დემურ გიორხელიძე:

# დასავლეთი საქართველოში ვერანაირ გადატრიალებას ვერ მოახდენს, თუ ამ გადატრიალებაში თავად საქართველოს ფაქტობრივი მმართველი ბიძინა ივანიშვილი არ იქნება ჩართული!

*2024 წლის 5 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის გამარჯვების კვალდაკვალ, ანალიტიკოს **დემურ გიორხელიძეს** ვესაუბრებით:*

— **ტრამპმა** თავადვე განაცხადა — წარმოუდგენელი გამარჯვება მოვიპოვეთო და, სიმართლე გითხრათ, მართლაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე მშვიდად, ყოველგვარი გართულებების გარეშე შეძლებდა გამარჯვების გაფორმებას. თუმცა, ამერიკის დამფუძნებელი მამების მიერ შექმნილმა სახელმწიფო სისტემამ, რომელსაც ნეოლიბერალიზმის მანტიაში გახვეული ნეოტროცკისტები 30 წელია, ანგრევენ, კრიტიკულ მომენტში მაინც თავისი სიტყვა თქვა და უზრუნველყო, რომ ძალაუფლება ერთი ჯგუფიდან მეორეზე დემოკრატიული პრინციპების დაცვით გადასულიყო.

**— არადა, ბევრი ვარაუდობდა, რომ არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ამერიკაში დიდი ალიაქოთი ატყდებოდა და საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდეც კი მივიდოდა!**

— ეს საფრთხე მართლაც რეალური იყო და სწორედ ამიტომ აღარ გაჯიქდა დამარცხებული მხარე, რომელიც იძულებული გახდა, ხალხის განწყობისათვის ანგარიში გაეწია და არჩევნების შედეგები ეღიარებინა. დემოკრატების ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, რომ ამერიკის ხალხის უდიდესი ნაწილი, რომელიც კონსერვატიული ღირებულებების მატარებელია და თავსმოხვეული ნეოლიბერალური საზიზღრობა ყელში აქვს ამოსული, არავითარ შემთხვევაში აღარ შეეგუებოდა იმას, რაც 2020 წელს მოხდა, როცა ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოჰპარეს. მაშინ ამერიკელთა უმრავლესობა იარაღისკენ იქაჩებოდა და ისევ კონსერვატიულ ელიტებს რომ არ გაეჩერებინათ, სამოქალაქო ომი ატყდებოდა.

**— თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა ტრამპი, თავის მთავარ ლოზუნგს ხორცი შეასხას და „გახადოს ამერიკა ისევ დიადი“?**

— გლობალისტური ელიტების ამაზრზენმა ლიბერალურმა მმართველობამ და თეთრი სახლის ლამის ლგბტ ფერებში შეღებვამ ამერიკას უზარმაზარი დარტყმა მიაყენა და მთელ მსოფლიოში პრესტიჟი შეულახა, რის გამოც ვერცერთ ფრონტზე წარმატებას ვეღარ აღწევს. ასეთ ფონზე **ტრამპის** ხელმეორედ გაპრეზიდენტება ამერიკისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. მისი ლოზუნგი — **გავხადოთ ამერიკა ისევ დიადი** — უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატების ეკონომიკურ აღორძინებას გულისხმობს. ტრამპის მიზანია, უზარმაზარი ამერიკული საწარმოები, რომლებიც ნეოლიბერალურმა სისტემამ ქვეყნიდან გააქცია, კვლავ ამერიკაში დააბრუნოს.

ვფიქრობ, **ქართველებმა ტრამპის სლოგანში „ამერიკა“ „საქართველოთი“ უნდა ჩავანაცვლოთ და საქართველო ისევ დიადი გავხადოთ!** მართალია, ჩვენს წამხდარ ელიტებს ამის ამბიცია არ გააჩნიათ, მაგრამ ჯანსაღ ქართველებს, დიახაც, დიადი საქართველო გვინდა! ქართველების ზნექეთილ უმრავლესობას 30 წელია, ამცირებენ, შეურაცხყოფენ და პოლიტიკურ ნაგვებს ასვამენ თავზე, მაგრამ მაინც გადარჩა და იმის რესურსიც გააჩნია, რომ დიადი საქართველო ააშენოს!

**— ტრამპმა არჩევნებში გამარჯვებისთანავე განაცხადა — ომების გასაჩაღებლად კი არა, ომების დასამთავრებლად მოვედიო! აქედან გამომდინარე, უნდა ველოდოთ თუ არა უკრაინაში ომის მალე დასრულებას?**

— უნდა გვესმოდეს, რომ **ტრამპი** მშვიდობის მტრედი კი არა, უბრალოდ, პრაგმატული პოლიტიკოსია, რომელმაც კარგად იცის, რომ უკრაინის ომში ამერიკის მონაწილეობა ძალიან ხარჯიანი და ეკონომიკურად წამგებიანია. **ამდენად, ამერიკას ახლა სასიცოცხლოდ სჭირდება, რომ უკრაინის ომსაც და ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებულ კონფლიქტსაც რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოს.**

არ ვფიქრობ, რომ ტრამპი უკრაინას ყველანაირ დახმარებას ერთი ხელის მოსმით შეუწყვეტს, თუმცა, მილიარდებს ნამდვილად აღარ დაახარჯავს. ამავდროულად, იგი გააგრძელებს რუსეთზე სერიოზულ ზეწოლას, რადგან ამერიკას რუსეთი ახლა სულ სხვა მიზნებისათვის სჭირდება.

**— კერძოდ?**

— ტრამპი და ამერიკის მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი მთავარ მოწინააღმდეგედ ჩინეთს მიიჩნევენ და აპირებენ, თავიანთი რესურსები ევროპიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, წყნარი ოკეანისა და ინდოეთის ოკეანის მიმართულებით გადააჯგუფონ, რათა ჩინეთის ყველა სავაჭრო ტრასის გაკონტროლება შეძლონ. თუმცა, ამერიკა ამას რუსეთის გარეშე ვერანაირად ვერ მოახერხებს და ამიტომაც **ტრამპი** ეცდება, ჩინეთსა და რუსეთს შორის დღევანდელი სიამტკბილობა მოშალოს, სანაცვლოდ კი თავად დაამყაროს რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა.

**რუსეთი არ უნდა გასცდეს უკრაინას, არ შევიდეს პოლონეთსა და ბალტიისპირეთში და შეასუსტოს ურთიერთობები ჩინეთთან!** — ეს არის პირობები, რომლებსაც ტრამპი პუტინს წაუყენებს იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთთან ამერიკის ურთიერთობა კონსტრუქციული და პრაგმატული გახდეს.

**— ესე იგი, ტრამპი რომ აცხადებდა — არჩევნებში გამარჯვებიდან ერთ კვირაში უკრაინაში ომს დავასრულებო, ეს მხოლოდ წინასაარჩევნო პიარი იყო?**

— **ტრამპის გეგმა ასეთია** — უკრაინამ კონფლიქტი უნდა გაყინოს, დათმოს თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი, რომელიც რუსეთს უკვე დაკავებული აქვს და უარი თქვას ნატოში გაწევრიანებაზე, სულ ცოტა, 20 წლის განმავლობაში!

ზოგადად, ამერიკელებმა თავიანთი ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს, როცა რუსეთი უკრაინასთან პროვოცირებულ ომში შეიყვანეს, მაგრამ ახლა ომის დასრულების ბერკეტები მათ ხელში აღარ არის და მხოლოდ რუსეთის გადასაწყვეტია, როდის დაამთავრებს ომს უკრაინაში.

**— ახსენეთ, რომ ტრამპი ამერიკის მთავარ კონკურენტად ჩინეთს განიხილავს... ამ ფონზე რა დამოკიდებულება ექნება მის ადმინისტრაციას საქართველოსთან, რომელიც ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორია და რა ბედი ელის ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს, რომელიც ჩინური ინვესტიციით შენდება?**

— ილუზიები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ქმნის, გეოპოლიტიკური უმეცრების შედეგია, რადგან ასეთი მნიშვნელობის პროექტი მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ურთიერთშეთანხმების გარეშე ვერ განხორციელდება. **იდიოტი უნდა იყო, რომ შავ ზღვაში ჩინეთის შემოყვანა ამერიკელებთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტო, რადგან ამერიკის სამხედრო დოქტრინაში ცენტრალური ადგილი სწორედ შავი ზღვის რეგიონის, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის გაკონტროლებას უჭირავს.**

თავის დროზე, როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საკითხი წყდებოდა, **პრეზიდენტი შევარდნაძე** ავადმყოფობის მომიზეზებით ოთხჯერ გაიპარა ამერიკაში, რათა ამ პროექტზე თეთრი სახლის თანხმობა მოეპოვებინა. ახლა გეკითხებით — ანაკლიის პორტის პროექტი ვისთან არის შეთანხმებული? საქართველოს ხელისუფლებას ეს თემა ამერიკელებთან და რუსებთან დალაგებული აქვს? რა თქმა უნდა, არა! ამდენად, საქმე ცოტა უფრო რთულად არის, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია!

**— იმის თქმა გინდათ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს განხორციელება არ უწერია?**

— ანაკლიას, როგორც გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის სატრანსპორტო კვანძს, განვითარების პერსპექტივა გააჩნია მხოლოდ ბატონი **სპარტაკ ერაგიას** პროექტის ეგიდით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება კარგად იცნობს, მაგრამ, სამწუხაროდ, აიგნორებს.

**— კონკრეტულად რას გულისხმობს სპარტაკ ერაგიას პროექტი?**

— **სპარტაკ ერაგიას** პროექტის მიხედვით, ანაკლიაში უნდა აშენდეს სატრანსპორტო კვანძი, რომელშიც საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტი ერთობლივად მოიყრის თავს. ეს იქნება ალტერნატიული სავაჭრო გზა და უმნიშვნელოვანესი სატვირთო არტერია, რომელიც მსოფლიოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილს ერთმანეთთან დააკავშირებს. ამ მართლაც უნიკალური პროექტის დეტალებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ვიმეორებ — მას საქართველოს ხელისუფლებაც და პირადად **ბიძინა ივანიშვილიც** კარგად იცნობენ.

**— როგორ ფიქრობთ, ტრ-**



## „რუსეთი არ უნდა გასცდეს უკრაინას, არ შევიდეს პოლონეთსა და ბალტიისპირეთში და შეასუსტოს ურთიერთობები ჩინეთთან! – ეს არის პირობები, რომლებსაც ტრამპი პუტინს წაუყენებს!“

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ფხალაძე**
*საგარეო ურთიერთობების ექსპერტი*



**ან რა გვწყინს ან რა გვიხარია?!** ჩვენთვის არაფერი იცვლება — **თუ ანტიამერიკულ ქვეყნებთან ფლირტაობას გავაგრძელებთ, ტრამპს იმაზე მძიმე რეაქცია ექნება,** ვიდრე ეს „დემოკრატების“ პირობებში მოხდებოდა!

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩიხუარდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**პოლიტიზებული მოსამართლე** სადღაც მაინც შემორჩენილა. **ხუჭუა** იმასაც ვერ მიხვდა, რომ **განაჩენი რეალურად ამერიკელებს გამოუტანა.** ყველამ კარგად ვიცით, რომ **ხმის დამთვლელი აპარატები ამერიკელებმა ჩამოგვიტანეს, დაგვიმონტაჟეს და ყველა ატრიბუტიკაც მათ შეარჩიეს ოპოზიციასთან ერთად.** ხომ არ აჯობებდა, რომ **მოსამართლის ამ უსამართლო განაჩენზე** და ოპოზიციის სპეკულაციებზე თავად ამერიკელებს გაეკეთებინათ განცხადება?

„იმედინიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



**დასავლეთი აკვირდება ოპოზიციის ქმედებებს** და როდესაც ქუჩის სტრატეგიის გამოყენებით ვერ იქნება შედეგი მიღწეული, **ოპოზიციას მიუვა ბრძანება, შეწყვიტონ ქუჩაში აურზაური და შევიდნენ პარლამენტში.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გზას დაადგა ამერიკელთა უმეტესობაც,** რომლებმაც ხმა მისცეს ეკონომიკის დასტაბილურებას, ქვეყნის დეკრიმინალიზაციას, **ტრადიციულ ფასეულობებს და, რაც მთავარია, მშვიდობას.**

„აიპრესი“

# „ქართველებმა ტრამპის სლოგანში „ამერიკა“ „საქართველოთი“ უნდა ჩავანაცვლოთ და საქართველო ისევ დიადი გავხადოთ!“




**ამპის გაპრეზიდენტების ფონზე შეწყდება ან შენელდება თუ არა ის არნახული პოლიტიკური წნეხი, რომელსაც კოლექტიური დასავლეთი საქართველოს ხელისუფლების მიმართ ახორციელებს?**

— ჩვენი მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც პროპაგანდით არის გაბრუებული, ერთი რამ კარგად უნდა იცოდეს — ბოლო 30 წელია, საქართველოს ხელისუფლებებს სახელმწიფო ინტერესები არ გააჩნიათ და მხოლოდ თავიანთი პატრონების მსახურებით არიან დაკავებული! დღევანდელი ხელისუფლებაც დასავლეთის უსიტყვო მსახურია, უბრალოდ, პატრონებს ერთ რამეს სთხოვს — თვითმკვლელობისკენ ნუ მიბიძგებთ და ომში ჩართვას ნუ მაიძულებთო!

**— თუმცა, ფაქტია, რომ დასავლეთი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ლამის მამასისხლად არის დაპირისპირებული!**

— ევროკავშირი და ნატო რომ უნდათ, აბა, რა ჰგონიათ?! სანამ საქართველოს ხელისუფლება ამ ბრიყვულ გზაზე იდგება, პატრონებიც ყოველთვის შეახსენებენ, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის „დიად იდეას“ ისეთივე მსხვერპლშეწირვა სჭირდება, როგორსაც ახლა უკრაინა ახორციელებს!

**— რაკი საქართველოს ხელისუფლება ამ მსხვერპლშეწირვაზე არ მიდის, შესაძლოა, კოლექტიურმა დასავლეთმა დაამხოს?**

— დაიმახსოვრეთ: დასავლეთი საქართველოში ვერანაირ გადატრიალებას ვერ მოახდენს, თუ ამ გადატრიალებაში თავად საქართველოს ფაქტობრივი მმართველი **ბიძინა ივანიშვილი** არ იქნება ჩართული!

საერთოდ, დასავლეთი საქართველოსთან მიმართებაში მძიმე შეცდომების დაშვებას თუ გააგრძელებს, აქედან ძირფესვიანად ამოიკვეთავს ფეხს, რაც მისთვის გეოპოლიტიკური კრახის ტოლფასი იქნება! მითუმეტეს, რომ ევროპა ისედაც გეოპოლიტიკური კრახის გზაზე დგას!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



# „ტრამპის გეგმა ასეთია:

**უკრაინამ კონფლიქტი უნდა გაყინოს, დათმოს თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი, რომელიც რუსეთს უკვე დაკავებული აქვს და უარი თქვას ნატოში გაწევრიანებაზე, სულ ცოტა, 20 წლის განმავლობაში!“**

## კვირგვინოსნები

**ალეკო ელისაშვილი**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრი*



არჩევნები განმეორებით რომ დაინიშნოს, **ოპოზიცია უარესად დამარცხდება** და თავი ბაწარში ექნება გასაყრელი!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



მთავარი საკითხია — **გაყალბდა თუ არა არჩევნები?** ჩემთვის პასუხი ნათელია — **არ გაყალბებულა!**

„რეზონანსი“

**გია ნოდია**
*ანალიტიკოსი*



**მე არ გამხარებია ტრამპის მოგება.** ჩემი აზრით, **ტრამპი** არ არის ღირსეული ადამიანი.

„აიპრესი“



## ჯონდი ბაღათურია:

# ტრამპის ტრიუმფალური გამარჯვებით ლიბერალიზმად წოდებული ფაშიზმი დამარცხდა!



***ტრამპის გამარჯვებით მთელ მსოფლიოში ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გაიღება და ეს საქართველომ სათავისოდ უნდა გამოიყენოს! — აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი ჯონდი ბაღათურია და საზოგადოებას ერთ მარტივ ჭეშმარიტებას შეახსენებს:***

— პირდაპირ ვთქვათ, **ტრამპის** ასეთი ტრიუმფალური გამარჯვება პოზიტიური მოვლენაა. ხუთასი ათასით ან ერთი მილიონით კი არა, ხუთი მილიონი ხმით მოუგო **კამალა ჰარისს,** რაც იმას ნიშნავს, რომ ლიბერალიზმად წოდებული ფაშიზმი დამარცხდა ფაშიზმის მთავარ ბუდეში — შეერთებულ შტატებში! ამ ფაქტმა ახალი პერსპექტივები გამოუჩინა არამხოლოდ ამერიკას, მთლიანად მსოფლიოს. ვინ როგორ გამოიყენებს ამ შესაძლებლობებს, ეს უკვე თავად ხალხზე და მათ მარიფათზეა დამოკიდებული.

**— რა გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდეთ ახალ პოლიტიკურ მოცემულობაში?**

— იდეოლოგიური ფანატიზმის ნაცვლად ახლა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში დომინირებას რაციონალიზმი დაიწყებს. თეთრი სახლი გადადგამს იმ ნაბიჯებს, რითიც, პირველ რიგში, თავად ამერიკა იხეირებს. **ვფიქრობ, საქართველოსთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან და, ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ერთგვარი გარიგება შედგება.** ამერიკის გავლენა ამ რეგიონში შემსუბუქდება და დაპირისპირების ცენტრი ახლო აღმოსავლეთში გადაინაცვლებს. დიდი ალბათობით, ტრამპის ადმინისტრაცია სავაჭრო ომს გამოუცხადებს ჩინეთს. რუსეთი მათი ეკონომიკური კონკურენტი არ არის. ევროპა იყო, მაგრამ ის უკვე გაანადგურეს.

**— რა შეიცვლება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— ე.წ. გრანტების ოდენობა შემცირდება და აბსოლუტური კონტროლი იქნება შემოსულ თანხებზე, რათა გარყვნილების პროპაგანდასა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობას არ მოხმარდეს. დაიწყება მოლაპარაკება საქართველოსთან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მეტი შესაძლებლობა გვექნება, ვივაჭროთ დიდ ქვეყნებთან და ვისარგებლოთ მათი პროექტებით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროკავშირის ზოგიერთი ლიდერის ქედმაღლურ მითითებებს ცალსახად არ დავემორჩილებით, მათ შორის, რუსეთთან ომში ჩართვაზე და ჩვენს პრინციპებს ბოლომდე გავიტანთ!

**— სწორედ ამგვარი პერსპექტივების და განცხადებების გამოა დღეს ერთი ამბავი ატეხილი — ეს ხელისუფლება რუსეთისკენ მიგვაქანებს, ჩვენ კი ევროპა გვინდაო...**

— რომელი ევროპა, ბორელის? — ჩვენ ვართ ევროპული ელიტა და სხვები შემოჭრას ცდილობენო, რომ ამბობდა?! ჯუნგლებად რომ გამოგვაცხადა, იმ ევროპის ლიდერებს უნდა დავუჯეროთ და გავეგოთ ფეხქვეშ? ვიდრე ევროპასა და ამერიკას იყვირებდნენ, ჯერ დააკონკრეტონ, რომელს გულისხმობენ — კუბილიუსის ევროპას თუ ორბანის ევროპას, ბაიდენის ამერიკას თუ ტრამპის ამერიკას?!

არ შეიძლება, ევროკავშირი და ნატო რელიგიამდე აიყვანო. არ შეიძლება, ადამიანმა ინდაურივით აკენკო და გადაყლაპო ინფორმაცია. ღმერთმა ტვინი იმიტომ გიბოძა, რომ მიხვდე, რამდენად სწორ ინფორმაციას გაწვდიან აბსოლუტურად გაკოტრებული პოლიტიკოსები. გამიჭირდება, პატივისცემა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამბობენ — არჩევნები გაყალბდა, ჩელიაბინსკში გავიღვიძეთო. რას ჰქვია, რუსეთში გავიღვიძეთ ან აფრიკაში გადავინაცვლეთ? ეს არის მორალური სიღატაკისა და უტვინობის მაჩვენებელი. ადამიანს, რომელსაც გონიერებასა და სოლიდურობაზე აქვს პრეტენზია, არ შეიძლება გაკოტრებული ოპოზიციის მიერ არჩევნების წაგებას გაყალბებას უწოდებდეს და რამდენიმე კრეტინის, მევახშისა და თაღლითის სიტყვების სჯეროდეს!

სწორედ ამგვარ გამოთაყვანებულ აუდიტორიაზე აქვთ გათვლილი პრორუსულისა და პროამერიკულის ძახილი. დღეს პრორუსული და პროამერიკული აღარ არსებობს. მსოფლიო ორ ნაწილად გაიყო, ერთ მხარეს ვართ ჩვენ — ტრადიციონალისტები, მართლმადიდებლები, სხვადასხვა კულტურული ცივილიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ ადამიანის სახის შენარჩუნებას, მეორე მხარეს — ისინი, ვინც ამის საპირისპიროდ იქცევიან. მათ მხოლოდ ივანიშვილი და ტრამპი კი არა, სამშობლო არ უყვართ, მორალი სძულთ. **როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ტრამპის გუნდში ერთ-ერთი ნომერ პირველი ლიბერალის ილონ მასკის გამოჩენა? პირადმა ოჯახურმა ტრაგედიამ. მას მოტყუებით მიაცემინეს თანხმობა, მისი შვილის ტრანსგენდერ ქალად გადაკეთებაზე. კაცმა ამის გამო შვილი დაკარგა და მისმა მსოფლმხედველობამ აბსოლუტური ტრანსფორმაცია განიცადა.**

ყველა იმ პარტიას, დღეს ქუჩაში ქვების სროლით რომ დაეხეტება და უკვე 15 კაცამდე დავიდა, ხელი აქვს მოწერილი ლგბტ პროპაგანდაზე. რელიგიამდე აქვთ აყვანილი ეს გარყვნილი იდეოლოგია. ადამიანთა მსგავსებაზე უარს ფულის, გრანტების გამო ამბობენ. ამიტომაც ვამბობდი და ვამბობ — ბრბო, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, უნდა ჩაირეცხოს! მათგან პოლიტიკური მოედანი უნდა გაიწმინდოს!

**— კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მათ უკან ევროკავშირის ლიდერები დგანან და კბილებით იცავენ!**

— ამ ბრბოს უკან ევროპის ელიტის ის ნაწილი დგას, რომელიც ასეთივე ბრბოა! ყველგან, მთელ მსოფლიოში არის დაპირისპირება ადამიანურობის შენარჩუნებასა და ადამიანის სახის დაკარგვის მომხრეთა შორის. ევროკავშირის ეს ნაწილი მხარს უჭერს იმ ბრბოს, რომელსაც ადამიანის სახე აქვს დაკარგული. რატომ მივესალმებით შეერთებულ შტატებში ტრამპის გამარჯვებას და ლიბერალური ფაშიზმის დამარცხებას? იმიტომ, რომ იქ იყო მთავარი ბუდე. შტატებმა ამ ორ ძალას შორის მკაფიო არჩევანი უკვე გააკეთა — **ამერიკის სათავეში იყო ბრბო ლიბერალების სახით, მაგრამ დღეს მათი ადგილი ტრადიციონალისტმა ტრამპმა დაიკავა.** ეს ტალღა აქეთაც წამოვა.

> **„ვიდრე ევროპასა და ამერიკას იყვირებდნენ, ჯერ დააკონკრეტონ, რომელს გულისხმობენ — კუბილიუსის ევროპას თუ ორბანის ევროპას, ბაიდენის ამერიკას თუ ტრამპის ამერიკას?!“**

**— და მაინც, როგორ გამოიყენებს საქართველო ტრამპის მეორედ მოსვლას?**

— ცხადია, საქართველოში ახალი პოლიტიკური სიო დაბერავს და ასეთ დროს პირდაღებულები არ უნდა შევყურებდეთ ხელისუფლებას. ჩვენ უნდა აქტიურად ჩავერთოთ ქვეყნის ცხოვრებაში და ვაიძულოთ პოლიტიკური ელიტა, გააკეთოს ის, რაც ერისა და ხალხის ინტერესებშია!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# რუკა ვერ გაშალენ!

***ამ ამბავმა, რასაც ახლა მოგითხრობთ, ქუთაისიდან საფრანგეთში გაქცეული გოგია წულაია და მისი ცნობილი ფრაზა — „დროშა ვერ დაკიდენ!“ — გამახსენა.***

ქუთაისელ ენაკვიმატსა და ყოფილ პარლამენტარ **გოგია წულაიას,** რომელიც ჯერ ზვიად გამსახურდიას ებრძოდა, მერე მიშას ნაცში **შევარდა,** მერე ნაციდან **გამოვარდა,** მერე ისევ **შევარდა** და ბოლოს ვიღაც ქუთაისელ ქალს ლოგინში **შეუვარდა,** რამდენიმე სახალისო ისტორია უკავშირდება... მათ შორისაა **„დროშა ვერ დაკიდენ“,** როცა ქუთაისში რაგბის საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა და შეჯიბრში მონაწილე ქვეყნების ვეება დროშების გვერდით საქართველოს ხუთჯვრიანი ბაირაღი სასაცილოდ პატარა ჩანდა. ამის გამო გოგია წულაიამ საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადებული სააკაშვილის პარტიული ალამი პატარა ბავშვის ჭუჭუს შეადარა და ჩაილაპარაკა — **დროშა ვერ დაკიდენ ამ შობელძაღლებმა!**

ცალკე ცირკია ქუთაისში, შუა ჭავჭავაძის გამზირზე, ანკესით მოთევზავე **გოგია წულაიას** თავგადასავალი, როცა ქუთაისის მერიაში მოკალათებული ჰალსტუხიანი ღორები და ყვარყვარეზე უკეთ გაქნილი ბიუჯეტის ვირთხები დაზიანებულ ასფალტის საფარს ცოცხალი თავით არ არემონტებდნენ... ამის გამო შუა გზაზე ტბორი დადგა, რითიც წულაიამ უმალ ისარგებლა და ხელისუფლებას ანკესით ისეთი პერფორმანსი მოუწყო, ვინ სად გარბოდა, ღმერთმა უწყის.

მოკლედ, თუ ქუთაისში **„დროშა ვერ დაკიდენ!“,** წინა კვირას თბილისში რუკა ვერ **გაშალენ** და აფხაზეთი და სამაჩაბლო **წაშალენ!**

კერძოდ, 2024 წლის 4 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის შენობაში მოხდა შემთხვევა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **ღლევანდელ ხელისუფლებას პიარში საშინლად უჭირს,** ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში სახელმწიფო თანამდებობის პირებს წარმოადგენენ და მსუყე ხელფასებთან ერთად ყველანაირი პრივილეგიითა და სამთავრობო სიკეთით სარგებლობენ, თბილი კაბინეტებიდან სულ კონწიასკრით და თავპირისმტვრევით არიან გამოსაგდები.

თავიდანვე ვაცხადებთ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** მიმართ მხოლოდ პატივისცემა გვალაპარაკებს და მიგვაჩნია, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ნამდვილად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ლიდერად, რომლის მოთმინება, სიდინჯე, პროფესიონალიზმი და ეროვნულ-პატრიოტული შეგნება მართლაცდა სამაგალითოა.

**საქმე ეხება სწორედ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის ბრიფინგზე მომხდარ შემთხვევას, როცა ქვეყნის ნომერ პირველმა სპიკერმა „ქართული ოცნების“ მიერ არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებულ ბრალდებებსა და ოპოზიციისა და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებზე ისაუბრა.** ბრიფინგის მიმდინარეობისას საპრეზენტაციო ეკრანზე გამოჩნდა საქართველოს რუკა და






ის რაიონები და რეგიონები, სადაც „ქართულ ოცნებას“ დელეგატები ჰყავდა წარდგენილი.

***საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის მიმართ მხოლოდ პატივისცემა გვალაპარაკებს და მიგვაჩნია, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ნამდვილად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ლიდერად!***

**საპრეზენტაციო ეკრანზე გამოფენილი საქართველოს რუკის ის ნაწილები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ადამიანის თვალისა და ტელეკამერისთვის ძნელად აღსაქმელი ღია ფერით იყო გაფერადებული, რამაც შექმნა განცდა, თითქოს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და შიდა ქართლს საქართველოს ტერიტორიებად აღარ მიიჩნევს**

# აფხაზეთი და სამაჩაბლო წაშალენ!

და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ისტორიული პროვინციები რუკაზეც აღარ გამოსახა.

ცხადია, ამის გამო სოციალურ ქსელებსა და ნაცტელეკანალიზაციებში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა — **არიქა, საქართველოს რუსული ხელისუფლება რუსეთს საბოლოოდ მიეყიდაო!**

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიდო თავი **გიორგი გახარიას ლგბტ პარტიის აქტივისტმა კახა ქემოკლიძემ,** რომელმაც „ფეისბუქში“ დაწერა — **„ვაჰ, დე ფაქტო აღიარეს, ხომ ვიძახდით! თან ვერ ბედავენ თქმას და თან „ნებიერად“ გვაჩვევენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობას“! მსგავსი არაფერი მინახავს არსად. თან რომ ჭკუას გარიგებენ პატრიოტიზმზე და ქვეყნის სიყვარულზე!“**

**ქემოკლიძეს,** რომლის პარტიაც ევროპელი მეკურტუმეების ულტიმატუმს ეთანხმება და საქართველოში ლგბტ პროპაგანდის დაშვებას ითხოვს, ნაცსექტანტი **გიორგი მელაშვილი** ამძუვნებული ძაღლივით აეტორღიალა — **„ქოცებმა ამასობაში რუსეთის ოკუპაცია აღიარეს!“** ხოლო **ხატია დეკანოიძემ,** რომლის „შავი ხვრელის“ სანახავადაც ბაიდენმა საქართველოში სამი კაცი გამოაგზავნა, როგორც უკრაინის სპეცსამსახურების აგენტმა, ცეცხლზე ნავთი დაასხა და გააშანშალა — **„ქოცებს საქართველოს რუკაც შეუცვლიათ უკვე...“**

ნაცსექტანტებისა და მათი მეკავშირეების მიერ ატეხილ ღრიანცელს, ცხადია, უმალ გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი,** რომელმაც განაცხადა — **„ვინმეს თუ აქვს პრობლემა ფერების აღქმაში, მაშინ მოვუწოდებ, დააკვირდნენ — საქართველოს ის ნაწილები, რომლებიც ოკუპირებულია, არის რუხი ფერით გამოსახული, მის გარშემო არასაქართველოს ტერიტორიები არის თეთრი ფერით გამოსახული. ამიტომ ესეც აჩვენებს, რა სამარცხვინო ხალხთან გვაქვს საქმე. ვინც მაგას აკეთებს, ეს ადამიანები, უბრალოდ, ამ ქვეყნის შვილები არ არიან, ჩემი შეფასებით!“**

ცხადია, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება საქართველოს ხელისუფლებისა და **შალვა პაპუაშვილის** სიმართლეში და ისიც არაბალია, რომ როგორც ლგბტ გახარიას, ისე სააკაშვილის ღობეზე ცხრაჯერ გადამხტარი ხატია დეკანოიძის სახით, მართლაც სამარცხვინო და ამორალურ ხალხთან გვაქვს საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ **საქართველოს პარლამენტში იმ დღეს, ანუ 2024 წლის 4 ნოემბერს, რუკა ვერ გაშალენ, ხოლო აფხაზეთი და სამაჩაბლო წაშალენ!**

**კი ბატონო, საქართველოს ოკუპირებული რეგიონები იმ რუკაზე ძალიან მკრთალი ფერით იყო გამოსახული, მაგრამ ჩასაფრებულ ადამიანებს მიზეზი მიეცათ, მოსახლეობისთვის კიდევ ერთხელ შეეჯყარათ თვალში ნაცარი – რომ ხედავთ, ხელისუფლებამ რუკიდან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი გააქრო!**

ყურადღებიანი და ხელისუფლების გულშემატკივარი სახელმწიფო მოხელე, რომელმაც იცის, თუ რა სიბინძურეზე არიან წამსვლელი სააკაშვილის სარეცლიდან გადმობობღებული მავნებლები, შალვა პაპუაშვილს ბრიფინგის დაწყებამდე აუცილებლად ეტყოდა — **ბატონო შალვა, ეს ღია ფერი თვალისთვის ძნელად აღსაქმელია და ოპონენტებს სალაპარაკო რომ არ მივცეთ, ქვეყნის ოკუპირებული რეგიონები რომელიმე მკვეთრი ფერით, მაგალითად, წითლად გავაფერადოთო!**

ერთი წამის საქმე იყო ამის გაკეთება, მაგრამ ამით არავინ დაინტერესდა და შეკითხვაც არავის გაუჩნდა, რადგან

**ვისაც ეს უნდა ეკითხა, ისინი ყოველგვარი შეკითხვის გარეშე, ბიძაშვილ-მამიდაშვილობის პრინციპით დაასაქმეს და მასზე ბევრად ნიჭიერი და მამულიშვილი ქუჩაში დატოვეს, როგორც უპატრონო და მიუსაფარი.**

ნაპოლეონი ამბობდა — დავეხმაროთ ძლიერებს და ნიჭიერებს, უნიჭოები და ვირთხები ისედაც გაიკვლევენ გზას!

**ეს ქვეყანა სწორედ პატრონიანმა უნიჭოებმა და უპატრონო ნიჭიერებმა დაღუპეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

# გენერალისიმუსი

№54 (290) ★ 2024 წლის 11 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


***2024 წლის 9 ნოემბერს, ბერლინის კედლის დაცემის 35-ე წლისთავზე, გერმანიის საელჩომ გაავრცელა უაღრესად ვირეშმაკური და ფარისევლური განცხადება, რომ საქართველოში შესაძლებელია „მშვიდობიანი რევოლუცია და ბერლინის კედლის დანგრევა ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ამ პოლიტიკურ ნაბოდვარს წინ უსწრებდა პრეზიდენტ მაკრონის, კანცლერ შოლცისა და პრემიერ-მინისტრ ტუსკის მიერ საქართველოსათვის ბუდაპეშტიდან წამოყენებული ულტიმატუმი — თუ ქვეყანაში ლგბტ პროპაგანდას არ დაუშვებთ და უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონს არ გააუქმებთ, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს არ გავხსნითო.***


გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი

# ეი, თქვენ, გერმანიის საელჩოში, რას მიედ-მოედებით?

პირველ და მეორე განცხადებას ერთმანეთისგან სამი დღე აშორებს და **ის ბნელი ძალები, რომლებმაც მაკრონს, შოლცსა და ტუსკს საქართველოს მისამართით ზემოხსენებული განცხადება გაახმოვანებინეს, ეტყობა, იმედოვნებდნენ, რომ ამ ულტიმატუმის შემდეგ ქართველები აჯანყდებოდნენ და საქართველოს ხელისუფლებას ტყვიებს დაუშენდნენ — როგორ თუ კაცებს ქალად გადაკეთებას, ხოლო ქალებს კაცად გადაკეთებას გვიკრძალავთო?!**

ევროპელი მტაცებლები სამი დღე გალურსული უცდიდნენ, რა მოხდებოდა თბილისში და კიდევ ერთხელ გადაბუგავდნენ თუ არა ქართველები დედაქალაქს. უდღეურთა მოლოდინი რომ ჩაიფერფლა და ლგბტ „ოპოზიციამაც“ ჩაისვარა, **ადგნენ და გერმანიის საელჩოს პირდაპირ დაავალეს — ქართველებს ღიად და დაუფარავად მოუწოდეთ, ქვეყანაში რევოლუცია დაიწყონო!**

დიახ, სწორედ ეს გვითხრეს და **ახლა გერმანიის საელჩო უსინდისოდ ტყუის, როცა აცხადებს — ეს ფეისბუქპოსტი მხოლოდ ბერლინის კედლის დანგრევას ეხებაო!**

**ადოლფ ჰიტლერს** ძალიან უყვარდა **ტალეირანის** ერთი გამონათქვამი — ენა ადამიანს ღმერთმა იმიტომ მისცა, რომ დაფაროს თავისი ნამდვილი ზრახვები! ასე რომ, გერმანელო დიპლომატებო, რას მალავთ და რას ლამობთ, საქართველოში გეი-რევოლუციის მოხდენა გინდათ?

სხვათაშორის, ისტორიაც გაყალბებული გცოდნიათ! **თქვენ მართლა გჯერათ, რომ 1989 წლის 9 ნოემბერს, როცა ბერლინის კედელი დაინგრა, ეს რევოლუცია იყო?**

ბავშვმაც კი იცის, რომ სინამდვილეში ეს გახლდათ იმ დიდი პოლიტიკური გარიგების შედეგი, რომელიც გლობალურმა დასავლეთმა და მისმა უპირობო ლიდერმა, პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა** ამერიკული „ცერეუს“ ნომრიან აგენტებთან — **გორბაჩოვთან, იაკოვლევთან და შევარდნაძესთან** მილიონების სანაცვლოდ დადო.

ამ გარიგებისა და პოლიტიკური ვაჭრობის შედეგად შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ ერთად მიაფურთხეს ადამიანის უფლებებს, სახელმწიფოთა თვითგამორკვევის პრინციპს, ყველა კონვენციას, ქარტიასა თუ შეთანხმებას **და უპირობოდ დაუჭირეს მხარი სისხლიანი გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ შევარდნაძეს.** უფრო მეტიც, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **გენშერმა,** რომელმაც **ჯეიმს ბეიკერთან** ერთად პირველმა აკურთხა ამბროსოვიჩის სისხლიანი ხუნტა, ბანდიტების ხელისუფლებას საჩუქრად გადასცა გერმანული ნაგაზები და დობერმან-პინჩერები, რომლებსაც შევარდნაძე და მის მარაქაში გარეული პროფესიონალი მკვლელები მშვიდობიან მომიტინგეებს უქსევდნენ.

გავიდა, სულ რაღაც, 30 წელი და ამერიკის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** არჩევის შემდეგ გერმანიის მმართველი კოალიცია დაიშალა, **კანცლერ შოლცს** ვადამდელი არჩევნები და შინ წასვლა ემუქრება და ამის მიუხედავად, **ჰერ ოლაფი** საქართველოში გადატრიალების მოწყობაზე ოცნებობს! არადა, მასზე მოკლედ და მოსწრებულად ბრძანა **ილონ მასკმა** — **„ოლაფი შტერია!“**

მსოფლიო დიპლომატიის გროსმაისტერი და დიდი გერმანიის მესაძირკვლე **ოტო ფონ ბისმარკი** რომ ცოცხალი იყოს, ალბათ, ის კიდევ უფრო პირდაპირი იქნებოდა და იტყოდა — **„ოლაფი კრეტინია!“**

ხოლო ჩვენ, ქართველები, მას შემდეგ, რაც გერმანიის საელჩომ **„მშვიდობიანი რევოლუციის“ მოწყობა „გვირჩია“** და გასაქეზებლად ბერლინის კედლის დაცემის ფოტოსურათები ცხვირწინ აგვიფრიალა, ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ **მთავრობა, რომელსაც ჰყავს ოლაფი, ანალენა ბერბოკი, ორჯერ გათხოვილი კაცი მიხაილ როთი და რომელმაც გერმანიის ეკონომიკა დააქცია, აუცილებლად უნდა გასამართლდეს!**

ძაღლმიმკვდარი ჰიტლერი, რომელიც სხვა ქვეყნების საქმეებში ცხვირს ყოფდა და მამაგამჩენი არ ასვენებდა, თავის რაიხსმარშლებთან, ფელდმარშლებთან და ობერშტურბანფიურერებთან ერთად სწორედ ქართველმა მთავარსარდალმა — **სტალინმა** გაუშვა მარილზე.

**ეტყობა, გერმანიის ხელისუფლებას პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გეგმური ვაქცინაცია ისევ უწევს და ამიტომაც ვერ ისვენებს!**

ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ დიადი გერმანული ნაცია ამ სამარცხვინო მთავრობას აუცილებლად მოჰკითხავს და ისტორიის სანაგვეზე მოისვრის!

მართლაც, **მთავრობა რომ „ფოლკსვაგენის“ ქარხნებს დახურავს, გერმანიის ეკონომიკას რეცესიაში შეიყვანს და უმამაცესი კიმბრების, ტევტონების, სვებების, მარკომანებისა და გოთების შთამომავალ დიდ გერმანელ ერს უისტორიო და უსამშობლო ამერიკელებისა და გარყვნილი ლგბტ სოდომისტების ჩეჩმად გადააქცევს, ის არათუ რევოლუციის, არამედ ეშაფოტისა და გილიოტინის ღირსია!**

ერები და ხალხები, როგორც ადამიანები, ხშირად ავადდებიან... აი, მაგალითად, **გუთენბერგის, გოეთეს, შილერის, კანტის, ჰეგელის, ნიცშეს, ბეთჰოვენის, ჰენდელის, კარლ ფონ კლაუზევიცის, თომას მანის** მშობელი ერი 1933 წელს დაავადდა, როცა ხელისუფლებაში ჰიტლერი მოიყვანა და ფაშისტურ ხროვას ქედი მოუხარა... საბედნიეროდ, ქართველმა გენერალისიმუსმა იოსებ სტალინმა გერმანელი ერი 1945 წლის მაისში ფაშიზმისგან განკურნა და მელიტონ ქანთარიას დროშით ჩვენც ღირსებით შევედით ევროპაში!

**როგორც ჩანს, ჩვენ კიდევ მოგვიწევს დასავლეთისკენ ღირსებით სვლა,** ხოლო გერმანიის საელჩოს, რომელიც ასეთი განცხადებების გამკეთებელი დიპლომატიური კორპუსით საქართველოს მიწას ამძიმებს, **ქართველი ერისაგან სერიოზული ალიყური მართებს!**

***დიტო ჩუბინიძე***

Deutsche Botschaft Tiflis გერმანიის საელჩო თბილისი
12 სთ ·

მშვიდობიანი რევოლუცია შესაძლებელია. ბერლინის კედლის დაცემა ამის მაგალითს წარმოადგენს. ათწლეულების განმავლობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩაკეტილი ჰყავდა მოქალაქეები ჩაგვრისა და ძალადობის სისტემაში. გდრ-ის მოქალაქეებმა, გამოიჩინეს რა გამბედაობა და სურვილი, თავად განესაზღვრათ საკუთარი ბედი და ეცხოვრათ თავისუფლებაში, მიაღწიეს ბერლინის კედლის დანგრევას. ამით მათ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადამიანებთან ერთად შექმნეს საფუძველი გერმანიის გაერთიანებისთვის და თავისუფალი, ერთიანი ევროპისთვის. დღესაც შეიძლება იგივე ითქვას: თავისუფლება თავისთავადად არ მოდის, ჩვენ მისთვის უნდა ვიბრძოლოთ - ასე იყო მაშინაც და ასე არის დღესაც, აქაც და მთელს მსოფლიოში. **#WeInvestInFreedom**

Eine friedliche Revolution ist möglich. Der Fall der Berliner Mauer ist ein Beispiel dafür. Über Jahrzehnte hielt die DDR ihre Bürger*innen eingesperrt in einem System aus Unterdrückung und Gewalt. Mit ihrem Mut und ihrem Wunsch nach einem selbstbestimmten Leben in Freiheit brachten die Menschen in der DDR die Berliner Mauer zu Fall. Und legten gemeinsam mit anderen mutigen Menschen in Mittel- und Osteuropa das Fundament für die deutsche Wiedervereinigung und für ein freies, gemeinsames Europa. Auch heute gilt: Freiheit ist nicht selbstverständlich. Wir müssen für sie einstehen. Damals und heute. Hier und weltweit. **#WeInvestInFreedom**

## ფაშიზმის ექო ★



# როგორც ჩანს, გენერალისიმუსმა სტალინმა გერმანია ფაშიზმისაგან ბოლომდე ვერ განკურნა!



*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-53*

# ას ერგასის



მიხეილ კვესელავა

## ნავთის სუნი...

ინგლისის „კავკასიური პოლიტიკის“ საკითხებზე გერმანელებიც კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. 1942 წლის 27 ივლისს როზენბერგი „კავკასიის მართვის“ თაობაზე შედგენილ სპეციალურ მემორანდუმში სწერდა ჰიტლერს:

— ლონდონის პოლიტიკა ყურადღებას აქცევდა კავკასიის პრობლემას მთლიანად. 1939 წელს გამოქვეყნებულ სტატიებში გამოთქმული იყო ბრიტანული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კავკასიის ზონას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ უკრაინას...

შემდეგ როზენბერგი იმოწმებს ამონაწერს ერთ-ერთი ასეთი ინგლისური სტატიიდან:

— ხელისუფლებას, რომელიც განმტკიცდება კავკასიის ყელზე, შეუძლია, დააბრკოლოს ცენტრალური რუსეთისაკენ მოძრაობა ვოლგის დიდი არტერიით და კონტროლს ქვეშ იყოლიოს დღევანდელი დიდი რუსეთის შემცირებული სახელმწიფო. ერთდროულად იმავე ხელისუფლებას მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი ექნება, მიუახლოვდეს სპარსეთის უბეს, ერაყისა და ირანის ნავთობის ზონას. არცერთ მსოფლიო სახელმწიფოს არ შეუძლია, ნება დართოს რომელიმე ახალ მსოფლიო სახელმწიფოს, გამაგრდეს კავკასიის ყელზე...

ეს იყო მთავარი! არც გერმანიას, არც ინგლისსა და არც საფრანგეთს არ უნდოდათ დაეშვათ „სხვა ვინმეს“ ბატონობა კავკასიაში, რადგან ამ საქმეს, როგორც იტყვიან, „ნავთის სუნი ასდიოდა“. ყოველი მათგანი თვითონ ცდილობდა ამას. გერმანიაც, რა თქმა უნდა. იმავე დოკუმენტში როზენბერგი წერს:

— აშკარად ჩანს, რომ ინგლისელებს სურთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში კავკასია დაქუცმაცებული იყოს და არა შეკავშირებული რომელიმე მსოფლიო სახელმწიფოს, პირველ რიგში, გერმანიის მიერ.

როზენბერგის აზრით კი, პირიქით:

— გერმანიას სურს, შექმნას თავისთვის მტკიცე პოზიციები კავკასიაში და ამით უზრუნველყოს კონტინენტალური ევროპის უშიშროება, ე.ი. განამტკიცოს თავისი კავშირი ახლო აღმოსავლეთთან. ნავთის საბადოებთან მხოლოდ ეს კავშირი გახდის მომავალში გერმანიასა და მთელ ევროპას დამოუკიდებელს საზღვაო სახელმწიფოთა ყოველგვარი კოალიციისაგან. გერმანიის პოლიტიკის მიზანია: კავკასიასა და მის სამხრეთით მოსაზღვრე სახელმწიფოებში ბატონობა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით...

ნიურნბერგის დოკუმენტებიდანვე გაირკვა, რომ გერმანელებს განზრახული ჰქონდათ, ბაქოში შეექმნათ ძლიერი სამხედრო კოლონია და განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ნავთის ექსპლოატაციის საკითხისათვის. რაუშნინგი ჯერ კიდევ 1934 წელს წერდა, რომ ჰიტლერი დაინტერესებული იყო კავკასიის ნავთის საკითხებით. ამასთან დაკავშირებით საქართველოზედაც ჩამოაგდო თურმე ლაპარაკი. გაახსენდა, რომ ერთ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებლად არსებობდა, დეტერდინგი იყო დაინტერესებული ამ ქვეყნით. მაშინაც იმის გაგება მოისურვა, დეტერდინგის მოსყიდვა თუ შეიძლებაო საქართველოს შეპირებით, მაგრამ ცდებოდა: „ნავთის მეფეს“ ბაქო უფრო აინტერესებდა, ვიდრე საქართველო. ჰიტლერსაც ეს უნდოდა. ამიტომ იყო, მომავალ რაიხსკომისარიატ „კავკასიას“ ეკონომიური თვალსაზრისით მან „ბაქოს ოლქი“ რომ უწოდა. აქვე უნდა შექმნილიყო აღმოსავლეთში უდიდესი გერმანული სამხედრო პლაცდარმი, სადაც მხოლოდ სამხედროები იცხოვრებდნენ. მათი ოჯახებისათვის და, საერთოდ, კავკასიაში გადმოსახლებული გერმანელებისთვის უმთავრესად საქართველოს „განხალხებული“ ტერიტორია იყო განკუთვნილი. ისიც გამოირკვა, რომ ამას მათ ჟარგონზე „პოლიტიკური ხასიათის პრობლემა“ ეწოდებოდა და თვით გერმანიის ტერიტორიული ფარგლების გაფართოებას გულისხმობდა. როზენბერგი წერდა:

— აღმოსავლეთის პრობლემა ითვალისწინებს ბალტიისპირელი ხალხების გადაყვანას გერმანული კულტურის წიაღსა და იმპერიის ფართოდ მოხაზული საზღვრების დადგენას. უკრაინის ამოცანაა, უზრუნველყოს გერმანია და მთელი ევროპა კვების პროდუქტებით, ხოლო კონტინენტი — ნედლეულით. კავკასიის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ხასიათისაა და ნიშნავს კონტინენტური ევროპის გაფართოებას კავკასიის ყელიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ...

ნიურნბერგის პროცესზე ეს დოკუმენტი რომ გამოაქვეყნეს, საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ ჰკითხა როზენბერგს:

— წაიკითხეთ ეს ადგილი?

— დიახ! — მიუგო ბრალდებულმა.

— თქვენ ხომ არ უარყოფთ, რომ ასეთი გეგმა არსებობდა? — შეეკითხა ისევ რუდენკო.

— არა, მე ვადასტურებ ამას, — აღიარა როზენბერგმა...

## შვინდისფერი ხავერდი...

**შიკედანცი!** ეს გვარი მე ადრეც მქონდა გაგონილი. სრულიად შემთხვევით, მაგრამ მაინც. მაშინ ბერლინში ვმუშაობდი საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის აპარატში. დილით ჩემმა უშუალო უფროსმა ა. სობოლევმა გამომიძახა და მითხრა:

— ცნობა მივიღეთ, რომ კარლსჰორსტის ეკლესიაში ინახება ჰიტლერის პირადი არქივი. გთხოვთ, ახლავე გაემგზავროთ იქ და შეამოწმოთ, რამდენად სწორია ეს.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მარკოვი, მდივანი ირინა, შოფერი ანდრეი და მე უკვე იმ ეკლესიის კარებთან ვიდექით. ჩვენს ძახილს, ცხადია, არავინ გამოეხმაურა. ან კი ვინ იქნებოდა იქ! კარები ისე მაგრად იყო დაკეტილი, რომ იძულებული გავხდით, მისი გაღება ანდრეისათვის მიგვენდო. მან უცებ შეასრულა ეს დავალება, მერე ხუმრობით პირჯვარი გადაიწერა და პირველმა თვითონ შეაბოტა ეკლესიაში. იატაკი სულ ფოტოსურათებითა და დაფანტული ქაღალდის ფურცლებით იყო მოფენილი. ეტყობოდა, პირდაპირ მანქანებიდან გადმოეყარათ ყველაფერი. ეკლესია კარგად იყო განათებული. გუმბათის ქვეშ ვიწრო, მაგრამ მაღალი ფანჯრებიდან ხანჯლებივით იჭრებოდა მზის სხივები. კედლები სულ ფრესკებით იყო დაფარული. ჯვარცმული ქრისტე ჩამშრალი თვალებით დაჰყურებდა ძირს, იატაკზე მიმოფანტულ ქაღალდებს. ღვთისმშობელს ხელში ბავშვი ეჭირა და თითქოს გასაქცევად ემზადებოდა, შეშინებული ანგელოზებიც გაფრენას აპირებდნენ. ზემოდან კი „მაღალი ღმერთი“ დაჰყურებდა თავისი უღირსი შვილების ნამოქმედარს.

მაშინვე ვეცით დოკუმენტებს და დავრწმუნდით, რომ არქივი მართლაც ჰიტლერს ეკუთვნოდა ან მის პირად კანცელარიას წარმოადგენდა. აქ იყო უამრავი ფოტოსურათი, „მადლიერი ერის“ წარმომადგენლები რომ გულისამაჩუყებელი წარწერებით უგზავნიდნენ თავიანთ ფიურერს, გავლენიან პირთა განცხადებები და პირადი წერილები, მისასალმებელი დეპეშები, ალბომები ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ფოტოებით.

ანდრეი და ირინა სურათებს ათვალიერებდნენ, მე და მარკოვი კი წერილებს ჩავუჯექით. ზოგი რას სთხოვდა ჰიტლერს და ზოგი რას. ვნახე შახტის წერილი, თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ რომ მიეწერა ფიურერისათვის, ხელფასი და ავტომანქანა შემინარჩუნეთო. „სრულიად უკრაინის“ ყოფილი ჰეტმანი სკოროპადსკი შესჩიოდა თავის „ძვირფას ფიურერს“, უკვე მთელი ჩემი სამშობლო „გათავისუფლებულია“, მე კი ნოირატს ტუსაღივით ვყავარ გამოკეტილიო, და ითხოვდა, „უფლებებში აღედგინათ“ როგორც ჰეტმანი უკრაინისა.

ეს ამაო თხოვნა იყო. ჰიტლერს უკრაინა თავისთვის უნდოდა და არა სკოროპადსკისათვის...

...განცხადებებს მისასალმებელი წერილები მოჰყვებოდა. რა მლიქვნელური სიტყვებით არ მიმართავდნენ ჰიტლერს მისი პალადინები:

— მე არ ვიცი, რა არის ღმერთი, მე ვიცი ადოლფ ჰიტლერი, — სწერდა მას გებელსი და ულოცავდა დაბადების დღეს.

— რა იქნებოდა გერმანია, განგებას რომ თქვენ არ მოევლინეთ მის ფიურერად! — გერინგი.

— მხოლოდ თქვენი სიცოცხლეა გერმანიისა და ყველა ჩვენგანის იმედი! — ჰიმლერი.

— რა ბედნიერებაა, რომ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ დედამიწაზე! — რიბენტროპი...

— მე მხოლოდ იმიტომ გავჩნდი ამქვეყნად, რომ თქვენ შემოგწიროთ ჩემი სიცოცხლე! — ბორმანი...

მერე ერთი უცნაური დოკუმენტი ვნახე, თვითონ ჰიტლერის მიერ შედგენილი: როგორ უნდა შეხვედროდნენ მას ბერლინში, საფრანგეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულს; პირველი ვინ უნდა მიჰგებებოდა, როცა მისი პირადი მატარებელი ჩამოდგებოდა ბაქანზე; რომელი ქუჩებით უნდა გაევლო საავტომო ესკორტს; როგორი უნდა ყოფილიყო მანქანების რიგი, სია სასტუმრო სტუმრების დარბაზობაზე... ყველაფერი ეს მისი საკუთარი ხელით იყო დაწერილი და დახაზული. აქვე ვნახეთ განკარგულება საფრანგეთის კაპიტულაციაზე ხელისმოწერის ცერემონიალის შესახებ.

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ კომპიენის ტყეში გაჩერებულ სალონ-ვაგონში მოაწერინა ხელი გერმანიის წარმომადგენლებს კაპიტულაციაზე. შემდეგ ეს ვაგონი ფრანგებმა პარიზში გადაიტანეს და მუზეუმში დააყენეს, როგორც ისტორიული რელიკვია. ახლა კი ჰიტლერი იძლეოდა განკარგულებას, ეიძულებინა ფრანგები, გამოეტანათ ეს ვაგონი მუზეუმიდან და ისევ კომპიენის ტყეში დაეყენებინათ, რომ თვითონაც იქ მოეწერათ ხელი კაპიტულაციაზე.

შემდეგ ეს მე კინოშიც ვნახე. მართლაც ასე იყო ყველაფერი მოწყობილი...

— ეს, მგონი, თქვენი ხელობის საქმეა, ლიტერატურა, — მითხრა ამ დროს მარკოვმა და მუყაოს სქელი ჩანთა მომაწოდა. გავხსენი, რაღაც პიესა იყო. იქვე იყო ჰიტლერისადმი მიმართული წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე არნო შიკედანცი. მას თურმე პიესა დაეწერა იტალიაში მომხდარი გადატრიალების შესახებ, რომლის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ მეფე ვიქტორ-ემანუილი, მუსოლინი, ჩიანო, მარშალი ბადოლიო და სხვები. განცხადებიდან ჩანდა, რომ თავისი პიესა შიკედანცს ჯერ გებელსისათვის გაეგზავნა. გებელსს არ მოსწონებოდა და ამით შეურაცხყოფილი შიკედანცი ჰიტლერს სწერდა, გებელსს ძალიან მოაქვს თავი ანტიკური დრამისა და, საერთოდ, ლიტერატურის დიდ მცოდნედ, მაგრამ სინამდვილეში ამ საქმისა ბევრი არაფერი გაეგებაო. იგი სთხოვდა ფიურერს, წაეკითხა მისი ნაწარმოები და გამოეთქვა თავისი „ავტორიტეტული აზრი“.

ეს იყო ჩემი პირველი „ნაცნობობა“ **საქართველოს „მომავალ გენერალ-გუბერნატორ“ არნო შიკედანცთან.** მისი პიესა მე მხოლოდ გადავათვალიერე, წაკითხვით კი არ წამიკითხავს, ან ამის დრო სად მქონდა მაშინ. იქ იმდენი დოკუმენტი იყო, ორი კაცი, აბა, რას გავსწვდებოდით. ირინასაც შეეძლო დაგვხმარებოდა, მაგრამ იგი ისე ჩააცივდა ევა ბრაუნის ალბომებს, რომ სხვა აღარაფერი ახსოვდა. ანდრეი კი ხელის შეშლის მეტს რას გააკეთებდა, დროდადრო მოვიდოდა ჩემთან და რამეს მკითხავდა:

— უფროსო, ეს უცხვირო კაცი ვინ არის?

— მუსოლინია! — ვეტყოდი მე და მოვიშორებდი, სანამ ისევ რამე კითხვით არ მომმართავდა.

მერე ერთი უზარმაზარი ალბომი მომიტრია და გაოცებით მითხრა:

— ეს სულ ჰიტლერია, აი!..

ალბომი გადავფურცლე, მართლაც მისი სურათები იყო, ახალგაზრდობიდან დაწყებული უკანასკნელ მომენტამდე. ვიღაცის მზრუნველ ხელს ორნამენტებით შეემკო და შვინდისფერ ძვირფას ხავერდის ყდაში ჩაესვა.

ღმერთო, რა პოზებში და მდგომარეობაში არ იყო გადაღებული! ყველაზე მეტად — მიტინგებსა და აღლუმებზე, ტრიბუნაზე ქადაგების დროს.

ვისაც ჩარლი ჩაპლინის ფილმი „დიქტატორი“ უნახავს, მხოლოდ იმას თუ შეუძლია წარმოიდგინოს ამ უცნაური პოზები-



კადრი ფილმიდან „დიდი დიქტატორი“

სა და მანერების გროტესკულობა...

ალბომი ბოლომდე გადავფურცლე. წასვლის დროც მოვიდა. ჩექმები სულ მტვერში მქონდა ამოგანგლული. არ ვიცი, მდგომარეობის პარადოქსულობამ მიკარნახა თუ ირონიისადმი მიდრეკილებამ, რომ ჰიტლერის იმ პირად ალბომს ხავერდის მოზრდილი ნაწილი ამოვაჭერი და დამტვერილი ჩექმები გავიწმინდე, მერე გავფერთხე და „სამახსოვროდ“ ჯიბეში ჩავიდე.

ხავერდის ის ნაჭრები დღემდე მიწევს ასეთ სამსახურს...

...შიკედანცზე მერე, ცხადია, არც მიფიქრია, ვიდრე პირველად როზენბერგისაგან არ გავიგე, რომ ის კავკასიის რაიხსკომისრად იყო დანიშნული. სხვა დოკუმენტებში კი „საქართველოს გენერალ-გუბერნატორადაც“ არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, რაიხსკომისარიატ „კავკასიის“ ცენტრად რაკი თბილისი იქნა გამოცხადებული, შიკედანცმა ეს მეორე თანამდებობაც შეითავსა.

...ნიურნბერგში რიბენტროპსა და როზენბერგთან საუბრის შემდეგ ბევრი ვეძებე **„საქართველოს გენერალ-გუბერნატორი“ შიკედანცი,** მინდოდა, პირადად შევხვედროდი მას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი გახდა: ამერიკელთა დელეგაციის საინფორმაციო სამსახურმა ზუსტად დაადგინა და მაცნობა, რომ არნო შიკედანცმა ომის დამთავრებისთანავე მოიკლა თავი.

ამის გამო ჩემთვის დიდად სასურველი საუბარი შიკედანცთან არ შედგა. მისი დოკუმენტები კი, რაც ხელთ მომხვდა, შევაგროვე და ახლა მხოლოდ ამის მიხედვით შემიძლია გიამბოთ ზოგი რამ მისი მოღვაწეობის შესახებ საქართველოსთან დაკავშირებით...

## განათლებული არამზადები

მე მთელი წლის განმავლობაში ვეცნობოდი იმ ამბებს. ჩემ თვალწინ გაიარა დანაშაულობათა კოშმარულმა სურათებმა. მერე თვეების მანძილზე ვუყურებდი და ველაპარაკებოდი იმათ, ვინც ყოველივე ეს ჩაიდინა. მაშინ ისინი განსასჯელთა სკამზე ისხდნენ, როგორც სამხედრო დამნაშავენი, მაგრამ იყო დრო, როცა განუსაზღვრელი ძალაუფლებითა და რაღაც შიშის მომგვრელი დიდებით იყვნენ მოსილნი. მათი ყოველი სიტყვა კანონი იყო, ხელისუფლება — შეუზღუდავი: გერინგის ავიაცია ანგრევდა ქალაქებსა და სოფლებს, კაიტელი ხოცავდა სამხედრო ტყვეებს, კალტენბრუნერი ჟლეტდა მილიონობით მშვიდობიან მოსახლეობას, რედერი და დენიცი მეკობრეობდნენ ღია ზღვაში, რიბენტროპი ამზადებდა თავდასხმებს შეუიარაღებელ სახელმწიფოებზე, იოდლი ადგენდა ამ თავდასხმათა ოპერატიულ გეგმებს, შტრაიხერი ებრაელებს არბევდა, ზაუკელი მონებით ვაჭრობდა, როზენბერგი კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების „განხალხების“ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა და თან „XX საუკუნის მითს“ თხზავდა მომავალ თაობათა „გასანათლებლად“.

მე კარგად მახსოვს მათი სახეები, გამომეტყველება, ლაპარაკის მანერა, ყველაფერი, რაც ითქვა ან გამომჟღავნდა... და, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ მეც იგივე კითხვა მიტრიალებდა თავში: **არიან კი ისინი, საერთოდ, ნორმალური ადამიანები? ყველანი ვამბობდით: არა! ისინი არაადამიანები არიან, ბარბაროსები, კაციჭამიები, მითური ჭარპები თუ ეშვებიანი ურჩხულები...**

მერე დრო გავიდა და ჰალუცინაციებიც დაცხრა. დაიწყო ანალიზის, განსჯისა და საბუთიანობის პერიოდი. ამის შემდეგ მე, მგონი, შედარებით სწორი, მაგრამ უფრო საშინელი შეხედულება შემექმნა. იმ კითხვაზე პასუხმაც ათასჯერ მეტად შემაძრწუნებელი სახე მიიღო:

— დიახ, ისინი ადამიანები იყვნენ და უაღრესად განათლებულნიც, ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ყველა მათგანი ევროპის ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და განათლების ერს წარმოადგენდა...

და სწორედ ესაა უფრო შემზარავი: ეს თეთრხელთათმანიანი და მონოკლიანი მკვლელები, დოქტორები, აკადემიკოსები, ფილოსოფოსები, არქიტექტორები, დიპლომატები, ბანკირები და სამხედრო სპეციალისტები — ფელდმარშლები, ადმირალები, გენერლები...

ნიურნბერგის პროცესზე მათ რომელიღაც ბრალმდებელმა „განათლებული არამზადები“ უწოდა. მერე შეისწავლეს კიდეც და ასეთი ცნობა გამოაქვეყნეს: ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელთა დაახლოებით ოთხიათასიანი კასტიდან 1050 მეცნიერებათა დოქტორი იყო, 225 — საპატიო დოქტორი, 21 — ორგზის დოქტორი, 350 — პროფესორი, 116 — საიდუმლო მრჩეველი (Geheimrat), 150 — დიპლომიანი სპეციალისტი, 2 — ნობელის პრემიის ლაურეატი და მხოლოდ 300 კაცი — უმაღლესი განათლების გარეშე, მათ შორის ჰიტლერი.

ამ ოთხი ათასი კაციდან 670 დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო, 850 — რამე წიგნის ავტორი, სხვები კიდევ — სხვა ვინმე — თავისებურად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი...

...ახლა რომ მკითხოთ, არც მე მჯერა, თითქოს მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი მხოლოდ იმით ყოფილიყოს გამოწვეული, რომ ჰიტლერი „მანიაკი“ იყო, „სულით ავადმყოფი“, გერინგი — მორფინისტი და სეკრეციის ჯირკვლებდაავადებული, ჰესი — „ნახევრად შეშლილი მოგვი“, რიბენტროპი — „გონებაჩლუნგი“ და „დეგენერატი“, თანაც ღვინის ვაჭარი, როზენბერგი — „ცრუ ფილოსოფოსი“, შტრაიხერი — „ამორალური და გახრწნილი პიროვნება“, კალტენბრუნერი — „სისხლისმსმელი ჰიენა“ და სხვა ასეთი. სხვებიც — „პირუტყვები“, ცხოველები“, „კაციჭამია ბარბაროსები“ თუ „ჯოჯოხეთის ბნელი ძალები,“ რომელთაც ერთი „გიჟი ეფრეიტორი“ მეთაურობდა.

მართლმსაჯულების წინაშე იდგნენ ფანატიკური პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც, სულ რაღაც, ათი წლის განმავლობაში (1923-1933) მრავალათეულმილიონიანი მოძრაობა შექმნეს ევროპის შუაგულში, ხოლო ექვსი წლის ბატონობის მანძილზე (1933-1939) ვერსალის შემდეგი პერიოდის „გერმანული არარაობა“ უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს ჩვენს კონტინენტზე.

1933 წელს მათ თითქმის არავითარი შეიარაღება არ ჰქონდათ, არც სამხედრო ქარხნები, არაფერი, რაიხსვერისა და პოლიციის მცირე ძალების გარდა... 1939 წელს კი მთელი ევროპა შეაზანზარა გერმანული იარაღის ძალამ. ეს ჯოჯოხეთის მანქანა ისე აწყობილად მუშაობდა, რომ მართლაც წინააღმდეგობის კოლოსალური მობილიზაცია იყო საჭირო მის შესაჩერებლად. მათი არმიის სათავეში იდგნენ ძველპრუსიულ ტრადიციებზე აღზრდილი უნიჭიერესი მხედართმთავრები, გენერლები და ფელდმარშლები, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობდნენ თავიანთ პროფესიას.

გამარჯვებაც ბევრი მოიპოვეს. ჯერ ჩვენი კონტინენტის არცერთ ქვეყანას არ გაუფართოებია თავისი სახელმწიფოს საზღვრები ისე, როგორც გერმანიას. არცერთი არმიის ჯარისკაცები არ მდგარან ლამანშიდან ვოლგამდე და იქით... აფრიკაში... არავითარ მაკედონელებსა და ნაპოლეონებს არ მოუპოვებიათ იმდენი გამარჯვება, რამდენიც ჰიტლერმა მოიპოვა. მართალია, ეს პიროსისებური გამარჯვება იყო, მაგრამ... მაინც ხომ იყო!..

...და მიუხედავად ყოველივე ამისა, რასაც მათ შესახებ წერენ, ყველაფერი მართალია: იყო ეს „სიგიჟეცა“ და „შეშლილობაც“, „მეგალომანიაცა“ და „სადიზმიც“, „პირუტყვობაცა“ და „მხეცობაც“, „გონების ჰიპერტროფიაცა“ და „ბარბაროსული ვნებააშლილობაც“; შესაძლოა, „გენიალობაცა“ და „შეშლილობაც“, როგორც ერთიდაიგივეობის პარადოქსული ორსახეობა...

# დღე



*იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“*

●

...პარიზში რომ გერმანელები შევიდნენ, ჰიტლერიც იმ დღესვე გაჩნდა იქ, ეიფელის კოშკთან დადგა და პირად ფოტოგრაფ ჰოფმანს დაუძახა:

— გადაიღე, ჰოფმან! დღეს ეიფელის კოშკთან... ხვალ ბრუკლინის ხიდზე, ზეგ კი ნიუ-იორკის ცათამბჯენებთან...

დღისით არ უნდოდა და ქალაქი ნაშუაღამევს დაათვალიერა. ერთხანს ნაპოლეონის საფლავთანაც იდგა. მერე ქუჩებში იხეტიალა, გარიჟრაჟისას კი პერ-ლა-შეზის მოედანზე გამოვიდა. აქ მხოლოდ გაზეთების გამყიდველი მოხუცი იდგა და ამთქნარებდა. ჰიტლერისთვის მას ყურადღება არ მიუქცევია.

მოპირდაპირე სახლში ვიღაც დედაბერმა დარაბა გამოაღო, ფანჯრიდან გამოიხედა, ჰიტლერი დაინახა და იკივლა:

— სატანა!..

ჰიტლერს ისტერიული სიცილი აუტყდა.

მერეც, როცა იგი ამ ამბავს უყვებოდა თავის სტუმრებს, ისე სიამოვნებით ხითხითებდა, თითქოს მისთვის სატანა კი არა, ანგელოზი ეწოდებინოთ.

## სამარცხვინო დიდება...

მართალია, ომის დროს და ნიურნბერგის პროცესზე სულ გაშიშვლდა ჰიტლერის საშინელი მიზნები და საქმეები, მაგრამ მის პიროვნებას მაინც არ მოშორდა „იდუმალების“ აჩრდილი. ჰიტლერი დღესაც ისეთივე გამოცანაა, როგორიც მაშინ იყო. ჩანს, ვერც მისი უახლოესი თანამებრძოლები გაერკვნენ ამ „კურიოზულ საოცრებაში“. ადრეც და შემდეგაც ისინი სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდნენ მათი კერპის შესახებ.

— ჰიტლერი თავისი ერის დიდებისათვის წამებულთა რიცხვს მიეკუთვნებაო, — ამბობდნენ ისინი, ვინც ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ ფიურერისა.

— ისტორიას ისეთი შემზარავი ადამიანი არ ახსოვს, როგორიც იყო ჰიტლერი, — თქვა მისმა ადრინდელმა მეხოტბემ ფრანც ფონ პაპენმა.

— ჩვენი ფიურერი ყოველთვის ავადმყოფი კაცი იყო, — „გაამხილა“ ფელდმარშალმა კაიტელმა.

— მასში დემონმა თანდათან სძლია გენიოსს, — წერდა გენერალი გუდერიანი.

1945 წლის აპრილში, როცა ჰიტლერის „მესამე იმპერიის“ დღეები უკვე დათვლილი იყო, რიბენტროპი მივიდა ჰიმლერთან და სთხოვა, ჩაეგონებინა ჰიტლერისათვის, რომ ომი უკვე წაგებულია და საჭიროა რამე გადამწყვეტი პოლიტიკური ზომების მიღება. ამაზე ჰიმლერს „თავის ფიურერზე“ უარესმა ისტერიამ მოუარა და იყვირა:

— რა უნდა ჩავაგონო! განა ამდენ ხანს არ იცოდით, რომ ის გიჟია?!

ადრე კი ყველა მარილს ნაყავდა თავით მის წინაშე და ხელს უწყობდა „იმ გიჟი ეფრეიტორის“ უზომოდ განდიდებას. მერე ისეთ მაღალ კვარცხლბეკზე შეაყენეს, „რომლის მსგავსი არცერთ გერმანელს არ ღირსებიაო,“ — წერს შირერი. იგი სიცოცხლეშივე იქცა მითად, არარეალურ არსებად, „ღმერთად“. ამით თვითონაც დაკარგა წონასწორობა და თავი მართლაც „განგებისაგან მოვლენილ“ მესიად წარმოიდგინა. იმას კი არად აგდებდა, რომ ეს მძიმე კვარცხლბეკი მისივე ხალხის ზურგზე იყო დადგმული. იგი ეფრეიტორის „ტალახიანი ჩექმებით“ აძვრა ამ კვარცხლბეკზე, გადაუარა ადამიანთა თავებს და ისე მიუშვა სადავეები თავის დემონებს, რომ უფსკრულის პირასაც ვეღარ შეძლო მათი შეჩერება...

●

გერმანელების ფიცი და მისალმება ყოველთვის კეთილშობილური ხასიათისა იყო. დილა იქნებოდა, შუადღე თუ საღამო, ისინი ღმერთს ახსენებდნენ და სიკეთეს უსურვებდნენ ნაცნობმეგობრებს. ნაცისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ კი ყველასათვის სავალდებულოდ იქცა ადრინდელი პარტიული მისალმება — „ჰაილ ჰიტლერ“! — დიდება ჰიტლერსო. ნაცნობი რომ ნაცნობს შეხვდებოდა, ხელი წინ უნდა გაეშვირა და „დილა მშვიდობისას“ ნაცვლად „ჰაილ ჰიტლერო“, დაეძახა.

განცვიფრებული გერმანელები კითხულობდნენ, რატომო, მაგრამ, როცა სპეციალური ბრძანებებიც გამოიცა ამის თაობაზე, მიხვდნენ, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდათ. ვინც „ჰაილ ჰიტლერის“ ნაცვლად დაწესებულებაში „დილა მშვიდობისაო“, იტყოდა, სამსახურიდან ხსნიდნენ. ასეთ „საქმეებს“ ე.წ. „შრომითი ტრიბუნალები“ არჩევდნენ. ნიურნბერგში მე რამდენიმე ამგვარი „საქმე“ მაქვს წაკითხული. ოსნაბრიუკის „შრომითი ტრიბუნალის“ 1935 წლის 30 ივლისის განაჩენში წერია:

— დადგენილია, რომ რუდოლფ შტინგჰოფი საწარმოში სისტემატურად არ ესალმებოდა თავის ამხანაგებს სიტყვებით — „ჰაილ ჰიტლერ“, ე.ი. ადგილი ჰქონდა არა შემთხვევით დანაშაულს, არამედ წინასწარ განზრახულს. 1935 წლის 19 ივლისს, როცა მოპასუხე შევიდა მომჩივანთან და მიესალმა სიტყვებით — „ჰაილ ჰიტლერ“, მან უპასუხა „დილა მშვიდობისა“.

ტრიბუნალი ადგენს: მომჩივან რუდოლფ შტინგჰოფს უარი ეთქვას სამსახურში აღდგენაზე.

საფუძველი: „შრომითი ტრიბუნალის“ წესდება, მუხლი 3-23 f...

... მიუხედავად ამგვარი რეპრესიებისა, გერმანელები ასე ადვილად მაინც ვერ მიეჩვივნენ ნაცისტურ მისალმებას. ერთხანს რაღაც გარდამავალი ფორმაც არსებობდა, მაგალითად, ასეთი: „დილა მშვიდობისა და ჰაილ ჰიტლერ, ჩემო ბატონო!“ ან კიდევ: „ჩემი უმორჩილესი ჰაილ ჰიტლერ, მოწყალეო ქალბატონო!“ მერე ნაცისტურ მისალმებას ეს „ძველმანებიც“ ჩამოშორდა და მოკლე „ჰაილ ჰიტლერ!“ დამკვიდრდა.

ყოველგვარი სამსახურებრივი დოკუმენტი და მიმოწერა, კერძო წერილები თუ სხვა რამ ამ „ჰაილ ჰიტლერით“ თავდებოდა. ზოგი ისეთ გულმოდგინებას იჩენდა, რომ ერთის მაგივრად სამგზის „ჰაილ ჰიტლერს“ წერდა.

იყო ერთგვარი დაბრკოლებაც. ვთქვათ, რამე არასასიამოვნო დოკუმენტი დგებოდა: დასჯის, სამსახურიდან მოხსნისა თუ დაპატიმრებისა, ან კიდევ, თავისი გაჭირვების შესახებ წერდა ვინმე: ვშიმშილობ, სამსახური ვერ ვიშოვე, უბედური ვარო თუ სხვა ასეთი, — სულერთია, ბოლოში მაინც უნდა მიეწერათ „ჰაილ ჰიტლერ!“ ზოგი ამას ირონიულად იყენებდა, წერდა: „ჩვენთან ძეხვი არ იშოვება, ჰაილ ჰიტლერ!“, „ფასებმა საშინლად აიწია, ჰაილ ჰიტლერ!“ და ა.შ. ამაში გესტაპოელებმა დაცინვა დაინახეს და დადგინდა, ამიერიდან „ჰაილ ჰიტლერ!“ მხოლოდ „სასიამოვნო დოკუმენტებისა და წერილებისათვის“ მიეწერათ.



## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ★ 1952 წელი. სტალინის უკანასკნელი ნოემბერი

**პარადი და ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს.** მთავრობის ტრიბუნაზე *(მარჯვნიდან)* ამხანაგები **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, რ. ს. კანდელაკი, ა. ი. მგელაძე, ა. ი. ანტონოვი, ზ. ნ. კეცხოველი, ა. ი. კოჩლავაშვილი, ე. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. დ. ბუჩიაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, ი. დ. კოჩლამაზაშვილი, კ. დ. ბუჩიაშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. კ. ბალავაძე.**

*ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა*



*„კომუნისტი“, 1952 წლის 11 ნოემბერი*



*ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს*

## ბელადის სამშობლოს – საქართველოს დედაქალაქში სიცოცხლე დუღდა და შრომა მართლაც უდიდეს სიქველედ ითვლებოდა!

# სტალინის გარდაცვალებამდე არასრული 4 თვე რჩებოდა...



*„კომუნისტი“, 1952 წლის 30 ნოემბერი*

**თბილისი. კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 105,8 პროცენტით შეასრულა, დაზოგა 23,5 ტონა ნართი, მრავალი ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა ახალი ასორტიმენტის პროდუქცია: დრაფი „მაიგა“, საკოსტიუმე ქსოვილი „საგაზაფხულო“, ქალის საპალტოე დრაფი და სხვ.**

**ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფაბრიკის მოწინავე მუშებს. სურათზე:** მარცხნივ **— სტახანოველი მჩეჩავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ივანისელი, რომელიც დღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.** მარჯვნივ **— საქსოვი საამქრო. ოსტატის თანაშემწე ნ.კრიჟაშვილი თვალყურს ადევნებს ახალგაზრდა მქსოველის, კომკავშირელ თამარ მოსიძის მუშაობას. მქსოველი თ. მოსიძე მუშაობს ახალი ასორტიმენტის ქსოვილის გამოშვებაზე და ცვლის დავალებას სისტემატურად 125 პროცენტით ასრულებს. მის მიერ მოქსოვილი შალეულის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 26 ნოემბერი*

**თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ზეინკალმა მიხეილ ბალდასაროვმა ვადამდე გაანაღდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის დავალება და უკვე დიდი ხანია, 1953 წლის ანგარიშში მუშაობს. ამჟამად მოწინავე ზეინკალი სტახანოვურ ვახტზე დგას და დღიურ დავალებას სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებს. სურათზე: მიხეილ ბალდასაროვი მუშაობს ბოთლებზე ალუმინის ხუფის დამცობი ავტომატის აწყობაზე.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 5 ნოემბერი*

**თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სურათზე: წარჩინებული სტახანოველი მქსოველი ბ.კოკოლაშვილი** (მარჯვნივ) **და სართავი საამქროს მეფთილე ნ. ჩაჩანიძე** (მარცხნივ)**, რომლებიც საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში გამომუშავების დღიურ ნორმებს 113-115 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 23 ნოემბერი*

**თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში აითვისეს და დაიწყეს გამოშვება ახალი, რვა მეტრის სიგრძის ჩარხისა — ტტ-16, რომელიც გამოიყენება გრძელი დეტალების სახარატო დამუშავებისათვის. სურათზე: სტახანოველი ამწყობი ზეინკლები ა. ბენდიანიშვილი** (მარცხნივ) **და ი. ფირცხალავა, რომლებმაც წელს უკვე შეასრულეს 2-2 წლის ნორმა, მუშაობენ ახალი ჩარხის აწყობაზე.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 30 ნოემბერი*

**თბილისი. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ქართულ ენაზე გამოსცა ვ.ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 31-ე ტომი და ი.ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის მე-13 ტომი. გამოცემულია აგრეთვე ი.ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე, ი.ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის მასალები ნახევარი მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. სურათზე: მკინძავი ს. ტორონჯაძე** (მარცხნივ) **და კონტროლიორი ო. შტუნკო გასაგზავნად ამზადებენ გამოცემულ წიგნებსა და ბროშურებს.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 28 ნოემბერი*

**თბილისი. მინანქრიანი ჭურჭლის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა, ვადამდე შეასრულოს მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა და დიდი რაოდენობის ზეგეგმითი მზა პროდუქცია მისცეს სახელმწიფოს. სურათზე: მინანქრის საამქროს ცვლის უფროსი ლ. კიკალეიშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს სტახანოველ ე.თურქიაშვილის მიერ მომინანქრებული ჭურჭლის ხარისხს.**



*„კომუნისტი“, 1952 წლის 26 ნოემბერი*

**ქართველი მეტალურგები უდიდესი აღფრთოვანებით მუშაობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებისათვის. გუშინ ი.ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს გაუგზავნა ქართული ფოლადის მილების ახალი პარტია. სურათზე: კუიბიშევში გასაგზავნი მილებით ვაგონების დატვირთვა.**

*ვ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანის ფოტოები*

2024 წლის 11 ნოემბერი. №54 (290)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# საქართველოს 3 ათას წელზე მეტი ხნის სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს და არავისგან გვესწავლება, როგორ უნდა ვიცხოვროთ!

## რამაზ ხუროძე:



„ეტყობა, ესეც ბედისწერაა და ეს ზეწოლაც ღირსეულად უნდა გადავიტანოთ!“



„დღეს მეცნიერებათა აკადემია რომ არსებობს, ეს პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა!“

„ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის საქმეს ღირსეულად უძღვება და ამ არჩევნებში გამარჯვება დაიმსახურა!“

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, აკადემიკოს* ***რამაზ ხუროძეს*** ***9 ნოემბერს 80 წელი*** *შეუსრულდა. ღირსეულ მამულიშვილს, ჩვენს უფროს მეგობარსა და კეთილშობილ პიროვნებას, რომელსაც სიკეთის კეთებაზე უარი არცერთ დროსა და ეპოქაში არ უთქვამს, „ასავალ-დასავალი“ ულოცავს იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს!*

***ღვაწლმოსილი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლების სისტემა ტოტალურ რეფორმას საჭიროებს! მისივე განცხადებით, 300 ათასი ხმით არჩევნების გაყალბება, ისე, რომ ამდენმა დამკვირვებელმა ვერაფერი შეამჩნიოს, უტოპიაა:***

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, „ასავალ-დასავალის“ რედაქციას და თქვენს ერთგულ მკითხველს მივესალმო. ათეული წლებია, რაც „ასავალ-დასავალი“ ქართული ბეჭდური სიტყვის ძალიან მაღალ დონეს ინარჩუნებს, რაც თითოეული თქვენგანის და ბატონი **ლაშა ნადარეიშვილის** დამსახურებაა, რომელმაც ჟურნალისტიკაში ეპოქა შექმნა. მადლობელი ვარ მოლოცვისთვის. 80 წელი ხუმრობა საქმე არაა, ადამიანის ცხოვრება ამ ასაკში მინავლებულია, მაგრამ ვცდილობ, მაინც ახალგაზრდული შემართებით ვიმუშაო და ბევრი კარგი საქმე გავაკეთო როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში!

**— ძალიან არეული დროა, ვისაც არ ეზარება, საქართველოს ყველა ჭკუას ასწავლის, ჩვენთვის უცხო ცხოვრების წესსა და ტრადიციას ცხვირში გვჩრის... ამაზე რას იტყვით?**

— საქართველოს 3 ათას წელზე მეტი ხნის სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს და არავისგან გვესწავლება, როგორ უნდა ვიცხოვროთ! კიდევ 3 ათასი წელი გავა, საქართველო იქნება და ჩვენი დღევანდელი ჭკუის მასწავლებლები, თუ ასე გააგრძელებენ, მაგ დროს სად იქნებიან, ღმერთმა უწყის. ეტყობა, ესეც ბედისწერაა და ეს ზეწოლაც ღირსეულად უნდა გადავიტანოთ! ჩვენ მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ და ეს ყველამ გაითვალისწინოს! ქართველები ამ გზას ვერანაირად ვერ გადავუხვევთ!

**— ისეთი მაღალკულტურული და მეცნიერებისთვის დაბადებული ერის საელჩო, როგორიც გერმანიაა, ქართველებს დიპლომატიურად და ნართაულად „მშვიდობიანი რევოლუციის“ მოწყობისკენ მოგვიწოდებს! რატომ არ გვეშვებიან, რა უნდათ ჩვენგან? თუ რევოლუცია კარგია, მაშინ თავიანთ ქვეყანაში მოაწყონ, ჩვენთან რა დარჩენიათ?**

— იქ, სადაც პოლიტიკური ინტერესები ერევა, ყველაფერი თავდაყირა დგება!

**ჩვენ ვნახეთ, რა მოხდა ფაშისტურ გერმანიაში, როცა უზარმაზარი მეცნიერები და უდიდესი მწერლები გერმანიიდან განდევნეს. ასეთი ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, როგორი მოტივითაც გინდა იყოს განპირობებული, ჩვენი ქვეყნების ისტორიაში მაინც დარჩება სამარცხვინო ფურცლად.**

არაფერია, ცხოვრებას ბრძოლა თან ახლავს და ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ!

**— ამ ბრძოლებში ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ, მაგრამ ბევრიც გადავარჩინეთ... მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელსაც ყველასათვის პატივსაცემი ხალხი — ბატონი როინ მეტრეველი, თქვენ და ბატონი ელიზბარ ჯაველიძე წარმოადგენთ, აშკარად გადარჩა!**

— მეცნიერებათა აკადემია ამ საშინელი პოლიტიკური ტურბულენტობის პირობებში მართლაც გადარჩა. ვინც გინდა, გამაკრიტიკოს, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ: **დღეს მეცნიერებათა აკადემია რომ არსებობს, ეს პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა!** იმ პერიოდში, როცა საერთოდ არ ვიცოდით, ვინ იყო ბიძინა ივანიშვილი, იგი წლების განმავლობაში აკადემიის თანამშრომლებს ხელფასებს უხდიდა. აკადემია მართლაც გადარჩა!

**— განათლების ახალი მინისტრის ალექსანდრე წულაძის შესახებ რას იტყვით?**

— ახალ მინისტრს შევხვდით. ბატონმა ალექსანდრემ, როგორც კულტურულმა, მონდომებულმა და დაკვირვებულმა ახალგაზრდა კაცმა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც კი მინისტრად დაინიშნა, პირველად ჩვენთან მოვიდა. ვილაპარაკეთ მეცნიერებაზე, განათლებაზე... ურთულესი პერიოდია... ჩვენს ქვეყანაში თუ რამ განადგურდა, მათ შორის განათლება და მეცნიერებაა. **მიხარია, რომ ბოლო დროს მსოფლიოში კონსერვატიული იდეები იმარჯვებს და საზოგადოება ტრადიციულ ფასეულობებს უბრუნდება.** ნეოლიბერალიზმმა, რომელსაც კლასიკურ ლიბერალიზმთან არაფერი აქვს საერთო, ყველაფერი გადაქელა. ეს საშინელი დიქტატი უნდა დასრულდეს! ამერიკის სენატსა და კონგრესში ყველგან კონსერვატიული ძალები მოვიდნენ, **პრეზიდენტი ტრამპიც** კონსერვატორია... ასე რომ, ევროპა და მსოფლიო დიდი და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინშია. ისეთი ვარსკვლავივით კაშკაშა და ყოველმხრივ გამოკვეთილი ერი, როგორიც ქართველი ერია, მსოფლიოში მეორე არ მეგულება. **თუ ჩვენს ტრადიციებს გავუფრთხილდებით და განათლების დონეს მაღლა ავწევთ, ყველაფერი დალაგდება და საქართველოს ქვეყანა ვერ აჯობებს!** განათლებას სჭირდება სერიოზული მიხედვა, რადგან ძალიან საშიში და მავნე ნაკადები შემოდის ამ სფეროში. ინტერნეტი არ იძლევა ცოდნას, ცოდნას იძლევა მეცნიერება. ქვეყანას სჭირდება განათლების სრული და ტოტალური რეფორმა. არ შეიძლება, ხუთ და ათ წელზე გათვლილი რეფორმების გატარება, რეფორმა უნდა იყოს ცვლადი, მოქნილი და ყოველწლიური, რადგან მძლავრ ინფორმაციულ ნაკადებს სხვაგვარად ვერ ავითვისებთ და ვერ გავუმკლავდებით!

**— ხელისუფლებას აბრალებენ — არჩევნები გააყალბაო!**

— დილის 8 საათზე ვიყავი საარჩევნო უბანზე, უამრავი ხალხი იყო, ასკაციან რიგში ჩავდექი და გაყალბება არსად შემინიშნავს. 300 ათასი ხმით არჩევნების გაყალბება ისე, რომ ამდენმა დამკვირვებელმა ვერაფერი შეამჩნიოს, უტოპიაა! **მიმაჩნია, რომ ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის საქმეს ღირსეულად უძღვება და ამ არჩევნებში გამარჯვება დაიმსახურა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**კახა კემოკლიძე**

*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



ასე **თავხედურად გაყალბებული არჩევნების შემდეგ** მე არ მეგულება ოპოზიციაში ვინმე, ვინც ახლა პარლამენტში შევა.

„კვირის პალიტრა“

**გრიგოლ გაგნიძე**

*„პოლიტიკისა და სამართლის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი*



**სააკაშვილი რომ მობრუნდეს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?** მას რევანში სწყურია — **ციხეები უდანაშაულო ადამიანებით გადაივსება, დაიწყება ქუჩაში ხალხის დახვრეტები,** მოსახლეობას ტყავს გააძრობენ, პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით.

„საერთო გაზეთი“

**გოგი წულაია**

*ემიგრანტი პოლიტიკოსი*



აქ 70-80 წლის ხალხი ვნახე, **საქართველოში შვილებს ფულს მანქანის გაფუჭებული ნაწილების შესაცვლელად ან ქორწილში წასასვლელად უგზავნის.** ამაზე ვგიჟდები — თქვენი შვილები რას აკეთებენ, ფულს რატომ უგზავნით-მეთქი? **რა ქნან, მუშაობა ვერ დეიწყესო.** აბა, ფული არ გოუგზავნოთ, თუ ვერ დეიწყებენ-მეთქი! არ ესმით, მაინც ეფერებიან ტელეფონებზე — **მოგიკვდეს დედაო, პროცენტიან სესხს იღებენ საქართველოში გასაგზავნად.** ჰოდა, მაგია ჩვენი ტრაგედია.

„კვირის პალიტრა“

**ნანა ლორთქიფანიძე**

*მსახიობი*



**თუ სიყვარული დავკარგეთ,** თუ სიხარულის განცდა დავკარგეთ, თუ აღარც თანაგრძნობა შეგვიძლია და **თუ ვერაფერს გავუფრთხილდებით,** მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიქნებით. **გული მტკივა, ჩვენი წინაპრების წინაშე მრცხვენია,** რომლებმაც საქართველო და ქართული იდეები შექმნეს! **მამული, ენა, სარწმუნოება!**

„ახალი თაობა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# დედა – შულერობა




**სალომე ზურაბიშვილის** ვაჟი **თეიმურაზ გორჯესტანი** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და განიარაღების საკითხებში დეპარტამენტის დირექტორად დაუნიშნავთ და პარალელურად **ემანუელ მაკრონის** მრჩეველიც გამხდარა. **პრეზიდანის ქალიშვილი რომ თეთრ სახლში მუშაობს,** ეგ უკვე იცით.

რა გინდათ?

**კუდიანმა დედაბერმა** ჩვენი გულუბრყვილობის ხარჯზე თავისი ოჯახის საქმე მშვენივრად ააწყო და მაინც არ ჩერდება, უფრო მეტი უნდა, **ამ ქვეყნის ხელში ჩაგდებას ცდილობს, საკუთარ დუქნად უნდა გაიხადოს,** სადაც ყოველდღე დათვრება და არყი „რუმკებს“ თავზე დაგვალეწავს **„დედა-შვილობის“** თუ **დედა-შულერობის** მადლით.

# ენა გაუქნიე, თავი...

ხომ გითხარით — **ჩამოვა თავისი მწვანე სვისტოკით და ძველქართულად ილაქლაქებს-მეთქი?**

ე.წ. ჟურნალისტი ეკითხება — რატომ ჩამოხვედითო? ხმები და არჩევნები **მოგვიპარეს,** მა რა უნდა მექნაო? **ეს არი ელექტორალური ხმების მოპარვის გადატრიალებაო.**

იცით, მე რა მაინტერესებს? **აეგეთ ბრძნულ რაღაცებს სახლში იგონებენ, აკონსპექტებენ და მერე იზეპირებენ თუ თავებში სპონტანურად მოსდით?**









# ბრძენქალა

იცით, როგორ იღებს **ბრძნულ** გამომეტყველებას ცარიელი თავთავი ტელევიზორში?

აი, ასე: **თავს დინჯად ხრის დაბლა,** თვალებს ნაბავს, ტუჩებს კუმავს, ქვედა ყბას ოდნავ წინ წამოსწევს და შეკითხვას უსმენს.

როდესაც **ე.წ. ჟურნალისტი** რაღაც აბუეტურ შეკითხვას დაასრულებს, **ბრძენქალა თავს ნელა ასწევს,** თვალებს მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალებს, სადღაც შორს გამჭოლ მზერას სტყორცნის და, აქაოდა, მთელი საქართველო ყურადღებით მისმენსო, დაიწყებს — **აისერიო, მისერიო, მისერ...** რაო, რა მინდაო, ვალიკო? რავი, ერთი ცხვარი აკლიაო... **უსუფა** მიათვალაო? მიათვალა, მაგრამ მაინც აკლიაო...

თავისი თავი მიათვალაო? არა, თავისი თავი არ მიუთვლიაო.

**ე.წ. ჟურნალისტს** არაფერი ესმის, მაგრამ მაინც თავს უქიცინებს, ეგეთი დავალება აქვს, თავი ისე უნდა მოაჩვენოს პატივცემულ მაყურებელს, ვითომ რამე გაიგო და დიდად კმაყოფილიც დარჩა.

**რას ერჩი? მუშაობენ. აბა, ბრძენქალა სხვანაირად როგორ გახდები?**

# მილიონ ნახევარი მხარდამჭერი




ვაააჰ, კაცოოო, **მილიონნახევარი ადამიანი** გვიჭერს მხარსო...

**მაინც საიდან მოაქვთ ეს რიცხვები,** სად ნახულობენ, რომ ლამის მთელი საქართველო ამათ მხარესაა, ვინ შთააგონებთ, ვინ კარნახობთ, ვინ არწმუნებთ?

წარმოგიდგენიათ? აქ რომ ამდენი ამომრჩეველი ჰყავთ, მარსზე, სადაც უკვე მიწის ნაკვეთები იყიდება, რამდენი ეყოლებათ?

ნეტავ, სად არი ეს **მილიონნახევარი ადამიანი?** ქაღალდზე არაღი, აქციებზე არაღი, უბნებზე არაღი, ბუნებაში არაღი.

თუ არსად არაღი, მაშ, სად არი?

**სიზმარში? ზღაპარში? უკანალში?**

რავი, ჩემი ვერსიით, უფრო მესამეში იქნება!




არ დაგიმალავთ, მე ყოველთვის ვიყავი ტრამპის მომხრე.

# უქარქაშო ენა

ეგეთი ელასტიური და ალღოიანი პოლიტიკოსი ცხოვრებაში არ მინახავს — **იუნოსა, მიშას დრო** მიდისო, მისდგა და თათხა! **იუნოსა,** ეხლა შეიძლება, **მიშას დრო** შემობრუნდესო, ქებით ძირი გააგდებინა.

მახსოვს, ერთი პერიოდი **ბურჯანაძის პარტიაშიც** შევიდა და რუსეთსაც აქებდა. ეგონა, სიო რუსეთიდან წამოვაო.

2022-დან **ბაიდენის** ფანი გახდა — რუსეთს ამარცხებს უკრაინელების ხელითო. აქაც უღალატა ალღომ და გასული კვირიდან უკვე **ტრამპისტია.**

მოკლედ, ძაღლის ქონით მოლესილი მაგისი **ენა ყველა ნახვრეტში შეფართხალდა და ქარქაშში არ ჩაგებულა!**

# 35 წელიწადია, მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევ მამუკა ხაზარაძეს დანაშაულის ჩადენის ადგილი – სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია – უხმობს!





## ეს ოპოზიცია გინდა – სააპელაციო სასამართლოსთან მიიყვანე და გინდა – ის ფოთოლი ესროლე თავში, რომელიც სპორტის სასახლის წინ აღმართულ ბიბლიური დავითის გაშიშვლებულ ქანდაკებას აქვს „ტინკი-ვინკიზე“ აფარებული!

***მგელი ცხვარს ან ბატკანს ყელს რომ გამოღადრავს, თუ მწყემსის თოფს ან დაგებულ ხაფანგს გადაურჩა, გარკვეული ხნის შემდეგ ზუსტად იმ ადგილას მიდის, სადაც ერთხელ უკვე გაუმართლა. ისიც მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ მგლის მსგავსად, სერიული მკვლელიც ხშირად უბრუნდება მკვლელობის ადგილს. უფრო მეტიც, თუ საქმე მანიაკ მკვლელთან გვაქვს, ის მაშინაც კი უტრიალებს დანაშაულის ადგილს, როცა მსხვერპლი გაცივებულიც კი არ არის და გარშემო ინსპექტორები და გამომძიებლები მიმოდიან.***

არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც მკვლელის ტიპაჟი, ძირითადად, მოკლე შუბლითა და მკვეთრად გამოხატული სახის ნაკვთებით გამოირჩევა; ქურდს წვრილი და გრძელი თითები აქვს, ხოლო მატყუარას — წაწვეტებული ცხვირი...

აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძეს წვრილი და გრძელი თითებიც აქვს და წაწვეტებული ცხვირიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ხაზარ-ბანკირი ქურდიც არის და მატყუარაც.** კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან იგი **ხანდაზმულ თაღლითად** სასამართლომაც კი გამოაცხადა. რაც შეეხება ხალხისთვის ანაბრების მოპარვას, ამის შესახებ ჩვენ წლების მანძილზე ვწერთ, მაგრამ პროკურატურას **მამუკა ხაზარაძის „სახალხო საინვესტიციო კორპორაციის“** მიერ გატყავებული და გადაგდებული მეანაბრეების ბედი უკვე 34 წელია, არ ანაღვლებს.

რაც შეეხება **ხაზარ-ბანკირის** ტყუილებს, ეს ყველაზე უკეთ წალენჯიხელმა ბავშვებმა იციან, რომლებსაც მილიარდერი საცურაო აუზის აშენებას დაჰპირდა, მაგრამ სიტყვა გატეხა და პატარებს ასაწყობი აუზი ჩაუტანა, რომელშიც კარგ ამინდში კამეჩები და კვარაცხელიას ჯიშის ძროხები ბანაობდნენ.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენეთ, რომ **2024 წლის 4 ნოემბერს,** 22 საათსა და 30 წუთზე, თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, **მამუკა ხაზარაძემ** ფრიად საეჭვო და საყურადღებო განცხადება გააკეთა. მას შემდეგ, რაც განსაკუთრებით ბევრი ილაქლაქა არჩევნების გაყალბებასა და მოსალოდნელ საპროტესტო მიტინგებზე, თავისი გამოსვლა ასე დაასრულა: **„დიდი მადლობა, ძალიან მიყვარხართ, ხვალ, 2 საათზე, ყველას სპორტის სასახლესთან გელოდებით!“**

მეორე დღეს სპორტის სასახლესთან არავინ მისულა, რადგან ოპოზიციონერებმა, რომლებსაც ერთმანეთში უკვე დიდი გაწევ-გამოწევა აქვთ და სულმოუთქმელად ელიან პარლამენტში შეხტებას, შეკრების ადგილი სააპელაციო სასამართლოსთან გადაიტანეს. არადა, ამ ოპოზიციის საშველი მაინც არ იქნება, გინდა — სააპელაციო სასამართლოსთან მიიყვანე და გინდა — ის ფოთოლი ესროლე თავში, სპორტის სასახლის წინ აღმართულ ჭაბუკს „ტინკი-ვინკიზე“ რომ აქვს აფარებული! საკითხავი მხოლოდ ისაა, **რატომ უხმო მამუკა ხაზარაძემ იქ, სადაც ზუსტად 35 წლის წინათ მერაბ კოსტავას სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა?**

არაერთ თვითმხილველზე დაყრდნობით, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე არაერთხელ დაწერილა იმის შესახებ, რომ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე, 1989 წლის 18 თებერვალს, მაშინდელი „გეპეისა“ და დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მამუკა ხაზარაძე** კომკავშირელ აქტივისტებთან ერთად საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** მიტინგს მიეჭრა და მერაბ კოსტავას ხელი მოუქნია, თუმცა, ამ სამარცხვინო დანაშაულს დღემდე უარყოფს.

როგორც ჩანს, სამი ათეული წლის შემდეგ მამუკა ხაზარაძეს ეს ამბავი თავს ახსენებს და ისევ სპორტის სასახლისკენ მიუწევს გული, მიუხედავად იმისა, რომ თავისი „საქმენი საგმირონი“ გაზეთიდან არაერთხელ შევახსენეთ.

მთელმა საქართველომ იცის, ამის გამო როგორ ახტა-დახტა ხაზარაძე, **პაატა ლაძაძისა** და **ქეთი ქვარცხავას** ნიფხავ-პერანგი სულ ტანზე შემოიგლიჯა, **ზვიად კორძაძე** ადვოკატად დაიქირავა და 160 ათასი ლარის წართმევაც დაგვიპირა — აქაოდა, მაგ ფულით **ევროჟურნალისტები** უნდა დავაფინანსოო.

სხვათაშორის, მერაბ კოსტავას რომ სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა, ეს ამბავი ხაზარაძეს **სააკაშვილმაც** გაუბაზრა „ვივამედის“ კურორტიდან — **საწყალ მერაბ კოსტავას ერთი პალტო ჰქონდა და ისიც მამუკა ხაზარაძემ შემოახიაო!**

ერთი სიტყვით, როგორც მანიაკ მკვლელს — მკვლელობის ადგილი, ხაზარაძესაც მაშინდელი **„გეპეის“ პირველი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია და სპორტის სასახლის წინ ასე საცოდავად დავიწროებული მოედანი უხმობს.** სწორედ აქ უქსევდა ის პატრიოტ ახალგაზრდებს კომკავშირელ ზონდერებს, რათა რექტორატისა თუ პარტიული ამხანაგებისათვის თავი მოეწონებინა შემდგომი კარიერული წინსვლის მიზნით.

ასე და ამგვარად, 35 წელიწადია, მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევ **მამუკა ხაზარაძეს** დანაშაულის ჩადენის ადგილი — სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია — უხმობს.

გენიალური სტენდალი არაფერში შემცდარა — **დიდი ქონების უკან მართლაც იმალება დიდი დანაშაული!**

## გენიალური სტენდალი არაფერში შემცდარა — დიდი ქონების უკან მართლაც იმალება დიდი დანაშაული!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მამუკა ხაზარაძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



ჩვენ ზურგში დანა ჩაგვარტყეს, **სულში ხელი ჩაგვიყვეს და ყველაზე მთავარი ამოგვაცალეს** — ჩვენი ხმა.

„რეზონანსი“

**ნიკა გვარამია**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ლიდერი*



თუ ვინმეს ჰგონია, რომ **კარვების საკითხი** გავაჩერე, ძალიან ცდება.

„ახალი თაობა“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



„ქართულ ოცნებას“ **არჩევნები არ მოუგია.** მათ თავხედურად გამოიცხადეს თავი გამარჯვებულად.

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი დეპუტატი*



„ქართული ოცნების“ ორთვიანმა **დანაშაულებრივმა საარჩევნო კამპანიამ** იმაზე დიდი ზიანი მიაყენა **სავალუტო რეზერვებს,** ვიდრე პანდემიამ.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ წევრი*



მალე პარლამენტის შენობაში **ეს ნაგვები უნდა შეიკრიბონ** და საკუთარი ლეგიტიმაცია ცნონ, **ეს არ უნდა დავუშვათ!** ქუჩაში ბრძოლა მოგვიწევს, მზად იყავით!

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**გარედან სანქციებია საჭირო, შიგნით — აქციები.** არალეგიტიმურ პარლამენტში **არცერთი ბარიერგადალახული ოპოზიციონერი** არ უნდა შევიდეს.

„ახალი თაობა“

***მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუას პროვოკაციულ გამოხტომას 30 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, რასაც ცივი წყალი გადაასხა სააპელაციო სასამართლომ, ეხმაურება სამართლის დოქტორი, ადვოკატი პაატა შავაძე და მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ ნომერ პირველი ამოცანა ხუჭუების მსგავსი პიროვნებებისაგან სასამართლო სისტემისა და საჯარო სტრუქტურების გაწმენდა უნდა იყოს:***

# „თუ ნაცების ძუძუმტეები ყველა სტრუქტურიდან არ ამოიძირკვა, საქართველოში კინტაურის ცეკვა ვერ დასრულდება!“

## პაატა შავაძე:

# მოვუწოდებ გენერალურ პროკურორ გიორგი გაბიტაშვილს, დაიწყოს გამოძიება მოსამართლე ხუჭუას მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით!




— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. 12 წლისთავზე პარტია 54 პროცენტს რომ მიიღებს, ეს დიდი მიღწევაა და იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აქვს მაღალზნეობრივი ტრადიციებისადმი უზადო პატივისცემა!

პირდაპირ გეტყვით —

**მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუა, რომელმაც ეს გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, სისტემიდან არის მოსაცილებელი!**

**— რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?**

— რა გარანტია არსებობს იმისა, რომ მანქანა, რომლითაც სასამართლო დარბაზში ექსპერიმენტები ჩაატარა, დაზიანებული არ იყო?! 30 უბნის შედეგებს რომ აბათილებ, კეთილი უნდა ინებო, ჟურნალისტებთან და მეორე მხარესთან ერთად მიხვიდე ადგილზე, გამოიკვლიო გარემოებები და შეამოწმო სხვა მანქანებიც. 52 წლის კაცი ვარ და ასეთი რამ არ მინახავს — მოსამართლე აპარატს დარბაზში აწყობდეს.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ **ელისაშვილმა** ერთი საათით ადრე გვამცნო **მოსამართლე ხუჭუას** გადაწყვეტილების შესახებ. მაშინ, როცა საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლის თათბირის საიდუმლოებას იცავს, საიდან იცოდა მან, რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული?

**სამწუხაროდ, ხუჭუა დღეს ერთადერთი არ არის და ძალიან ბევრი ნაციონალების დროინდელი უსინდისო მოსამართლე გვყავს, რომელიც დაჩვეულია სათათბირო ოთახიდან გადაწყვეტილების პატრონთან შეთანხმებას.**

აბა, გაბედდათ ადეიშვილთან შეთანხმების გარეშე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამოტანა?! ასე რომ, **ვინც კვერი დაუკრა ხუჭუას — სამართალს გაუმარჯოსო, ყველანი ჩანერგილები, ნაცმოძრაობის ძუძუმტეები არიან!**

**— ანუ ფიქრობთ, რომ ვლადიმერ ხუჭუა დღევანდელ სასამართლოში ნაცმოძრაობის ინტერესს ატარებს?**

— ფაქტია, ამ ადამიანს სააკაშვილის მმართველობის დროს მსუყე თანამდებობები ეკავა. 2004-2005 წლებში გენერალურ პროკურატურაში სამმართველოს უფროსი იყო. 2005-2006 წლებში იურიდიული სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, 2007-2009 წლებში გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე გახლდათ, ხოლო 2009-2011 წლებში — მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2006 წელს სააკაშვილის მიერ ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული. ასევე მინიჭებული აქვს იუსტიციის მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება. კიდევ ერთი დეტალი, მოსამართლე



ხუჭუას მეუღლე მწერალია და ის 2023 წელს **ლიტერატურული პრემია „საბას“ ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა!**

მოკლედ, ეს კაცი კარგად ნაპატიები და გაზულუქებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს ეფექტური ხელისბიჭი იყო.

წლების წინ სისხლის სამართლის კოდექსში გახლდათ მუხლი **განზრახ უკანონო გადაწყვეტილების მიღების შესახებ,** რომელიც სააკაშვილმა გააუქმა. მოსამართლეებმა მოსთხოვეს — ასეთ რაღაცებს რომ გვაკეთებინებ, ეს მუხლი ამოიღე, თორემ დედა გვეტირებაო. არადა, პირველ რიგში, სწორედ ეს მუხლი უნდა დაბრუნდეს სისხლის სამართლის კოდექსში.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდებ **გიორგი გაბიტაშვილს,** დაიწყოს გამოძიება და გამოარკვიოს საქმისადმი არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც მოსამართლე ხუჭუას და მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას უკავშირდება!

როგორც ჩანს, **ვლადიმერ ხუჭუას** ეგონა, მის გადაწყვეტილებაზე აგორდებოდა საპროტესტო ტალღა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ! ისე კი, პირველ რიგში, იცით, რატომ ვერ მიაღწევენ მიზანს ხუჭუები, გვარამიები და ხაზარაძეები?

**— მაინც, რატომ?**

— იმიტომ, რომ მათი ლიდერი **სალომე ზურაბიშვილია,** რომელიც თავად არღვევს კონსტიტუციას. გულწრფელად მრცხვენია, რომ მასაც ქართველი ჰქვია და მეც.

**სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო ლაქად დარჩება საქართველოს ისტორიაში!**

ზედგამოჭრილია მასზე სიტყვები — **მადამ მავნებელი!**

აქვე, კიდევ ერთხელ მივმართავ „ქართულ ოცნებას“ — ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისათვის, თუ ქართული მართლმსაჯულება ხუჭუას მსგავსი მოსამართლეების იმედად დარჩება. იცოდეთ, თუ ნაცების ძუძუმტეები ყველა სტრუქტურიდან არ ამოიძირკვა, საქართველოში კინტაურის ცეკვა ვერ დასრულდება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




## „ე.წ. ოპოზიციავ, კარგად ყოფილა თქვენი საქმე, თუ ხუჭუების იმედზე ხართ!“

## კვირგვინოსნები

**ლევან მგალობლიშვილი (ვანო)**
*მუსიკოსი*



**სააკაშვილმა** არჩევნების წინ ციხეში ჩამსვა. ზონაში კი არ გადამიყვანა, გლდანის ციხეში ერთი წელი კამერაში ვიჯექი. იმ პერიოდის გახსენება არ მინდა, ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრების საკმაოდ მძიმე წელი იყო. **ყველაფერი მეხებოდა, რაც იმ ციხეში ხდებოდა. ხელიც მომხვდა, ხმამაღლა ვერ ვსაუბრობდი, დაწოლა არ შეიძლებოდა,** საშინელება იყო. ერთი წლის შემდეგ **მიშა სააკაშვილი** წავიდა და ამნისტიით გამოვედი.

„სარკე“

**გიორგი კაჭარავა**
*რეჟისორი*



**სააკაშვილის** ხელისუფლების დროს კინოზე დაამტკიცეს ძალიან სამარცხვინო ბიუჯეტი. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონ **ზურაბ ჟვანიას** შევხვდი და ვუთხარი, რომ ეს თანხა კინოსთვის არ იყო საკმარისი. მერე ამ საკითხში ჩაერივნენ კიდევ ვიღაცები, რომლებმაც პოლიტიკური იარლიყი მომაწებეს. მერე ბრაზილიიდან მომივიდა მიწვევა, **პირდაპირ მითხრეს — ბრაზილიაში თუ არ წახვალ, ციხეში ჩაჯდები, ან შენს შვილს ნარკოტიკებზე დაიჭერენო.** ძნელი იყო, მთელი ოჯახი დამეტოვებინა და მარტო წავსულიყავი, მაგრამ წავედი. 5 წელი ვცხოვრობდი ბრაზილიაში, როგორც ლტოლვილი.

„სარკე“

**თემო რცხილაძე**
*მომღერალი*



გიყვარდეთ **მხოლოდ სამშობლო** და არა — ბელადები.

„ახალი თაობა“

**თემურ მაისურაძე**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



თავის ძველ აგენტს — **სალომე ზურაბიშვილს** დასავლეთი კარგა ხანს ამზადებდა იმისათვის, რომ **მას მიხეილ სააკაშვილი ჩაენაცვლებინა.**

„საერთო გაზეთი“

# მოხუცი და წვა

## ანუ ფიქრები სოფელ მუხრანის მოხუცთა თავშესაფარში გაჩენილ ხანძარზე




***6 ნოემბერს, გამთენიისას, საქართველო საზარელმა ტრაგედიამ შეძრა, რომელიც არჩევნების შემდგომი მოვლენების ნიაღვარში ჩაიკარგა და სათანადო რეზონანსიც არ გამოუწვევია, რაც, ზოგადად, ქვეყანაში მსგავსი ტრაგედიის დროს უნდა ხდებოდეს, როცა გლოვა ოფიციალურად ცხადდება და სახელმწიფო დაწესებულებებზე დროშებიც კი ეშვება ხოლმე...***

იმ ავბედით დღეს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მდებარე ოჯახური ტიპის მოხუცთა თავშესაფარს, რომელსაც **„მუხრანის სავანე"** ერქვა, ხანძარი მაშინ გაუჩნდა, როდესაც შენობაში 26 ხანდაზმულს მშვიდი ძილით ეძინა. **სტიქიის შედეგები სავალალო აღმოჩნდა — 2 მოხუცი შემთხვევის ადგილზე დაიღუპა, დანარჩენები კი, არცთუ მსუბუქ მდგომარეობაში, საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში გადაანაწილეს.**

მუხრანი ქართლის ერთ-ერთი ძველი სოფელია. მე-18 საუკუნის 70-იან წლებამდე შიოსუბანი რქმევია. მე-16 საუკუნიდან სამეფო დინასტიის ქართლის ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს საკუთრება-სათავადო გახლდათ. სოფელში დგას მუხრან-ბატონის ცნობილი ციხე-გალავანი, საიდანაც ორიოდე კილომეტრში ეს ტრაგედია მოხდა.

როცა გადამწვარ პანსიონთან მივედით, კვამლისგან ჩაშავებული, შუშაჩამტვრეული და ნახევრად დამწვარი ფანჯრები ვიხილეთ. ტერიტორიისათვის ძალოვნებს ყვითელი ლენტი შემოევლოთ და საგამოძიებო სამუშაოებს ეწეოდნენ. შენობის შემოგარენში ნახანძრალის და კვამლის სუნი ჯერაც არ გამქრალიყო.

ოჯახური ტიპის მოხუცთა თავშესაფარი „მუხრანის სავანე" ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლში იყო განთავსებული, რომელიც ამ პროექტის ავტორს **ნაირა დოლიძეს** ადგილობრივი მოსახლეებისგან, **ძმები ტატიშვილებისგან** შეუსყიდია, მანამდე ისედაც საკმაოდ კეთილმოწყობილ სახლში სათანადო რემონტი ჩაუტარებია, ავეჯი და ნივთები შეუძენია და მოხუცთა პანსიონი მოუწყვია.

ტრაგედიის გამო სოფელში უკლებლივ ყველა გაოგნებულია, თუმცა, მომხდარის მიზეზების შესახებ ბევრი არაფერი იციან. როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში შევიტყვეთ, პანსიონში მკვიდრობდნენ არცთუ ღარიბი ოჯახებიდან გადმოყვანილი მოხუცები, რომელთა შვილებს გარემოებათა გამო მოხუცის მისახედად არ სცალიათ და მსხვილ თანხას იხდიან, რათა თვიდან თვემდე მათ მშობლებს მომვლელებმა მიხედონ. ასეთ დროს იბადება მთავარი და ბუნებრივი კითხვა — ხომ არ უშლიდა ვინმეს ხელს მოხუცთა პანსიონი ან შურისძიება ხომ არ ამოძრავებდა? ანუ ხანძარი შემთხვევით მოხდა თუ მავანის ბოროტი განზრახვით? ბოროტი განზრახვა ჩვენთან საუბარში ადგილობრივი მოსახლეობიდან თითქმის ყველამ გამორიცხა. ზოგს მიაჩნია, რომ ხანძარი გაუმართავმა ელექტროგამათბობელმა გამოიწვია; მეორე ნაწილი კი ერთხმად იმეორებს შემდეგ ვერსიას: **შუაღამით ერთ-ერთი ბენეფიციარის საწოლში გამათბობელი ელექტროლეიბის სადენებზე მოკლე ჩართვა მოხდა. ლეიბი პერიოდულად, ნაპერწკლებს აფრქვევდა. შეშინებულ მოხუცს მოკლე ჩართვის კერაზე ბალიში დაუფარებია, თავად კი გარეთ გამოსულა ისე, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის შეუტყობინებია. ამასობაში ბალიშს ცეცხლი გასჩენია და ოთახს მოსდებია, შემდეგ კი დარბაზში და პანსიონის თითქმის ყველა ოთახში გავრცელებულა, მეტალოპლასტმასის ფანჯრებზე გადასულა, რომლებიც შავი ბოლით იწვოდნენ. ამბობენ, სახანძრო მანქანას მოსვლა დაგვიანებია, თანაც პანსიონში სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე ნორმები გათვალისწინებული არ იყო,** თორემ კვამლის გაჩენისთანავე სისტემა კერას ავტომატურად ჩააქრობდა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა... თუმცა, ეს მხოლოდ მოსახლეობის ვარაუდია. გამოძიება მიმდინარეობს და დაზუსტებულ პასუხს მისი დასრულებისთანავე შევიტყობთ. **იმედია, ხანძარი მართლაც შემთხვევითობის შედეგი აღმოჩნდება და არა ბოროტმოქმედის მიერ შეგნებულად გამოწვეული.**

***სოფელში კეთილგანწყობით შეგვხვდნენ, თუმცა, ჩართულ დიქტოფონთან ყველა გაურბოდა საუბარს. ნახანძრალის შემოგარენში უახლოესი სამეზობლო დავიარეთ და ბოლოს სტუმართმოყვარე მასპინძლის, ქალბატონ გიული მამულაშვილის სახლში აღმოვჩნდით, რომელმაც დაწვრილებით მოგვითხრო, რაც მოხუცებულთა პანსიონის შესახებ იცოდა:***

— ტრაგედია გამთენიისას მოხდა. სამსახურიდან დაღლილი მოვედი და ღრმად მეძინა, როცა სახანძრო მანქანების სირენების ხმამ გამაღვიძა. უმალ მეზობლის ზარიც შემოვიდა ტელეფონზე — გაიღვიძე გიული, სასწრაფოდ სახლიდან გამოდი, ჩვენს უბანში ხანძარიაო! მუხლების ტკივილი მაწუხებს და, ცოტა არ იყოს, ადგომა დამიგვიანდა. გარეთ რომ გამოვედი, საზარელი სანახაობა ვიხილე — მოხუცთა თავშესაფარი მთლიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული! სახლის გარშემო ტერიტორიისთვის მეხანძრეებს ლენტი შემოევლოთ. პანსიონი უკვე იფერფლებოდა, ხოლო გადარჩენილი და ხანძარს გამორიდებული მოხუცები ღია ცის ქვეშ ისხდნენ. ადგილზე შეკრებილი მოსახლეობა გოდებდა, რადგან 2 ხანდაზმული მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ბედად, ხანძრის მომენტში ქარი ჩადგა, თორემ ალი მეზობელ სახლებსაც მისწვდებოდა. გადარჩენის მიუხედავად, მოხუცები არ იყვნენ კარგ დღეში, რადგან კვამლი ბლომად ჰქონდათ ნასუნთქი. საავადმყოფოში მათ გადაყვანას სახელდახელოდ მოყვანილი მარშრუტკით აპირებდნენ, სოფლის გამგებელი კი სასწრაფოდ უბნის ექიმის მოსვლას მოითხოვდა, რათა კლინიკაში გადაყვანამდე გადარჩენილი მოხუცები გაესინჯა — ვინძლო, გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებოდათ. მეზობლებმა შევთავაზეთ, ვიდრე სასწრაფო დახმარების ბრიგადები მოვიდოდნენ, შეშინებული და სიცივეში მყოფი მოხუცები ოჯახებში შეგვეფარებინა, მაგრამ უარი გვითხრეს. სახლებიდან სახელდახელოდ პლედები და ქურთუკები გამოვიტანეთ სამეზობლომ და მოვახურეთ მოხუცებს, ამასობაში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა.

**— პანსიონში მცხოვრები მოხუცები ადგილობრივი მკვიდრნი არიან?**

— არა, საქართველოს ყველა კუთხიდან მოჰყავდათ აქ ხანდაზმულები და თავშესაფარში ტოვებდნენ. ზოგი ბენეფიციარი საკმაოდ მდიდარი ოჯახიდანაც იყო. არ ვაპირებ, ვინმე განვიკითხო, რადგან ზოგჯერ ობიექტური გარემოებაც არსებობს — ხანდაზმულ მშობელს, რომელსაც შეიძლება გულმავიწყობა ან ასაკობრივი მარაზმი დასჩემდა, სახლში მიმხედავი არავინ ჰყავს. მოგეხსენებათ, ზოგიერთ მოხუცს პატარა ბავშვზე მეტი ყურადღება სჭირდება, რათა უნებურად რამე არ გააფუჭოს ან სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაიგდოს. ჰოდა, ასეთი პანსიონი მათ პრობლემაზეა მორგებული. ოჯახის წევრები ხანდაზმულს პანსიონში ტოვებენ, თან არცთუ მცირე თანხას იხდიან, რათა ის მოვლილი და დაკმაყოფილებული იყოს. არადა, მსმენია, რომ არსებობს ისეთი თავშესაფრებიც, სადაც მოხუცებს ზრუნვა, ყურადღება და საკვებიც აკლიათ. ამის გამო ისინი თავშესაფრის სიახლოვეს დახეტიალობენ და მოწყალებასაც ითხოვენ ხოლმე.

ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ — ამ პანსიონში მოხუცებს ყურადღება არც არასოდეს დაკლებიათ, თითოეული თავს საკმაოდ კარგად გრძნობდა, ზოგიერთი იმაზე უკეთაც, ვიდრე საკუთარ ოჯახში იყო, რადგან კეთილი და გამრჯე დიასახლისი მათზე გამუდმებით ზრუნავდა და ამას ვერავინ უარყოფს!

**— აქამდე თუ ყოფილა პანსიონში ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევა?**

— იყო შემთხვევა, როდესაც წინა დღით მოყვანილი ხანდაზმული გარდაიცვალა, რადგან თავიდანვე მძიმე მდგომარეობაში ყოფილა.

**— როდის გაიხსნა თქვენს მეზობლად მოხუცთა თავშესაფარი და მანამდე ამ ადგილზე რა იყო?**

— თავშესაფარი დაახლოებით, 5 წელია, რაც არსებობს. მანამდე ამ ადგილზე ცხოვრობდნენ მატერიალურად შეძლებული ძმები ტატიშვილები, მიწები ჰქონდათ, საქონელიც მრავლად ჰყავდათ. თავად ააშენეს ეს სახლი, საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდათ. სახლი შიგნიდანაც კარგად იყო გამართული, საუკეთესო რემონტით. შემდეგ სახლი ქალბატონმა **ნაირა დოლიძემ** და მისმა მეუღლემ შეისყიდეს, პანსიონის ფარგლებში გადააკეთეს, კიდევ უფრო გაალამაზეს, რემონტი, ფაქტობრივად, თავიდან გააკეთეს, ინტერიერი — ძვირფასი დივან-სავარძლით, ხოლო კედლები ნახატებით ისე დაამშვენეს, თავი მუზეუმში გეგონებოდათ. ქვედა სართულზე სამზარეულო მოაწყვეს; ზედა სართულზე თითოეულ ოთახს ცალკე სველი წერტილი — ტუალეტი და სააბაზანო გაუკეთეს, ასე რომ, მოხუცებისთვის საუკეთესო გარემო შექმნეს. ქალბატონი ნაირა რომ დაინახოთ, ვერც კი წარმოიდგენთ, ამდენი ენერგია თუ აქვს ამ გამხდარ და ჩია, მაგრამ სულით მდიდარ ადამიანს. კომპოტებსა და მურაბებსაც საკუთარი ხელით უხარშავდა მოხუცებს. შეიძლება, ზოგ მოხუცს არასოდეს უცხოვრია ისეთ საუკეთესო პირობებში, აქ რომ ჰქონდა!

**— დაღუპული ბენეფიციარების ჭირისუფლები ან გადარჩენილების ოჯახის წევრები ხომ არ უჩივიან თავშესაფრის ადმინისტრაციას?**

— არ გვსმენია ამის შესახებ. ან რა უნდა ჰქონდეთ სასაყვედურო? მოხუცი, რომელსაც ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ოჯახში ვეღარ უვლიდნენ, აკი, თავად დატოვეს უცხო გარემოში, სხვას ჩააბარეს და განა რა პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ?! ქვეყანა მართლა ჩალით ყოფილა დახურული, თუ ვინმე ქალბატონი ნაირასკენ გაიშვერს პრეტენზიით თითს! ქალი თავადართობდა მოხუცებს, პიანინოზე უკრავდა, ამღერებდა, ცნობილ მომღერლებსაც იწვევდა მათ გასახალისებლად! თავად შევესწარი — ხანძარს გადარჩენილი მოხუცები, ვიდრე საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, ტიროდნენ — **არსად წასვლა არ გვინდა, ისევ აქ დავრჩებით, რომელიმე პატარა ოთახში ერთად დავეტევით ყველანიო.** მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და „ასავალ-დასავალის" ფურცლებიდან მთავრობას მოვუწოდო, დაეხმარონ ნაირა დოლიძეს ამ პანსიონის აღორძინებაში!


მუხრანის მოხუცთა სახლის დიასახლისი ნაირა დოლიძე


სოფელ მუხრანის მკვიდრი გიული მამულაშვილი

### ბოლოთქმა

მუხრანიდან თბილისში გულდამძიმებული ვბრუნდებოდი და წუთისოფლის გამოცანებზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი ოჯახებს მოწყვეტილ ხანდაზმულებზე, რომლებსაც სიცოცხლის მიწურულს საზარელი განსაცდელი დაატყდათ და გონებაში ვბჭობდი, რა უფრო მტკივნეულია უმწეო მოხუცისთვის — **იხრუკებოდეს ხანძრის ალში, რომელიც აჩქარებით უახლოვდება მის სასთუმალს თუ იმ მომენტის განცდა, როცა საკუთარი შვილი სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის გასატარებლად მოხუცთა თავშესაფარში გაბარებს, თუნდაც ეს თავშესაფარი საუკეთესოდ იყოს მოწყობილი?**

*ზაზა დავითაია*

## სოფიკო კოპალეიშვილი:

# ნიდერლანდელი მეცნიერები სისხლის ერთი წვეთის ანალიზით ზუსტ პროგნოზს აკეთებენ – ადამიანი უახლოესი ათი წლის განმავლობაში მოკვდება თუ დიდხანს იცოცხლებს?!

*მედიკოსები ამ სამყაროში ყველაზე იდუმალ სუბსტანციად სისხლს მიიჩნევენ. იუდაისტები მას თხევად სულს უწოდებენ. რომაელი სენატორები მომაკვდავი გლადიატორების სისხლს სვამდნენ გასაახალგაზრდავებლად, ხოლო შუა საუკუნეებში ბებერი ფეოდალები უმანკო ქალწულთა სისხლით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. ჩვენი სტუმარია პროფესორი* ***სოფიკო კოპალეიშვილი*** *— ბიოტექნოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი და ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელოების თანაავტორი, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სეფსისის ცენტრის მიკრობიოლოგიის განყოფილებაში, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, სისხლის პლაზმის სამკურნალო თვისებებს იკვლევდა:*



— სისხლის გამაახალგაზრდავებელი ეფექტი კალიფორნიის ბიოტექნოლოგებმა აღმოაჩინეს, რომლებმაც ცდები თეთრ თაგვებზე ჩაატარეს. შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა: მეტაბოლიზმი გაუმჯობესდა, ქსოვილები და რეპროდუქციის უნარი აღდგა, მაგრამ, როცა ახალგაზრდა თაგვებს ბებრების სისხლი გადაუსხეს, უკუპროცესი — სწრაფი დაბერება დაიწყო.

**— სისხლის დალევით გაახალგაზრდავების იდეა თანამედროვე მედიცინის მამას — ჰიპოკრატეს ეკუთვნის. რომაელი პოლიტიკოსი პლინიუსი წერს, რომ სენატორები მომაკვდავი გლადიატორების სისხლს სვამდნენ სულისა და სხეულის გასაახალგაზრდავებლად. ისიც ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში მოხუცი ფეოდალები უმანკო ქალწულების სისხლით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. ამასთანავე, ძველად სჯეროდათ, რომ სისხლი სიცოცხლის არსია და თუ მას სხვას გადაუსხამ, სიცოცხლესაც უწილადებ. რატომ თვლიან მედიკოსები სისხლს ამ სამყაროში ყველაზე იდუმალ სუბსტანციად?**

— სისხლის წითელი ბურთულაკები — ერითროციტები, ძვლის ტვინში წარმოიქმნება ღეროვანი უჯრედების მონაწილეობით. ერითროციტები ერთადერთი უჯრედებია, რომელთაც ბირთვი არა აქვთ და, შესაბამისად, გაყოფა არ შეუძლიათ. ამაშია მათი უნიკალურობა — არ მრავლდებიან.

**— მაშ, როგორ ხდება სისხლის განახლება?**

— ყოველ წამს ძვლის ტვინი ორ მილიონზე მეტ წითელ ბურთულაკს წარმოქმნის და ზუსტად ამდენივე იღუპება, ასე რომ, სისხლის განახლება ჩვენს ორგანიზმში მუდმივად ხდება. მას ადამიანის გაახალგაზრდავებაც შეუძლია და განკურნებაც.

**— ცნობილია, რომ სისხლის სამკურნალო თვისებები პირველად გერმანელმა იმუნოლოგმა ემილ ადოლფ ფონ ბერინგმა აღმოაჩინა დიფტერიასთან ბრძოლის დროს. მან დონორის სისხლის პლაზმა გამოიყენა სასიკვდილოდ განწირულ პაციენტთა გადასარჩენად.**

— **ბერინგის** მიერ ანტისხეულების აღმოჩენამ ბევრის სიცოცხლე იხსნა ესპანკის, ებოლას და კორონავირუსის ეპიდემიების დროს. სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იმ დონორთა სისხლის პლაზმა, ვინც ეს დაავადება გადაიტანა, ანტისხეულების ერთადერთი წყაროა „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. სხვათაშორის, გამოჯანმრთელებულთა პლაზმით კორონავირუსის ეპიდემიის დროს პაციენტებს მკურნალობდნენ ჩინეთში, გერმანიასა და აშშ-ში. ამ ვირუსის შესწავლის დროს მეცნიერებმა ვერ მიაგნეს მის პათოგენეზს, ანუ მოქმედების ალგორითმს. და, შესაბამისად, არავინ იცის, პირველად ლორწოვანს აზიანებს თუ პირდაპირ ფილტვებს. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარებმა საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენეს — **კორონავირუსი, პირველ რიგში, სისხლზე მოქმედებს — ორგანიზმში მოხვედრისთანავე საბრძოლველად აზიანებს ჰემოგლობინის მოლეკულებს.**

**— მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის კვლევითი ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გამგედ მუშაობის პერიოდში საინტერესო ცდებს ატარებდით მედიკამენტურ საშუალებათა ეფექტურობაზე, ხოლო სეფსისის ცენტრის მიკრობიოლოგიის განყოფილებაში, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, სისხლის პლაზმის სამკურნალო თვისებებს იკვლევდით. როგორც ვიცი, ექსპერიმენტი მე-4 სტადიის ონკოპაციენტებზე ჩაატარეთ.**

— ჩვენი ძირითადი ამოცანა ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალო პრეპარატის შექმნა იყო. ამ მიზნის მისაღწევად გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა პლაზმა, რომელსაც ცხენის სისხლის შრატისგან ვიღებდით, რადგანაც ცხენისა და ადამიანის სისხლი თითქმის ერთნაირია. ვმუშაობდით ენთუზიაზმზე, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე.

**— ცხენებიც არ გიყიდიათ?**

— არა! სეფსისის ცენტრამდე **ბაქტერიოფაგში** (გ. ელიავას სახელობის ვაქცინებისა და შრატების მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი) ვმუშაობდი, სადაც გვყავდა საცდელი ცხოველები: კურდღლები, ცხვრები, ზღვის გოჭები, თეთრი თაგვები, ბაყაყები და ცხენები. სისხლის შრატისგან პლაზმას ლაბორატორიული გზით ვიღებდით.



**— რისგან შედგება პლაზმა?**

— საერთოდ, პლაზმა ნაწლავებიდან შეწოვილი სითხეა, რომელიც სისხლძარღვებში გადადის. მისი ფუნქცია ნივთიერებების გადატანა და სისხლის შედედებაა. პლაზმის 90 პროცენტი წყალია, 10 პროცენტი — ცილები, ცხიმები, გლუკოზა, მინერალური მარილები და სხვა ნივთიერებები. სამკურნალო პრეპარატის შესაქმნელად მნიშვნელოვანია მასში დაგროვილი ანტისხეულები და სისხლის უჯრედები — ერითროციტები, თრომბოციტები, ლეიკოციტები.



**— როგორც ვიცი, ანტისხეულთა ბუნებრივად გამომუშავების უნარი მშობლებისგან გენეტიკურად გადმოგვეცემა. იმუნიტეტს ანტისხეულები აყალიბებენ?**

— დიახ! პაციენტისთვის პლაზმაში დაგროვილი ანტისხეულების შეყვანა დაავადების გამომწვევის საწინააღმდეგოდ იმუნიტეტს აძლიერებს.

**— ექსპერიმენტის შედეგებზე რას გვეტყვით?**

— წამალი ჯერ ცხენებზე გამოვცადეთ. მათ სისხლში წვეთწვეთობით შეგვყავდა ახალი პრეპარატი დოზის დასადგენად. მოგვიანებით ექსპერიმენტული წამლის გამოცდა დავიწყეთ სასიკვდილოდ განწირულ ადამიანებზე მათივე თანხმობით. 10 ონკოპაციენტიდან 6 შემთხვევაში დადებითი შედეგი მივიღეთ, დანარჩენები უკვე ისე იყვნენ დასუსტებული, რომ მათმა ორგანიზმმა ვერ მიიღო ახალი პრეპარატი. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვატარებდით ექსპერიმენტს სრულყოფილი წამლის შესაქმნელად, მაგრამ ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ მოხერხდა.

**— ძველად ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებს, თურმე, მოზვერის სისხლით მკურნალობდნენ, ხოლო დიაბეტიანებს — კურდღლის სისხლით. გადმოცემით ვიცი, რომ სასიკვდილოდ განწირული 17 წლის ვაჟიშვილი მშობლებმა სოფელში წაიყვანეს, მოზვერი უყიდეს და ყოველდღე მისი ვენიდან აღებულ 200 გრამ ახალ სისხლს ასმევდნენ, რითიც ავადმყოფს 14 წლით გაუხანგრძლივეს სიცოცხლე. რაც შეეხება დიაბეტს, ამ დაავადების სამ-**



**„ჩვენი ძირითადი ამოცანა ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალო პრეპარატის შექმნა იყო. ამ მიზნის მისაღწევად გადავწყვიტეთ, გამოგვეყენებინა პლაზმა, რომელსაც ცხენის სისხლის შრატისგან ვიღებდით, რადგანაც ცხენისა და ადამიანის სისხლი თითქმის ერთნაირია!“**

**სახელოვანი ქართველი ინფექციონისტი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი (1924–2002)**

## ქვირგვინოსნები

**თაკო კორინთელი**
*ტელეწამყვანი*



ჩემი აზრით, **პუტკუნა უფრო საყვარელი ვიყავი,** ვიდრე გამხდარი.

„თბილისელები“

**ნინი სხირტლაძე**
*მხატვარი*



გუშინ ძალიან სასაცილო ამბავს შევესწარი იტალიაში, **ჯართს იბარებდნენ ზუსტად ისე, როგორც საქართველოში** და თავი სახლში მეგონა.

„თბილისელები“

**ბელა ალანია**
*შალვა ნათელაშვილის მეუღლე, პოეტი*



სულ ვნანობ, **შალვა რომ პოლიტიკაშია,** ამან არაერთხელ მატკინა გული.

„თბილისელები“

**მიხეილ ცაგარელი**
*ასტროლოგი*



35 წელია, მეუღლე გვერდში მიდგას. **ძალიან ერთგულია.** ჩვენს დროში, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატია, **ერთგულება დასაფასებელია.**

„სარკე“

**მარიკა ჯანაშია**
*ტელეწამყვანი, მოდელი*



საერთოდ არ მესმის იმ მამაკაცების, რომლებიც **მეუღლეების ჩაცმას აკონტროლებენ.** ვერ ვხვდები, რას აშავებს, მოკლე კაბა თუ აცვია?

„სარკე“




# „კორონავირუსი, პირველ რიგში, სისხლზე მოქმედებს – ორგანიზმში მოხვედრისთანავე საგრძნობლად აზიანებს ჰემოგლობინის მოლეკულებს!“






**კურნალოდ ყოველდღე თითო კურდღელს აჭრიან თავს, თბილ-თბილ სისხლს ჭიქაში აგროვებენ და სვამენ.**

— მედიცინა ჩვენში ძველად ძალიან მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ზოგიერთებს დღემდე ახსოვთ ხევსური მკურნალი **მგელიკა ლიქოკელი,** რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თავის ქალის ტრეპანაციას საკუთარი იარაღებით აკეთებდა, ხოლო 3-4-საათიანი ოპერაციის წინ პაციენტი ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეჰყავდა. ეუბნებოდა: „შენ აქ არა ხარ, არაფერი გტკივა!“.. **სამწუხაროდ, მთის გაქრისტიანებისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს ცოდნა დაიკარგა.**

**— რას წარმოადგენს ე.წ. „სიკვდილის ინდექსი“?**

— ნიდერლანდელი მეცნიერები სისხლის ერთი წვეთის ანალიზით ზუსტ პროგნოზს აკეთებენ — დიდხანს იცოცხლებს ადამიანი თუ უახლოესი ათი წლის განმავლობაში მოკვდება! ანალიზის გასაკეთებლად მათ გამოყვეს 14 სპეციალური მარკერი, ე.წ. **„სიკვდილის ინდექსი“** და თუ სისხლს ამ 14 მაჩვენებელზე ჩავაბარებთ, ზუსტად გვეტყვიან, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ.

**— ძალიან გაახალგაზრდავდა ათეროსკლეროზი და უკვე 15 წლის ასაკშიც ვლინდება. რა არის ამის მიზეზი?**

— სისხლის საიდუმლოს გამოცნობა მეცნიერებს საშუალებას მისცემს, გაუმკლავდნენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, მათ შორის, ათეროსკლეროზსაც. სისხლძარღვთა კედლების გამკვრივება და კოლიტების წარმოქმნა სისხლს ნორმალურად მოძრაობის საშუალებას არ აძლევს, რის გამოც გული ძლიერი დატვირთვით მუშაობს და ავადდება. სამწუხაროდ, უკვე ბავშვებსაც შეიძლება დაემართოთ ინფარქტი, ინსულტი და მძიმე ათეროსკლეროზი, რომელიც მოხუცთა დაავადებად ითვლებოდა. საერთოდ, ათეროსკლეროზი ვითარდება სისხლში ცუდი ქოლესტერინის მაღალი დონის გამო.

**— ადრე ითვლებოდა, რომ ქოლესტერინი საერთოდ არ იყო საჭირო!**

— მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კარგი ქოლესტერინი აუცილებელია ადამიანის გონებრივი განვითარებისათვის, უჯრედული მემბრანებისა და სქესობრივი ჰორმონების მშენებლობისათვის, შარდის ბუშტის ნორმალური მუშაობისათვის. კოლტებს აჩენს ცუდი ქოლესტერინი, რომელსაც ღვიძლში სისხლის გავლისას რეცეპტორები იტაცებენ და ნაწლავებში აგზავნიან, რათა ორგანიზმიდან გამოიტანონ. **თუ ღვიძლი სრულფასოვნად არ მუშაობს, ორგანიზმში ცუდი ქოლესტერინი გროვდება და ნაადრევი ათეროსკლეროზის მიზეზი ხდება.** მეცნიერები უკვე მუშაობენ ამ დაავადების წინააღმდეგ ვაქცინის შექმნაზე. წელიწადში ერთი ნემსი საკმარისი იქნება ქოლესტერინის ორჯერ შესამცირებლად. ახლა დაიბადება თუ არა ბავშვი, მისი სისხლის ერთი წვეთიც კი საკმარისია, რომ ექიმმა თქვას, როგორ განვითარდება ახალშობილი, რა დაავადებები შეეყრება და მათ შორის რომელია მემკვიდრეობითი.

მეცნიერული კვლევებით მტკიცდება, რომ სისხლის ანალიზით ემოციური მდგომარეობის განსაზღვრაც შეიძლება. თუ ადამიანს სტრესული სიტუაცია აქვს სახლში ან სამსახურში, ეს სისხლშიც აისახება, ხოლო, როცა სტრესის მიზეზი ქრება, სისხლი წესრიგდება. ორგანიზმის მიკროფლორის განსაზღვრა სისხლის ანალიზითაც შეიძლება, რადგანაც პარაზიტები მისი საშუალებით გადაადგილდებიან.

**— სისხლის ჯგუფის მიხედვით დაავადებებისადმი მიდრეკილებაზე რას გვეტყვით?**

— ცნობილი გახდა, რომ კოვიდი უმეტესწილად შეეყარათ მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს. პირველ ჯგუფს ყველაზე ძლიერი იმუნიტეტი აქვს, განსაკუთრებით რეზუს უარყოფითიანებს. **შედარებით მყარი იმუნიტეტი აღმოაჩნდა მესამე ჯგუფს, მაგრამ დიაბეტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებებისადმი აქვთ მიდრეკილება.**

**— მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს რა დაავადებები შეიძლება განუვითარდეთ?**

— მიდრეკილება აქვთ გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავთა დაავადებებისადმი. ყველაზე სუსტი იმუნიტეტი მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონეებს აქვთ და, შესაბამისად, სხვებზე ხშირად სნეულდებიან.

**— ცნობილი გახდა, რომ ვერმონტის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ორი ახალი ჯგუფის სისხლი აღმოაჩინეს — მეხუთე და მეექვსე („ლანჟელის“ და „ჯუნიორ“). მართლაც რომ სენსაციური განცხადებაა!**

— ვერმონტელ მეცნიერთა თქმით, სისხლის ორი ახალი ჯგუფის არსებობაზე მიუთითებს განსაკუთრებული ცილები, რომლებსაც ადრე ვერ პოულობდნენ. აღმოჩნდა, რომ მეხუთე და მეექვსე ჯგუფის სისხლი გვხვდება მხოლოდ იაპონელებში, ევროპელებში, ბოშებში და იშვიათად — ამერიკელებში. საერთოდ, ნებისმიერი ექიმი გეტყვით, რომ სისხლის ჯგუფები დედამიწაზე ოთხი და ექვსი კი არა, ათასობითაა — ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ცილებით, ანტისხეულებით და სხვა კომპონენტებით. სისხლი კვლავაც ბევრ საიდუმლოს მალავს, მასშია ჩვენი წარსული, აწმყო, მომავალი და შესაძლოა, სულიც!

*ესაუბრა*
***ნინო გოძიაშვილი***

## „ხევსური მკურნალი მგელიკა ლიქოკელი, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თავის ქალის ტრეპანაციას საკუთარი იარაღებით აკეთებდა, ხოლო 3-4-საათიანი ოპერაციის წინ პაციენტი ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეჰყავდა!“

## კვირგვინოსნები

**თემურ ყვითელაშვილი**
*გიტარისტი*



ხშირად მეკითხებიან, **რატომ ვერ გხედავთ კონცერტებზეო?** იმიტომ, რომ არავის ვეპირფერები. **მე ვუკრავ ხალხისთვის** და არა კონკრეტულად ვიღაცისთვის.

„კვირის პალიტრა“

**ანრი ბიზინეიშვილი**
*მსახიობი*



მე რომ ჩემი მეუღლის თავდაჯერებულობის ათი პროცენტი მქონოდა, **ძალიან ძლიერი მამაკაცი ვიქნებოდი.** ადრე არ მაინტერესებდა, **შუქნიშანზე წითელი რომ ენთო, გავჩერდებოდი თუ არა,** დღეს მაინტერესებს, რადგან დიდხანს მინდა, ვუყურო ჩემს ოჯახს.

„თბილისელები“

**ეთო ბუზბავა**
*მსახიობი*



ჩემი ზედმეტსახელია **ვანგა,** ცოტა მეშინია კიდეც საკუთარი თავისა და სიზმრების. **ახლა პუტინის დაპატიმრებას ველოდები, სიზმარში მაქვს ნანახი,** მის დაპატიმრებაში წვლილი ქართველს უნდა მიუძღოდეს და ეს შემოდგომით ან ზამთარში მოხდება.

„თბილისელები“

**ნინო ჩხეიძე**
*მომღერალი*



რაც წლები მემატება, **უფრო მომწონს ჩემი თავი** და გარეგნობა.

„თბილისელები“

**რიკი მარტინი**
*მომღერალი*



პირად ცხოვრებაში **შეზღუდული არ ვარ** და მსურს, ბედნიერი ვიყო.

„სარკე“

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომლებიც თანამედროვე ავტომანქანებში ჩამონტაჟებული გათბობის სისტემებიდან მომდინარეობს:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“ —** საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ *(პროფკავშირების სახლი)*. 593 31 70 34; ფეისბუქი: *„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“***



# *კახა საბახტარიშვილი:*

# მამაკაცებს, რომლებიც ავტომანქანის სავარძლების გათბობით წლობით და სისტემატურად სარგებლობენ, იმპოტენცია და უნაყოფობა ემუქრებათ!

— სავარძლების გათბობა თანამედროვე კომფორტული მანქანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ეს ტექნოლოგია თავდაპირველად შვედეთში დაინერგა, როცა 1972 წელს შვედურ ავტოგიგანტ „სააბის“ ერთ-ერთ მოდელს სავარძლების გათბობის სისტემა დაუმონტაჟეს. ამის შემდეგ ეს სიახლე მსოფლიოს ყველა პოპულარულმა ავტომწარმოებელმა აიტაცა. ერთი შეხედვით, სავარძლების გათბობა მხოლოდ და მხოლოდ კომფორტია, რომელიც ზამთარში ჩვენს ჯანმრთელობას უზრუნველყოფს. მანქანათმშენებლობის გიგანტებიც დღემდე ამტკიცებენ, თითქოს სავარძლების გათბობა მამაკაც მძღოლებს გაციებით გამოწვეული პროსტატიტისა და შარდის ბუშტის ანთებისგან იცავს. მათივე მტკიცებით, ქალი მძღოლებიც დაცული არიან გაციებით გამოწვეული გინეკოლოგიური პრობლემებისგან. სინამდვილეში გამთბარი სავარძლით მგზავრობა ჯანმრთელობისთვის უდიდესი ზიანის მომტანია. თავად განსაჯეთ, მამაკაცთა სათესლე ჯირკვლების ტემპერატურა სხეულის ტემპერატურასთან შედარებით 2-3 გრადუსით დაბალი უნდა იყოს და ღმერთმაც ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ისინი სხეულის გარეთ გამოიტანა, რათა ჰაერთან უშუალო შეხება ჰქონდეთ. ეს ყველაფერი იმას უკავშირდება, რომ მამაკაცთა სასქესო ჰორმონის ტესტოსტერონის წარმოსაქმნელად ცელსიუსით 32-34 გრადუსია იდეალური. უფრო მეტიც, ტემპერატურის ეს დიაპაზონი განაპირობებს სპერმატოზოიდების მოძრაობის უნარსაც, რის გარეშეც განაყოფიერება შეუძლებელია. მაღალ ტემპერატურაზე ტესტოსტერონის გამომუშავება მცირდება და სპერმატოზოიდებიც უმოძრაო ხდება, რაც მამაკაცთა უნაყოფობასა და იმპოტენციას



განაპირობებს.

**— ე.ი. რა გამოდის, ავტომანქანაში სავარძლების გათბობამ შესაძლოა, მამაკაცთა უშვილობა გამოიწვიოს?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით! თუ მთელი გვიანი შემოდგომის, ზამთრისა და ადრეული გაზაფხულის განმავლობაში სავარძლების გათბობით მგზავრობაზე უარს არ ვიტყვით, მაშინ ჩვენ სათესლე ჯირკვლების არეში მუდმივად გვექნება 38-40 გრადუსი ტეპერატურა. ამდენად, **მამაკაცებს, რომლებიც ავტომანქანის სავარძლების გათბობით წლობით და სისტემატურად სარგებლობენ, იმპოტენცია და უნაყოფობა ემუქრებათ!** განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ იმყოფებიან ტრაილერების მძღოლები, რომლებსაც დიდ მანძილზე რამდენიმე საათის განმავლობაში და ზოგჯერ მთელი დღეღამე უწევთ მანქანის ტარება.

**— ქალებს ამ დროს რა საფრთხე ექმნებათ?**

— მაღალი ტემპერატურა ქალების ინტიმურ ზონაში იწვევს სიმშრალეს, რაც გენიტალიებში არსებულ მიკროფლორას ანადგურებს. ეს კი შესაძლოა, გახდეს ცისტიტისა და გინეკოლოგიურ ანთებათა გამომწვევი მიზეზი.

**— მაშ, რა ვქნათ, სავარძლების გათბობაზე საერთოდ უარი ვთქვათ?**

— ასეთ შემთხვევაში მანქანით მგზავრობისას სავარძლების გათბობა ჩავრთოთ დაახლოებით 10 წუთით, შემდეგ გამოვრთოთ და ასე გავაგრძელოთ გზა. მივიღებთ ჩვენთვის სასურველ, მაგრამ უსაფრთხო ეფექტს — სავარძლები მიიღებს ჩვენი სხეულის ტემპერატურას და არ შეგვცივდება! რაც შეეხება ფეხის გათბობის რეჟიმს, რომელიც თანამედროვე მანქანებს ცალკე აქვს, ადრეც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ — **ფეხი, განსაკუთრებით ტერფის ნაწილი, ყოველთვის თბილად უნდა იყოს!**

**„რაც შეეხება ფეხის გათბობის რეჟიმს, რომელიც თანამედროვე მანქანებს ცალკე აქვს, ადრეც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ – ფეხი, განსაკუთრებით ტერფის ნაწილი, ყოველთვის თბილად უნდა იყოს!“**

**— საინტერესოა, ზამთრის სიცივეს ქალი უფრო ადვილად უძლებს თუ კაცი?**

— მეტაბოლიზმი, ანუ ნივთიერებათა ცვლის პროცესი, ქალებში უფრო ნელა მიმდინარეობს. ეს გასაგებიცაა, რადგან უძველესი დროიდან მოყოლებული, კაცი სულ მოძრაობაში იყო — ნადირობდა, თევზაობდა, იბრძოდა და ა.შ. რადგან ქალებში მეტაბოლიზმი შენელებულია, შესაბამისად, ნაკლებ სითბოს გამოიმუშავებენ, ზამთარშიც, კაცებთან შედარებით, უფრო ადვილად ცივდებიან და დაბალ ტემპერატურასაც უფრო ძნელად იტანენ.

**საინტერესოა ერთი ფაქტი, რის შესახებაც შესაძ-**

## კვირგვინოსნები

**მარინა კახიანი**
*მსახიობი*



ამაყად ვიტყვი, რომ **რძალთან ერთხელაც არ მომსვლია უთანხმოება.** ყველა ახალგაზრდა ქალს სურს ცალკე ცხოვრება, **რაც უნდა კარგი ურთიერთობა ჰქონდეს დედამთილთან, მაინც ცალკე ურჩევნია.** რატომ უნდა აიძულო, წყვილმა შენთან იცხოვროს? **რატომ ძალადობენ რძლებზე, სიძეებზე?**

„სარკე“

**დავით (ბზიკო) მაჭარინდელაშვილი**
*წამყვანი, ანიმატორი, დიჯეი*



**შეყვარებული არავის ვახსოვარ, მაშინვე ცოლი მომყავს.**

„თბილისელები“

**დიტო ქისიშვილი**
*მომღერალი*



**ჩემი პროფესიის კაცს** დიდი ინტერესი უნდა ჰქონდეს, რომ მისი გაკეთებული საქმე მასშტაბური და პოპულარული იყოს, მაგრამ **მე არ მაქვს პოპულარობის მოთხოვნილება.**

9-10 წლის ვიყავი, როცა უკვე ვტაქსაობდი.

„თბილისელები“

**თემო საჯაია**
*მომღერალი*



შეიძლება, უცებ ავფეთქდე, ცოტა ხანს თავი უნდა დამანებო და **ბოდიშსაც მოვიხდი და მუხლებზეც დავეცემი.** მილიონები რომ მოვიგო, **ვინატრებდი, ადამიანობა არ დამეკარგა.**

„თბილისელები“

**გიორგი ყიფშიძე**
*მსახიობი*



ცოლი არ მყავს და აწი, ალბათ, აღარ მოვიყვან. **შეიძლება, ქმარი არ მქვია, მაგრამ ბედნიერი მამა ნამდვილად ვარ,** და არამარტო მამა, ლუნასთვის და კოსმოსთვის **მამაც ვარ და დედაც.**

„თბილისელები“

ლოა, ბევრმა არ იცის... ზამთარში ქალი უფრო აგრესიული ხდება, ვიდრე ზაფხულის პერიოდში. მამაკაცთან მიმართებაში კი მსგავს მოვლენას ადგილი არა აქვს. ყველაფრის მიზეზი ჰორმონალური განსხვავებაა. საქმე ის გახლავთ, რომ ზამთარში, როცა მზის შუქი ნაკლებია, მელატონინის გამომუშავება მკვეთრად იზრდება, რის გამოც ჰორმონი დეჰიდროეტიანდროსტერონი, რომელიც ქალისთვის არის დამახასიათებელი, მკვეთრად მატულობს და აგრესიას განაპირობებს. მამაკაცებს ეს ჰორმონი ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ და მათში მელატონინის სიჭარბით გამოწვეული აგრესია ნაკლებად შესამჩნევია. ასე რომ, თუ ქალებს ზამთარში ხასიათის ცვლილება შევამჩნიეთ, ყველაფერი მათ ჰორმონებს უნდა დავაბრალოთ და თავი არაფერში დავიდანაშაულოთ! (იცინის)

**— ზამთარში ავტობუსის გაჩერებაზე ან ბაღში რკინის თუ ქვის ცივ სკამზე დაჯდომა რამდენად რეკომენდებულია და რა შეიძლება გამოიწვიოს ამან?**

— ეს დაუშვებელია! თუ გამოუვალი სიტუაცია არ გვაქვს, ზამთარში ცივ სკამზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯდეთ. ეს ეხებათ მამაკაცებსაც და ქალებსაც, განსაკუთრებით — ახალგაზრდა გოგონებს. ყველა შემთხვევაში ცისტიტი გარანტირებული გვაქვს, ხოლო ქალებში შესაძლოა, ამან გამოიწვიოს გინეკოლოგიური ანთებითი პროცესი, რომელიც ხშირად უშვილობის მიზეზი ხდება.

**მამაკაცებისთვის ცივ, გაყინულ სკამზე დაჯდომა იმითაც არის სახიფათო, რომ ასეთ დროს სისხლძარღვები ვიწროვდება, პროსტატის ჯირკვალში სისხლის მიმოქცევა ირღვევა და ეს ყველაფერი შესაძლოა, პროსტატის ანთებაში, ანუ პროსტატიტში გადაიზარდოს!**



**„თუ გამოუვალი სიტუაცია არ გვაქვს, ზამთარში ცივ სკამზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავჯდეთ!“**

**„ზამთარში ქალი უფრო აგრესიული ხდება, ვიდრე ზაფხულის პერიოდში. მამაკაცთან მიმართებაში კი მსგავს მოვლენას ადგილი არა აქვს!“**





ზამთარში დაუშვებელია ასევე უქუდოდ სიარული, რადგან არსებობს დიდი შანსი, რომ ჰაიმორიტი, ფრონტიტი ან სინუსიტი დაგვემართოს. უფრო მეტიც, ზამთარში შუბლი სულ დაფარული და დათბილული უნდა გვქონდეს, რაც კარგად იცოდნენ ჩვენმა სვანმა თანამემამულეებმა. წესია, რომ სვანურმა ქუდმა შუბლი უნდა დაფაროს.

**— სიცივე ყოველთვის მავნებელია?**

— თუ გარკვეულ წესებს დავიცავთ, სიცივით მკურნალობაც შეიძლება. არსებობს მეცნიერების დარგი **კრიოთერაპია,** რომელიც სწორედ **სიცივით მკურნალობას** ნიშნავს. ორგანიზმზე სიცივის ხანმოკლე დროით, 2-5 წუთის განმავლობაში, ზემოქმედება, ზომიერი სტრესია, რომელსაც **ჰორმეზისი** ეწოდება. ამ დროს თირკმელზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს ადრენალინსა და ნორადრენალინს. ამ ორი ნივთიერების სწრაფი და ხანმოკლე გამოყოფა კი იწვევს ანთების ჩაცხრობას, დეტოქსიკაციას, უჯრედის ენერგეტიკული სადგურების — მიტოქონდრიების გამრავლებას, ანტივირუსული და ანტიბაქტერიული T უჯრედების მომატებას, იმუნიტეტის გაძლიერებას, შაქრის დონის დაწევას, ინსულინრეზისტენტობის შემცირებას, ძილის გაუმჯობესებას, სისხლის მიმოქცევის გაძლიერებასა და ცხიმების წვას.

**— ე.ი. ვისაც დიდი წონა აქვს ან შაქრიანი დიაბეტი აწუხებს, მისთვის ჰორმეზისი, ანუ სიცივით გამოწვეული ზომიერი სტრესი სასარგებლოა?**

— დიახ, ძალზე სასარგებლოა და ამ თემაზე მომავალში საგანგებოდ გვექნება საუბარი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„თუ გარკვეულ წესებს დავიცავთ, სიცივით მკურნალობაც შესაძლებელია!“**

## კვირგვინოსნები

**ლიზა ყენია**
*მოდელი*



შორიდან ყველას ჰგონია, რომ **ცივი, უხეში და „სტერვა“** ვარ. სინამდვილეში **ვარ ძალიან რეალისტი ადამიანი,** ჩემი საქმის ფანატიკოსი, **ძალიან უბოროტო** და მიყვარს მხიარულება.

„სარკე“

**ლიკა ქობულაძე**
*მსახიობი*



არ მომწონს **დახეული ჯინსები,** რადგან მგონია, რომ ამ სტილით **საზოგადოებას აჩვევენ ძონძებსა და სიღარიბეს.**

„სარკე“

**მარინა სალუქვაძე**
*კინომცოდნე, ტელეწამყვანი, პროდიუსერი*



მეუღლე მყავდა, **ზაზა მარჯანიშვილი** რომ შემიყვარდა. თუ რაღაც ეწყინა ან მე მეწყინა, ჩავეხუტებით ერთმანეთს და მორჩა. **ადამიანი როცა გიყვარს, მარტივია პატიების თხოვნა.** ჩვენ მეგობრებიც ვართ და მეუღლეებიც.

„სარკე“

**დიმიტრი ტატიშვილი**
*მსახიობი*



წლების წინ **ბერობაზე მართლაც ვოცნებობდი** და სერიოზულად ვფიქრობდი. შემდეგ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. **იყო სასულიერო პირი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა** და თანაც, ალბათ, ამის ნიშანი უფლისგან უნდა მიიღო.

„სარკე“

**კანიე უესტი**
*რეპერი*



ყოველთვის ვიცოდი, რომ ჰოლივუდი **დიდი ბორდელი** იყო.

„სარკე“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-46*

***რუსული წყაროთმცოდნეობის დამფუძნებელი, ინჟინერ-არტილერისტი, არაერთი რუსული ქალაქის დამფუძნებელი და პეტრე პირველის თანამედროვე, რუსეთის ისტორიის ხუთტომეულის ავტორი ვასილი ნიკიტას ძე ტატიშჩევი (1686-1750 წ.წ.) „რუსეთის ისტორიის“ პირველ ტომში, 171-ე გვერდზე, წერს —*** *„სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს, რომელსაც დღეს თურქები და ყაბარდოელები „ავხაზოს“-ს უწოდებენ, ჩვენი ძველები „ობეზებს“ ეძახდნენ. ახლა მის დიდ ნაწილს ყუბანელები შეადგენენ!“*



მოკლედ, თავად რუსეთის ისტორიის შემქმნელი **ვასილი ტატიშჩევიც** ადასტურებს, რომ ე.წ. **აფხაზები,** ანუ სინამდვილეში **აფსუები,** რომლებმაც რუსების, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების, სომეხი ბაგრამიანელებისა და ველური კაზაკების აქტიური და უპირობო მხარდაჭერით ქართველები აფხაზეთიდან გამოდევნეს, სინამდვილეში ყუბანისპირეთიდან არიან ჩამოსახლებული!

ძველ რუსეთში რომ **აბზოე ქართველის** სინონიმი იყო და დღევანდელ აფსუებთან საერთო არაფერი ჰქონდა, ამას **ვასილი ტატიშჩევი** „რუსეთის ისტორიის“ ზემოხსენებული გამოცემისა და ტომის 375-ე გვერდზეც აზუსტებს. კერძოდ, როცა გამოჩენილი რუსი სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე კიევის რუსეთის დიდი მთავრის **იზიასლავ მეორის** (1146-1154 წ.წ.) მიერ, სავარაუდოდ, დიდი ქართველი ხელმწიფის **დემეტრე პირველის** (1125-1156 წ.წ.) ქალიშვილის რუსუდანის ცოლად შერთვის ფაქტს აღწერს, იქ **ვასილი ტატიშჩევი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კიევის მთავრის მეუღლე იყო **ობეზებიდან, ანუ ქართველი პრინცესა** (იზ ობეზ ილი გრუზინსკაია კნიაჟნა).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი სომეხი ისტორიკოსის **უხტანესის** (935-1000 წ.წ.) უაღრესად საინტერესო ცნობა, სადაც იდეალურადაა განმარტებული, რომ **აფხაზეთი, ივერია** და **საქართველო** ერთი და იგივე ქვეყანაა, ხოლო **აფხაზი, ქართველი** და **ივერიელი** — ერთი და იგივე ხალხი... აი, ეს ცნობაც: ***„ივერიელი ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე. ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თითოეული გვარისა... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას ეძახიან, აქ კი ქართველნი ეწოდებათ!“***

ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი ზედმეტი კომენტარისა და, მით უმეტეს, ინსინუაციის ადგილი, რაც აფსუა ისტორიკოსებისთვის ასე დამახასიათებელია, არ არის!

ქუთაისის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში დღემდე ინახება იმერეთის სახელოვანი მეფის **სოლომონ პირველის** (1752-1784 წ.წ.) ზარბაზანი, რომელზეც ამოკვეთილია შემდეგი ტექსტი — ***„ჩვენ ყოვლისა საიმერეთოსა მეფე სოლომონ დავითიანი, ზუგდიდს რომ აფხაზთ, ჯიქთ და ალანთ შევებნით, მაშინ ღვთის შეწევნით ვძლიეთ ათორმეტათას კაცს და ეს ზარბაზანი მისი ჯაბახანით გაწყობილი თვით ჩემი ხელით ვიშოვნე და მოდინახეს ციხეს ვუძღვენი.“***

## ვასილი ტატიშჩევი: იზ ობეზ, ილი გრუზინსკაია კნიაჟნა!

საქვეყნოდ ცნობილია, რომ მოდინახეს ციხე მე-18 საუკუნის 30-იან წლებში გავლენიანმა იმერელმა ფეოდალმა **პაპუნა ქაიხოსროს ძე წერეთელმა** ააგო და იქიდან მოყოლებული, ვიდრე იმერეთის სამეფო რუსეთმა არ დაიპყრო, ამ ციხეს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა... ციხის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, შემთხვევით არ მომხდარა, რომ ბრძოლიდან სამხედრო ნადავლის სახის წამოღებული ორი დიდი ზარბაზანი **მეფე სოლომონმა** სწორედ მოდინახეს ციხეს უძღვნა.

საინტერესოა, მაინც რომელ ბრძოლას გულისხმობს ზარბაზანზე ამოგვირისტებულ წარწერაში იმერეთის გმირი მეფე და რატომ მოუწია მას ზუგდიდს ჩასვლა და აფხაზებთან, ჯიქებთან და ალან-ოსებთან შებრძოლება?

დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ აქ საუბარია რუხის ისტორიულ ბრძოლაზე, როცა 1779 წლის მიწურულს ზუგდიდსა და სოფელ რუხს შორის დიდი სისხლი დაიღვარა, რადგან ჩრდილოკავკასიელ გადამთიელებთან და, მათ შორის, ალანებთან ერთად, **სამეგრელოს სწორედ აფსუები და მათი ნათესავი ჯიქები შემოესივნენ.**



## სარგის კაკაბაძე: აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ!

ცნობილი ქართველი მეცნიერის **სარგის კაკაბაძის** განმარტებით, რუხის ბრძოლის წინ **„აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ“...**

დიდი ქართველი მეცნიერი, ცხადია, ამ შემთხვევაში არ ცდება, რადგან თურქეთი, ანუ ბრწყინვალე პორტა, როგორც მას საერთაშორისო ასპარეზზე მაშინ ოფიციალურად მოიხსენიებდნენ, ცოცხალი თავით ვერ ეგუებოდა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამამცირებელ შედეგებს, რომელიც 1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში გაფორმდა და დამტკიცდა. ამ ზავის 23-ე მუხლი შეეხო დასავლეთ საქართველოს. მართალია, ძლევამოსილმა რუსეთის იმპერიამ დასავლეთ საქართველოზე, ანუ იმერეთის სამეფოზე თურქეთის უფლებები ცნო, მაგრამ ეს ყველაფერი წმინდა წყლის ფორმალობა იყო, რადგან ხერხემალში გადამტვრეულ ბრწყინვალე პორტას არც იმერეთთან და არც ძლევამოსილ **მეფე ერეკლესთან** ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. თურქეთისთვის სილის გაწნის ტოლფასი იყო ის ფაქტი, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მას აეკრძალა იმერეთის სამეფოდან ქართველი გოგო-ბიჭების ხარკის სახით წაყვანა და ქრისტიანების დევნა. თურქეთმა ვერ შეძლო ვერც იმერეთის ციხეების დაკავება, სადაც **სოლომონ მეფის** მეციხოვნენი იდგნენ.

აი, ასეთ სამარცხვინო სიტუაციაში ჩავარდნილი **ბრწყინვალე პორტა,** რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მარცხს მარცხზე განიცდიდა, მისი ძველი ბრწყინვალებისგან, ფაქტობრივად, არაფერი იყო დარჩენილი და საქართველოს საშინაო საქმეებში ღიად ვერ ერეოდა, ნაცად ხერხს მიმართავდა და ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ წვრილფეხა მტრებს, ამ შემთხვევაში ჩრდილოკავკასიელებს, ამხედრებდა. სწორედ ამ ვერაგი პოლიტიკის გამოძახილი იყო რუხის ბრძოლაც, როცა ***„შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი და სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით...“***

„საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ საგანგებოდ არის მოტანილი ქართველი პოეტისა და დიპლომატის **ბესარიონ გაბაშვილის,** ანუ იმავე ბესიკის ერთი უაღრესად საინტერესო ცნობა, რომელიც სწორედ რუხის ბრძოლას ეხება. ბესიკის თანახმად, თურქთა მიერ მოწყობილ ამ ლაშქრობაში, თურმე, ექვს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე გადამთიელები მონაწილეობდნენ, მათ შორის, თვით ყირიმელი თათრები და ყივჩაღები, ანუ ბალყარელები.

სამეგრელოს მთავარმა **კაცია მეორე დადიანმა** (1758-1788 წ.წ.), რომელიც 1757 წლის 14 დეკემბრის ისტორიულ ღამეს ხრესილის ბრძოლაში **სოლომონ პირველის** გვერდით იდგა და ლომივით იბრძოდა, დახმარებისთვის იმერეთის მეფეს მიმართა. **სოლომონმა** არ დაახანა და იმერლებისა და გურულების გაერთიანებული ლაშქრით ზუგდიდსა და რუხის ციხესიმაგრეს შორის შემოსეულ მტერს ნამდვილი განკითხვის დღე მოუწყო. **„ექვს ენაზე მოლაპარაკე ლაშქარი“,** რომელიც საქართველოსგან არათუ აფხაზეთის, არამედ სამეგრელოს მოწყვეტასაც ისახავდა მიზნად, **მეფე სოლომონმა** და ოდიშის მთავარმა **კაცია მეორე დადიანმა** პირწმინდად გაანადგურეს და ხელთ უამრავი ტყვე და, მათ შორის, სამხედრო აღჭურვილობა და ტექნიკა იგდეს. სწორედ ამ ბრძოლიდან წამოიღო **სოლომონ მეფემ** ორი დიდი ზარბაზანი და ერთ-ერთზე ის წარწერა გააკეთებინა, რომლითაც წინამდებარე ამბის თხრობა დავიწყეთ.

1779 წლის მიწურულს გამართული რუხის ბრძოლა და **„ექვს ენაზე მოლაპარაკე“ გადამთიელთა ლაშქარი,** რომელიც აფსუების ხელმძღვანელობით თურქეთმა საქართველოს შემოუსია, ძალიან გვაგონებს 1992-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად თურქეთი რუსეთმა ჩაანაცვლა და საქართველოს გასანადგურებლად სწორედ მან შეკრიბა და შეაგულიანა **„ექვს ენაზე მოლაპარაკე ლაშქარი“** — აფსუები, ყაბარდოელები, ბალყარელები, ადიღეელები, ჩეჩნები, კაზაკები და საკუთრივ რუსეთის რეგულარული არმიის სამხედრო ნაწილები.

1779 წლის მიწურულს გამართული რუხის ბრძოლა არ იყო ორ ფეოდალს შორის ატეხილი ქიშპი, ეს იყო დიდი ხმალთაკვეთება საქართველოსთვის, როცა აფსუები დადგნენ საქართველოს ისტორიული მტრის — თურქეთის მხარეს და თავიანთ ჩრდილოკავკასიელ თვისტომებთან და ნათესავებთან ერთად შეეცადნენ, საქართველო სამაგალითოდ დაესაჯათ, რადგან იმერეთიდან ქართველი გოგო-ბიჭები სულთანს ტყვედ და ხარკად უკვე ვეღარ მიჰყავდა.

ასე რომ, **ელემენტარული განათლება და საქართველოს ისტორიის ზერელე ცოდნაც კი საკმარისი იყო იმის გამოსაცნობად, თუ რა შეიძლებოდა დამართნოდა საქართველოს 1992 წლის 14 აგვისტოს დამღუპველი გადაწყვეტილებით, როცა შევარდნაძემ აფხაზეთში ხუნტის ჯარი შეიყვანა და ქვეყანა საშინელი კატასტრო-**

> **ივერიელი ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე. ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება!**
>
> *მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი*

# „სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს, რომელსაც დღეს თურქები და ყაბარდოელები „აფხაზოს“-ს უწოდებენ, ჩვენი ძველები „ობეზებს“ ეძახდნენ. ახლა მის დიდ ნაწილს ყუბანელები შეადგენენ!“


# იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

imediclinic.com

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო


ფის წინაშე დააყენა.

რუხის ბრძოლა მხოლოდ **დადიანსა და შარვაშიძეს** შორის ატეხილი ვიწროფეოდალური ქიშპი რომ ყოფილიყო, **გმირთაგმირი სოლომონ** დიდი შესაძლოა, ამ ყველაფერში არც ჩარეულიყო, მაგრამ იმერეთის სახელოვანი მეფე, რომელიც ყველგან და ყველაფერში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს იცავდა, კარგად აცნობიერებდა, რომ მაშინ სამეგრელოში ერთიანი და დიდი საქართველოს ბედი წყდებოდა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ **სოლომონ პირველი** იმ ნაალაფარ ზარბაზანზე შესრულებულ წარწერაში **აფხაზებს, ანუ აფსუებს** მოიხსენიებს საქართველოს მტრების გვერდით... არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **აფხაზები** ტრადიციულად მიილტვიან თავიანთი ისტორიული ფესვებისკენ და ჟამითი ჟამად სწორედ იმ ხალხებთან ერთად ებრძვიან საქართველოს, რომლებთანაც თავიანთი ყოფა, ცხოვრება, კულტურა, ტრადიციები და ისტორიული მეხსიერება აერთიანებთ, თუ ასეთი რამ საერთოდ აქვთ!

**შარვაშიძეებად** გადანათლული აფსუა ფეოდალები, რომლებსაც რჯულიც შეცვლილი ჰქონდათ, პროთურქულ განწყობებს ყოველთვის ამჟღავნებდნენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი მუჰაჯირობისა, რომელმაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ განსაკუთრებული ტოტალური ხასიათი შეიძინა. თუ 1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომში აფსუები შედარებით თავშეკავებულად იქცეოდნენ და პირიქით, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი **მიხეილ შარვაშიძე,** ანუ იგივე **ჰამუთ-ბეი** პეტერ-

**თული ეკლესია-მონასტერი გადაწვეს და ნაცარტუტად აქციეს... სწორედ ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ** (1557-1578 წ.წ.) **აფხაზეთის კათალიკოზის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანა.**

სამეგრელოს ძლევამოსილი მთავარი **ლევან მეორე დადიანი** (1611-1657 წ.წ), რომელსაც თურქი მოგზაურისა და მწერლის **ევლია ჩელების** (1611-1682 წ.წ.) თქმით, ერთ დაძახილზე 30-ათასიანი კბილებამდე შეიარაღებული მეომრის გამოყვანა შეეძლო, აფსუების ურჯულოებით შეწუხებული გახლდათ. ერთ-ერთ საბუთში **ლევან მეორე** საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ***„...მას ჟამსა ულმერთოდ და უსჯულოებად მიიქციეს აფხაზნი... აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა!“***

**წარმართი და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული არაქართველები — აფსუები იყვნენ.** ამიტომაც შეხვდნენ აფსუები მე-11 საუკუნის ქართული არქიტექტურის მარგალიტის — ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის დამახინჯების ფაქტს დუმილით. საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსებმა ილორის ტაძარს რუსული ხახვისთავა გუმბათი დაადგეს და აფსუებს ამაზე კრინტი არ დაუძრავთ!

რატომ? იმიტომ, რომ ილორის მე-11 საუკუნის ქართული ტაძარი ააშენეს ქართველებმა და მასთან აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ აფსუებს, რომლებიც ჩვენ რატომღაც **აფხაზებად** გადავნათლეთ, არავითარი კულტურული და სულიერი კავშირი არა აქვთ!

რაც შეეხება იმ ტრაგიკულ პროცესს, რომელიც **მუჰაჯი-**



ლევან მეორე დადიანის ფრესკა ნალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში

## ლევან მეორე დადიანი: მას ჟამსა ულმერთოდ და უსჯულოებად მიიქციეს აფხაზნი... გარყუნეს სჯული!

ბურგის საიმპერატორო კარს ძალიან დაეხმარა რუსის ჯარის სამეგრელოდან გაყვანაში, **1877-1878 წლებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა და აფსუებმა პირდაპირ თურქეთის მხარე დაიჭირეს.**

ამ ყველაფერს ეთნიკურთან ერთად რელიგიური ფაქტორიც ახალისებდა. საქმე ის გახლავთ, რომ **ე.წ. აფხაზები,** ანუ სინამდვილეში ჩრდილოკავკასიელი აფსუები, რომლებიც მე-16 საუკუნის მიწურულიდან ნელ-ნელა და აგრესიულად მოიწევდნენ ჯერ აფხაზეთის მთიანეთისკენ და შემდეგ ბარისკენ, ძირითადად, წარმართები იყვნენ და მართლმადიდებელი ქრისტიანობის მიმართ ხშირად მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, თუ როგორ იყო განწყობილი ეს ველური და უკულტურო ხალხი ძველისძველი ქართული კულტურისა და, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ტაძრების მიმართ. ცნობილია, რომ აფსუებმა **აფხაზეთში არაერთი ქარ-**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსად, არცერთ ეპოქაში, თუ თამარის დროს ქართლის მთიანეთში მომხდარ ინციდენტსა და ულმერთო ბოლშევიკებს მხედველობაში არ მივიღებთ, ქართველ კაცს ქრისტიანობაზე უარი არ უთქვამს და ჯვარი, ხატი და ეკლესია ცეცხლისთვის არ მიუცია. **ისინი, ვინც აფხაზეთში „სჯული და კათალიკოზობა გარყუნეს“, აფხაზები კი არა,**

## ამიტომაც შეხვდნენ აფსუები მე-11 საუკუნის ქართული არქიტექტურის მარგალიტის — ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის დამახინჯების ფაქტს დუმილით!

**რობის** სახელით არის ცნობილი, ზოგიერთი აფსუა ვაი-მეცნიერი ამ ეროვნულ კატასტროფასაც კი ქართველებს აბრალებს, თუმცა, რა მოხდა სინამდვილეში და რა პოზიცია დაიჭირა ქართველობამ აფსუების თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში გადასახლების შესაჩერებლად, ამის შესახებ საგანგებოდ და დაწვრილებით მოგვიანებით მოგახსენებთ!

***დიტო ჩუბინიძე***



**თარაზულად:** 1. „შავი“ კონტინენტი; 5. ზეცა; 8. პატრონი, მესვეური; 10. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი; 11. საფინანსო ტერმინი; 12. იაპონური თეატრი; 13. ლატვიის ფული; 14. პირობითი ასოითი ნიშანი; 15. საფრანგეთის დედაქალაქი; 16. ევროპის სახელმწიფო; 18. მოსავადების ტექნიკა; 20. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა; 21. ფრანგული საიუველირო ფირმა; 22. მსახიობ ელიავას სახელი; 25. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 27. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 30. ერთ-ერთი ქიმიური პროცესი; 31. ინდოელი განმანათლებელი; 32. სუსტი არაყი; 34. საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი; 35. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი — აბრევიატურა; 36. წყლის რვაფეხა ცხოველი; 38. ჰოლანდიელი არაბისტი; 39. გერმანული მოდების ჟურნალი; 41. გაოცების შორისდებული (კუთხ.); 42. კრონოსის ცოლი; 43. ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა; 44. სოფელი ახმეტის რაიონში; 45. ვარსკვლავთა ჯგუფი; 46. რისამე გრაგნილი; 47. ჩრდილოეთი; 48. რუსი კომიკოსი მსახიობი; 51. მიმიკის მოშლა; 57. პლანეტა ვენერას ძვ. ქართ. სახელი; 58. ლატვიელი მომღერალი ქალი; 59. ღვინის ობი; 60. სამხრეთ-ამერიკული მაიმუნი; 64. რუსი სატირიკოსი მსახიობი; 68. კიევის ლეგენდარული დამაარსებელი; 69. ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 70. პირის ღრუს ზედა ნაწილი; 71. წყვილთა ცეკვა; 72. დედანი; 73. ფუჭი, უნაყოფო.

**შვეულად:** 2. სარკმელი; 3. ირანული ენების შემსწავლელი მეცნიერებები; 4. ფრანგი პოეტი; 5. ასი კილოგრამი; 6. ტროპიკული მცენარე; 7. სოფელი აჭარაში; 8. მცირე ზომის ლექსი; 9. დიონისეს მხლებელი; 17. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 19. მღვდლის სამოსის ნაწილი; 21. პოლონური ხალხური ცეკვა; 23. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 24. დამჟავებული ღვინო; 26. ძვ. სამკურნალო წიგნი; 28. პროგრესის გზა ცხოველური ორგანიზმების ევოლუციაში; 29. ქალაქი ინგლისში; 33. თვითმკვლელობის წესი სამურაებში; 36. სითბოს რაოდენობის ერთეული; 37. ძვირფასი საშენი მასალა; 40. დაბალი ხარისხის კონიაკი; 48. ინგლისური არაყი; 49. იგივეა, რაც სანთელი; 50. ინერტული გაზი; 52. ყელის სამკაული; 53. შალის ქსოვილი; 54. ომის ბერძნ. ღმერთი; 55. ვიგვამი; 56. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 60. მიწისქვეშა ტრანსპორტი; 61. მატარებლის სამოძრაო ძელი; 62. კათოლიკური ჯვარი; 63. ტბა აფრიკაში; 65. არგენტინელი ფეხბურთელი; 66. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 67. სია, ჩამონათვალი; 68. უფრთო ზელანდიური ფრინველი.

**კროსვორდის პასუხები**

*თარაზულად: 1. აფრიკა; 5. ცა; 8. ბოსი; 10. პრელუდია; 11. ინკასო; 12. ნო; 13. ლატი; 14. ლიტერი; 15. პარიზი; 16. ანდორა; 18. ნიელო; 20. ია; 21. კარტიე; 22. ლია; 25. რკინა; 27. ანაკლია; 30. რეაქცია; 31. რაი; 32. რახი; 34. ოტო; 35. ვია; 36. კიბო; 38. გუე; 39. ბურდა; 41. იმე; 42. რეა; 43. ლაზარე; 44. დიკლო; 45. კრებული; 46. რულონი; 47. ნორდი; 48. ვიცინი; 51. ამიმია; 57. ასპიროზი; 58. ვაიკულე; 59. პკე; 60. მირიკინი; 64. რაიკინი; 68. კიი; 69. ტალეირანი; 70. სასა; 71. ვალსი; 72. ორიგინალი; 73. ამაო.*

*შვეულად: 2. ფანჯარა; 3. ირანისტიკა; 4. აპოლინერი; 5. ცენტნერი; 6. ალოე; 7. ადლია; 8. ბალადა; 9. სატირი; 17. ნიადაგი; 19. ოლარი; 21. კრაკოვიაკი; 23. ლაციო; 24. ძმარი; 26. კარაბადინი; 28. აროგენეზი; 29. ლივერპული; 33. ხარაკირი; 36. კალორია; 37. ბაზალტი; 40. ბრენდი; 48. ვისკი; 49. ცვილი; 50. ნეონი; 52. მძივი; 53. მაუდი; 54. არესი; 55. ტიპი; 56. ივერი; 60. მეტრო; 61. რელსი; 62. კრიჟი; 63. ნიასა; 65. აიალა; 66. კასია; 67. ნუსხა. 68. კივი.*



# მიხეილ ცაგარელი:

# ზოდიაქოს ნიშნების რეიტინგი მათი შინაგანი ძალისა და სტრესის მიმართ მდგრადობის მიხედვით

*— სტრესის მიმართ მდგრადობის, შინაგანი ენერგიის და რთულ სიტუაციაში მოქმედების უნარის მიხედვით, ზოდიაქოს ნიშანთა შორის ვინ იკავებს პირველ ადგილს? ვის ძალუძს, მოქმედება განაგრძოს მაშინაც, როცა ყველა ფარ-ხმალს დაყრის? რომელ ზოდიაქოს ეხმარება დაუოკებელი აზარტი, ინტერესი და ცეცხლოვანი ტემპერამენტი მიზნის მისაღწევად ეჭვებისა და ყოყმანის გარეშე მოქმედებაში? ვის შეუძლია სხვებზე უკეთ სამოქმედო გეგმის შედგენა და დაუღალავად, მეთოდურად წინსვლა ანდა რომელ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელს ახასიათებს ჯერ ზედმიწევნით ყოველივეს გააზრება და მხოლოდ ამის შემდგომ მოქმედება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც საუბრისას აღნიშნეთ, ჩვენ საკმაოდ რთულ, დაძაბულ დროში გვიწევს ცხოვრება. არაერთ ფაქტორზე დამოკიდებული ვართ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ. წინაღობები, კონკურენცია, ინფორმაციული მრავალფეროვნება, თავისუფალი დროის უკმარისობა და შესაძლო აგრესიული გარემოც მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ყოველივე ამის მიმართ გამძლეობა და დაძლევის უნარი განსხვავებული აქვთ ადამიანებს. ასტროლოგიური თვალთახედვით ამ უნარებს რა განსაზღვრავს და რაზეა დამოკიდებული?**

— **ამჟამინდელ გარემო პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორია ადამიანის მდგრადობა, შინაგანი ენერგია და რთულ სიტუაციაში მოქმედების უნარი. ეს უნარები ამა თუ იმ ადამიანში განსხვავებულად გამოვლინდება.** ამასთან, თუ არსებულ რესურსს სწორად გამოიყენებ, შედეგიც უფრო უკეთესი იქნება. **აღნიშნული მახასიათებლები ზოდიაქოს ნიშნების** მიხედვით განვიხილოთ. ოღონდ ამჯერად დავალაგოთ ერთგვარი რეიტინგით, ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის მაჩვენებლების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, **პირველ ადგილს უდავოდ თხის რქა** (22 დეკემბერი — 19 იანვარი) **იკავებს, რომლის სიძლიერე უკავშირდება ცხოვრებისადმი რაციონალურ მიდგომას, ლოდინის, მოთმინების, სიტუაციისა და პირადი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასების უნარს.** მიწის სტიქიის ამ წარმომადგენელს ურჩევნია, სიტუაციას გვერდიდან დააკვირდეს, დაიცადოს და მოქმედება არ დაიწყოს მანამ, სანამ არ იგრძნობს, რომ დადგა საუკეთესო მომენტი რეალური შედეგის მისაღებად. **თხის რქამ** მშვენივრად იცის, რომ ელვისებურად წარმატების მიღწევა გაცილებით რთული და სარისკო ქმედებაა, ვიდრე მშვიდად, თანამიმდევრულად მუშაობა, როდესაც დადებითი შედეგი გარანტირებულია. ნიშანდობლივია ისიც, რომ **დიდძალი შინაგანი რესურსი მას საშუალებას აძლევს, მოქმედება განაგრძოს და არ გაჩერდეს მაშინაც კი, როცა ყველა დანარჩენი ფარ-ხმალს დაყრის. თხის რქას გააჩნია იმდენად დიდი და ძლიერი ენერგია, რომ, თუ მოინდომებს, ნებისმიერ სირთულეს რქებით დაეჯახება და გადალახავს, მაგრამ მას ურჩევნია მშვიდად, დაკვირვებით იმოქმედოს, რათა არც საკუთარ თავს და არც საქმეს არ ავნოს.**

**მეორე ადგილს ამ რეიტინგით ვერძი** (21 მარტი — 19 აპრილი) **იკავებს. ცეცხლის სტიქიის ამ წარმომადგენელს დაუოკებელი აზარტი და ინტერესი, გაწონასწორებული ემოციურობის ფონზე, ეხმარება ზედმეტი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე იმოქმედოს, წინ წაიწიოს და წარმატებას მიაღწიოს.** იგი სიამოვნებით ისახავს ახალ-ახალ მიზნებს და სრული სულისკვეთებით მისკენ სვლას იწყებს. **ვერძისთვის** ძალიან მნიშვნელოვანია დასახულის მიღწევა და ყველაფერში და ყველგან პირველობა. მას მიზნის მიღწევის და პირველობისთვის ბრძოლის პროცესი იმდენად იტაცებს, რომ ამ შეჯიბრის ძირითადი არსი ავიწყდება კიდეც. პერიოდულად კი იმდენად იმპულსურად მოქმედებს და ემოციების ზეგავლენით იმდენად ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ შეცდომებისა და წაგების გვერდის ავლა შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ენერგიულობა, ქარიზმატულობა და ცეცხლოვანი ტემპერამენტი ამ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლების ყველაზე უტყუარი მახასიათებელია.

**მესამე საპატიო ადგილს კი იკავებს კურო** (20 აპრილი — 20 მაისი). **მიწის სტიქიის ამ წარმომადგენელს სხვაზე უკეთ ძალუძს სამოქმედო გეგმის შედგენა.** ამავდროულად, როგორც წესი, მისი ცხოვრებისეული მიზანი მარტივად ჟღერს. **კუროს** სურს შინაგანი ჰარმონიის მიღწევა და მშვიდად, ბედნიერად ცხოვრება, მაგრამ ეს მარტივი არ გახლავთ, ამიტომაც თავისი მიზნის მისაღწევად იგი დაუღალავად და მეთოდურად წინ მიიწევს და სწორედ ეს არის **კუროს** ერთ-ერთი ძლიერი მაჩვენებელი. მას არ უყვარს, წონასწორობას აკარგვინებს და აშინებს ცვლილებები, ამიტომ, რაც არ უნდა მცდარი მიმართულებით მოქმედებდეს, ძნელად თანხმდება არჩეული კურსის შეცვლაზე. ამგვარად, ახალ საფეხურზე გადასვლა, ეს რასაც არ უნდა ეხებოდეს, მისთვის რთულია. შედეგად, სამსახურს საკუთარი ნებით, აუცილებლობის გარეშე არ იცვლის, მთელი სიცოცხლე ერთი და იგივე სტილით იმოსება. საყვარელ ადამიანთან დაცილების შემდეგაც კი შესაძლოა, ურთიერთობის თავიდან დაწყება დაუშვას. ამგვარი სტაბილურობა **კუროს** ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელთა უდავო სიძლიერეზე მიუთითებს.

**მე-4 საპატიო ადგილს დამსახურებულად იკავებს ღრიანკალი** (23 ოქტომბერი — 21 ნოემბერი). **ის საკმაოდ ძლიერია, თუმცა, ბუნებით იდუმალია. მას ფარული ცხოვრება უყვარს და ყველაზე მეტად საკუთარ თავზეა ორიენტირებული, ამიტომ სრულად იშვიათად ავლენს შესაძლებლობებს და ჭეშმარიტ სახეს.** წყლის სტიქიის ეს წარმომადგენელი ჯერ ზედმიწევნით ყველაფერს გაიაზრებს და მერე იღებს გადაწყვეტილებას. პირველობა უყვარს, მაგრამ არასოდეს არ ჩქარობს. ცდილობს, მოვლენებს არ გაუსწროს. ამ თვალსაზრისით, იგი **თხის რქას** გვაგონებს, რამეთუ ურჩევნია, ხელსაყრელ მომენტს დაელოდოს, რათა დანამდვილებით მიაღწიოს საწადელს. **ღრიანკალის გამძლეობა, ენერგიულობა, შრომისუნარიანობა და სტრესისადმი მდგრადობა მაღალია,** თუმცა, ამის გარეშე ვერც იარსებებდა, რადგან იგი საკუთარი თავის უკეთ შეცნობისათვის მუდმივად საკუთარ თავს შიგნიდან ღრღნის.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 11-17 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პროფესიონალური დონის დამტკიცების სურვილი შესაძლოა კამათის თემად იქცეს. თუ რამე სწრაფად არ გამოგივათ, ნუ იჩქარებთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრი და მოუსმინეთ ინტუიციას. გარშემო მყოფები პატივს გცემენ საიმედობის, კეთილსინდისიერებისა და შრომისმოყვარეობის გამო. მოგზაურობა უმჯობესია მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ან ოჯახის წევრებთან ერთად, ოღონდ გაითვალისწინეთ მათი სურვილებიც, რათა არ იკამათოთ.

**კურო** (21.04-20.05)
ერთგულება და ვალდებულების გრძნობა, მიზანდასახულობა და ქცევის ნორმების დაცვა დაგეხმარებათ არსებული ბარიერების დაძლევაში. მოგზაურობა თქვენს ცხოვრებას მრავალფეროვნებას შემატებს. შესაძლოა, მოისურვოთ იმიჯის, ცხოვრებისა და ურთიერთობის სტილის შეცვლა. ოჯახში და სასიყვარულო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენები და მოულოდნელი ცვლილებები შინაგან დაძაბულობას შეგიქმნით, თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პირადი ინტერესების დასაცავად შესაძლოა, გამოიყენოთ ფარული დიპლომატია. უსმინეთ ინტუიციას, რათა გაუმკლავდეთ კონკურენტებსა თუ მოწინააღმდეგეებს. ფინანსურ საკითხებში მეტად პრაგმატულად იაზროვნეთ. ახალი საქმიანობა კი მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. ამ პერიოდში ადვილია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების მშვიდად მოგვარება. მოგზაურობისას ზედმეტად ნუ ენდობით უცნობებს და მოერიდეთ საეჭვო ადგილებს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ბევრ ყურადღებას მოითხოვს როგორც საქმიანი, ისე საოჯახო პარტნიორული ურთიერთობები, სადაც მოგიწევთ დაამტკიცოთ თქვენი პოზიციების მართებულობა. შემოსავლის მიღება დამოკიდებული იქნება დიდ ძალისხმევასა და საქმიან აქტიურობაზე. პროფესიონალურ სარბიელზე კი ჯობს, რთული საქმეები დამოუკიდებლად არ შეასრულოთ. არსებობს კარიერაში წინსვლის დიდი ალბათობა. სასიყვარულო შეხვედრები და ურთიერთობები სიამოვნებას მოგიტანთ და თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ოჯახსა და პირად ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები მთელ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს და მოგაცდენთ პროფესიონალური საქმეებისაგან. მაღალი ენერგომაჩვენებლების მიუხედავად, ეცადეთ, არ გადაღალოთ ორგანიზმი ზედმეტი შრომითა და ფიქრით. პირად ურთიერთობებში რაც მეტად უპრეტენზიო იქნებით, მით მეტ სიყვარულსა და მხარდაჭერას მიიღებთ. სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ეცადეთ, არ ეკონფლიქტოთ გარშემო მყოფებს და მინიმუმამდე შეამციროთ კონტაქტები.

**ქალწული** (24.08-23.09)
თავს ენერგიულად იგრძნობთ და გაგიჩნდებათ ინტერესი პოლიტიკის, ისტორიისა და კულტურის მიმართ, რაც უამრავ ახალ იდეასა და გეგმას ჩამოგიყალიბებთ, თუმცა, მათ განსახორციელებლად მარტო ნუ იმოქმედებთ და საჭიროების შემთხვევაში დახმარება სთხოვეთ უახლოეს მეგობრებს. სახლის საქმეები და მოვალეობები დამღლელი მოგეჩვენებათ, რაც შეიძლება მეუღლესთან კამათის მიზეზი გახდეს. მოერიდეთ პრეტენზიების წაყენებას, რათა კრიტიკა არ დაიმსახუროთ. ახლო მოგზაურობა და ბუნებასთან კონტაქტი სულიერ წონასწორობას აღგიდგენთ.

11-17 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მოვლენების მოულოდნელი განვითარების შემთხვევაში არ აჩქარდეთ და ეცადეთ, არ დაუშვათ შეცდომები, რომლებსაც ვეღარ გამოასწორებთ. ნურაფერზე ნუ ინერვიულებთ, რათა ამან ჯანმრთელობის გაუარესება არ გამოიწვიოს. მოერიდეთ სასიყვარულო ურთიერთობების ჩახლართვას და ნუ ეცდებით ფარულად მოქმედებას, რადგან უსიამოვნებები საგრძნობლად გააუარესებს თქვენს არსებულ მდგომარეობას. ახლო მოგზაურობა და დამატებითი განათლების მიღება მომავლის კარს გაგიხსნით.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ხელმძღვანელი პირების კეთილგანწყობა დადებითად აისახება თქვენს საქმეებსა და შემოსავალზე. კოლეგებთან ჰარმონიული ურთიერთობა კი თქვენს მდგომარეობას კიდევ უფრო გაამყარებს. გაიზრდება თქვენი რისკისა და ავანტიურებისადმი ლტოლვა. ბედნიერი შემთხვევა კი ახალ სასიყვარულო კავშირს ან ახალ მომგებიან წინადადებას შემოგთავაზებთ. მოიმატებს საჩუქრებისა და სიურპრიზების რაოდენობა. კარგი დროა ვარჯიშისა და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
გაიზრდება მოქმედებების სურვილი, თუმცა, არაა გამორიცხული გარშემო მყოფებთან დაპირისპირება. საქმიანი კავშირების დამყარებისას გააზრებულად გააკეთეთ არჩევანი. გაგაღიზიანებენ უფროსი თაობის ადამიანები, ამიტომ ეცადეთ, არ იკამათოთ მათთან. თქვენს ფსიქიკასა და სულიერ მდგომარეობას დადებითად წაადგება ეზოთერული და რელიგიური საკითხების ახლებურად გააზრება. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა დამყარდება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
გაზრდილი მომხიბვლელობა დაგეხმარებათ უცხო ადამიანებთან ურთიერთობასა და საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. საწადელის სწრაფად მიღების სურვილმა შესაძლოა, განაპირობოს შეცდომები. შესაძლოა, მოგიწიოთ საქმიანი შეხვედრების გამართვა ან ხელშეკრულების დადება. მოერიდეთ თქვენი შემოსავლების აფიშირებას. გადაადგილებები და შეხვედრები თქვენი გავლენის სფეროს გაზრდის, თუმცა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობა შესაძლოა, მალევე დასრულდეს.

**მერწყული** (20.01-18.02)
ბევრ ხალხთან ურთიერთობა დამღლელი იქნება, ხოლო მოგზაურობა შედეგს ვერ გამოიღებს. ჩანაფიქრის ასასრულებლად ფინანსები არ გეყოფათ და მოგიწევთ დაიხმაროთ თანამოაზრეები და დაამყაროთ ახალი პარტნიორული კავშირები. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში დროულად გაარკვიეთ გაუგებრობები და დააყენეთ თქვენი მოთხოვნები. ხშირად დაისვენეთ, რათა დაღლილობამ თავის ტკივილი და ავადმყოფობა არ გამოიწვიოს.

**თევზები** (19.02-20.03)
რთულ სიტუაციაში ადვილად გამოავლენთ შემოქმედებით პოტენციალს, განჭვრეტთ მომავალ მოვლენებს და შეძლებთ გარშემო მყოფებზე გავლენის მოხდენასა და ავტორიტეტის გამყარებას. გამოიყენეთ მომხიბვლელობა, დიპლომატურობა და მჭევრმეტყველება, რათა წინ წაიწიოთ კარიერაში და პირად ცხოვრებაში. ახალ საქმეებს ჯერ ნუ დაიწყებთ, ჯობს, დაასრულოთ ძველი პროექტები. სასიყვარულო სფეროში არსებობს უთანხმოების ალბათობა. ეს კარგი დროა დასვენებისთვისაც.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

### 12, 13, 15, 16, და 17 ნოემბერი

### 16 ნოემბერი – სავსემთვარეობა

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 11 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.46 საათზე, ჩადის 16.44 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 14.19 საათზე, ჩადის 12 ნოემბერს 00.55 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 16.08 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **თხის რქის** ზოდიაქოში (7 დეკემბრამდე), რაც ურთიერთობისას გააძლიერებს პასუხისმგებლობას, მოთმინებას, ორგანიზებულობას და სიჯიუტესაც. ეს პერიოდი მეტ შემოსავალს უქადის ხელმძღვანელებსა და ცნობილ ადამიანებს. ასევე იმატებს პრემიების, ბონუსების ალბათობა. კარგია კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში. დღეს არ არის სასურველი ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა. კარგი დღეა საოჯახო საქმეებისთვის, ქველმოქმედებისთვის, რეცხვისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, რეკლამირებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 12 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.47 საათზე, ჩადის 16.43 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.19) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 14.42 საათზე, ჩადის 13 ნოემბერს 02.10 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.15 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.14 საათიდან 10.25 საათამდე. **გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი. ტენდენციები:** დღეს გააკონტროლეთ ემოციები, აზრები. ურთიერთობისას მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. ფიზიკურ-ემოციურად ნუ გადაიღლებით. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, პლასტიკური ოპერაციის ჩატარება, სულსწრაფობა, კამათი, სტომატოლოგიური პროცედურები. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის, თირკმლების, სისხლძარღვების მკურნალობა. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, თვალები, ცხვირი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ბრილიანტი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 16.42 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 15.00 საათზე, ჩადის 14 ნოემბერს 03.27 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 16.22 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებით დააკვირდით მოვლენათა მსვლელობას. ურთიერთობისას მეტი ტაქტიანობა გმართებთ. შესაძლებელია ბრძნული რჩევებისა და საიდუმლო ცოდნის მიღება. დაიმახსოვრეთ სიზმარი, მას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქვს. კარგი დღეა აქტიური ქმედებებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სპორტული ნაწარმის შესაძენად. ეფექტური იქნება ყელის, კანის, თირკმლების, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. თვალებს ნუ გადაღლით. არ არის სასურველი სულსწრაფობა, კამათი, აგრესიულობის გამოვლენა და წესების დარღვევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძოწი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 14 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.49 საათზე, ჩადის 16.41 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.53) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 15.33 საათზე, ჩადის 15 ნოემბერს 04.46 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.31 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.51 საათიდან 11.00 საათამდე. **ტენდენციები:** უნდა განასხვავოთ ესა თუ ის მოწოდება, რამდენად შეგიწყობთ ხელს სულიერ ზრდაში. ეფექტური იქნება შარდსასქესო სისტემის მკურნალობა და სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. კარგი დღეა კეთილი საქმის დასაწყებად, უნარების ასათვისებლად, ინფორმაციის მოსაძიებლად, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ცივი სასმელების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.

## 15 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.50 საათზე, ჩადის 16.40 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 16.04 საათზე, ჩადის 16 ნოემბერს 06.08 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.44 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან დიდი კოსმოსური მასწავლებელი პლანეტა სატურნი დირექტიული ხდება. ხვალიდან უკვე გაადვილდება კარიერული აღმასვლა, ახალი კანონების მიღება-რეალიზაცია, მშენებლობა, მავნე ჩვევისგან გათავისუფლება, ხელმძღვანელთან კონტაქტი. მოიმატებს შეუპოვრობა. დღეს კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ცივი სასმელების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, სიჯიუტის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 16 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 16.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.01) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 16.43 საათზე, ჩადის 17 ნოემბერს 07.30 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 17.04 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 01.30 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა. მაღალია კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, ეჭვიანობის, განაწყენების, სარკაზმის ალბათობა. პროვოკაციას არ აჰყვეთ. აკონტროლეთ აზრები, სიტყვები, ემოციები. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. საიდუმლოს ნუ გათქვამთ. დღე მშვიდად გაატარეთ. ილოცეთ და ყველა დალოცეთ! სასიკეთოა მიტევება, ინფორმაცია შეამოწმეთ. მაღალია ჭორების, დაცინვის, ინტრიგების, ქურდობის და ასევე მოვლენათა უეცარი ცვლილებების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, გიშერი, აკვამარინი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 17 ნოემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 16.39 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 17.32 საათზე, ჩადის 18 ნოემბერს 08.49 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 17.39 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხელი შეეწყობა სულიერი ცოდნის დაგროვებას, სამყაროს კანონთა შემეცნებას, ურთიერთობისას იმატებს ტყუილის, ილუზიის, გადაუწყვეტლობის ალბათობა. სუნთქვა გაძნელებულია, უჰაერო სივრცეს მოერიდეთ. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, საკომუნიკაციო აპარატების, კომპიუტერის, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ინფორმაციით გადატვირთვა, ახალი საქმის დაწყება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ჰიაცინტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.






# საეკლესიო კალენდარი

✝ **11 ნოემბერი. ორშაბათი.** ღირსისა სერაპიონ ზარზმელისა; ღირსმოწამისა ანასტასია რომაელისა; ღირსისა აბრაამ დაყუდებულისადახშულისა და ნეტარისა მარიამისა, ძმისწულისა მისისა; მოწამეთა: კლავდისა, ასტერისა, ნეონისა და დისა მათისა თეონილასი; ღირსისა ანასი.

✝ **12 ნოემბერი. სამშაბათი.** მოწამისა იოთამისა, მეფისათვის თავდადებულისა; მღვდელმოწამისა ზინობისა, ეგეას ეპისკოპოსისა და დისა მისისა მოწამისა ზინობიასი; მოციქულთა: ტერტისა, მარკოზისა, იუსტისა და არტემისა, 70-თაგანთა; მღვდელმოწამისა მარკიანესი, სიცილიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ევტროპიასი; მოწამისა ანასტასია თესალონიკელისა.

✝ **13 ნოემბერი. ოთხშაბათი. წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა;** მოციქულთა: სტაქოსისა, ამპლიოსისა, ურბანიოსისა, ნარკისისა, აპელიოსისა და არისტობულესი, 70-თაგანთა; მოწამისა ეპიმაქესი; ღირსისა მავრასი.

✝ **14 ნოემბერი. ხუთშაბათი. უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კოზმა და დამიანე აზიელთა და დედისა მათისა ღირსისა თეოდოტიასი;** მღვდელმოწამეთა იოანე ეპისკოპოსისა და იაკობ ხუცისა, სპარსეთს წამებულთა; მოწამეთა: კვირიენასი და იულიანასი; მოწამისა ერმინინგელდისა, გუთების უფლისწულისა; მოწამეთა: კესარისა, დასისა და 5-თა მათთანა.

✝ **15 ნოემბერი. პარასკევი.** მოწამეთა: აკვინდინესი, პიგასისა, აფთონისა, ელპიდიფორესი, ანემპოდისტესი და მათთანათა; ღირსისა მარკიანე კვირინელისა.

✝ **16 ნოემბერი. შაბათი. ღირსისა ნიკოლოზისა, ქართველთა მნათობისა, აკოლოთიათა აღმწერელისა;** დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლება ლუდიასა შინა, სადა მდებარე არს პატიოსანი გვამი მისი; მოწამეთა: აკეფსიმე ეპისკოპოსისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკონისა; მოწამე მხედართა: ატიკესი, აღაპისა, ევდოქსისა, კატერისა, ისტუკარისა, პაქტოვისა, ნიქტოპოლიონისა და მოყვასთა მათთა; ღირსისა აკეფსიმესი; მართლისა სნანდულიასი.

✝ **17 ნოემბერი. კვირა. წმიდათა და მართალთა ქრისტეს საფლავის მცველთა: იოანე, სტეფანე და ესაია ქართველთა;** ღირსისა იოანიკე დიდისა; მღვდელმოწამეთა ნიკანდრესი, მირონელი ეპისკოპოსისა და ერმე ხუცისა.









## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ცირკონი; 7. შოშია; 12. მაუზერი; 13. დროგი; 14. ცინდალი; 15. ძუნწი; 16. ჯეოსელი; 17. პრიმა; 18. არომატი; 22. ნიავი; 23. ვაზარი; 25. ფლორინი; 26. პირიქითა; 30. დიკენსი; 32. სენეგალი; 33. ზიკურათი; 34. მორტირა; 36. სიფილისი; 40. გალიცია; 44. სერია; 46. ქირომანტი; 47. ლარინგიტი; 48. სამბო; 49. ამერიკაში; 53. ბანდეროლი; 56. ირა; 58. გრავიტაცია; 61. ფილიპიკა; 63. სუფრა; 64. მაკულატურა; 65. პანაცეა.

შვეულად: 1. ცაცია; 2. რონდო; 3. ოსამა; 4. იმიჯი; 5. სუროგატი; 6. სენეკა; 7. შიძინი; 8. შანდალი; 9. ადიპინი; 10. მოციონი; 11. პირანია; 19. რელიეფი; 20. მორიელი; 21. ტანტალი; 24. რენდი; 26. პიზა; 27. როკვა; 28. ქურქი; 29. თეთრი; 30. დიმი; 31. კირხე; 35. რეალობა; 36. სექტა; 37. ფორტე; 38. ლამბი; 39. სანტა; 40. გარანტი; 41. ლონგე; 42. ცქიტო; 43. აშიკი; 44. სისინი; 45. რუმბი; 50. მერია; 51. რევიუ; 52. კიტია; 54. რუპია; 55. ლაკმე; 57. რაფი; 59. ცრუ; 60. ასა; 61. ფა; 62. ლია.

გალავანილიანგინაპალმირატომარაგვიანტრელაჟი
ვენახისტივენდეტალიპომადავარიანტიგონებადია

| ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი | ერთად თავშეყრილი ხალხი | ლაბისებრი საწყავი პროდუქტი | რისთვის? | მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში | კლოუნის კომედიური სცენა | ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი კონცერტი | ტროპიკული მცენარე | ხახის ლორწოვანი გარსის ანთება | სანკტ-პეტერბურგის პოეტური სახელი | ქსოვილისგან შეკერილი სათავსი | ადრეს ანტონიმი | სამკარედი სარკე |



თარაზულად: 1. მინერალი, ცირკონიუმის სილიკატი; 7. მომცრო მგალობელი ჩიტი; 12. ავტომატური პისტოლეტის სახეობა; 13. ოთხთვალა უძირო საზიდარი, ფორანი; 14. კნუტი; 15. გ. ერისთავის პიესა; 16. მობილური კავშირის კომპანია; 17. წამყვანი ბალერინა; 18. კეთილსურნელება; 22. სიო; 23. ქულა ძიუდოში; 25. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 26. პირიქით მდებარე რამ; 30. ინგლისელი მწერალი; 32. აფრიკის სახელმწიფო; 33. საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი ძველ მესოპოტამიაში; 34. მოკლეღულიანი ქვემეხი; 36. ვენერიული დაავადება; 40. დასავლეთ უკრაინის ნაწილის ძველი სახელი; 44. დიდი ფილმის ნაწილი; 46. ხელისგულის ხაზებზე მკითხავი; 47. ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება; 48. ჭიდაობის სახეობა; 49. ფილმი „ერთხელ ...“; 53. საფოსტო გზავნილი; 56. ირლანდიის არმია; 58. დედამიწის მსოფლიო მიზიდულობა; 61. მკაცრი გამოსვლა ვისამე წინააღმდეგ; 63. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი; 64. უვარგისი ქაღალდი; 65. ყველა სენის სარგო წამალი.

შვეულად: 1. ადამიანი, რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენის ნაცვლად; 2. მუსიკალური ფორმა; 3. ტერორისტი ... ბინ ლადენი; 4. ვისიმე პრესტიჟი, სახე; 5. რისამე შემცველი, რომელსაც ნამდვილი საგნის ზოგიერთი თვისება აქვს; 6. რომაელი ფილოსოფოსი, დრამატურგი; 7. ჩინური ძეგლი — „სიმღერათა კრებული“; 8. დიდი სასანთლე; 9. ანტიჰიპერტენზიული პრეპარატი; 10. სიარული, სეირნობა დასვენების მიზნით; 11. პატარა მტაცებელი თევზი; 19. სხვადასხვა უსწორმასწორობის ერთობლიობა დედამიწაზე; 20. ზოდიაქოს ნიშანი; 21. იგივეა, რაც წანწალი; 24. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალუტა; 26. დახრილი კოშკის ქალაქი იტალიაში; 27. ცეკვა; 28. ზამთრის ბეწვეულის ჩასაცმელი; 29. თოვლის ფერი; 30. სოფელი იმერეთის რაიონში; 31. ლუთერანული ეკლესია; 35. სინამდვილე, ჭეშმარიტება; 36. გაბატონებული ეკლესიისგან განდგომილი ჯგუფი; 37. ხმამაღლა (მუს.); 38. იგივეა, რაც ბლანდი; 39. საშობაო თოვლის პაპა ამერიკაში — ... კლაუსი; 40. თავდები; 41. ბერძენი მწერალი; 42. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა; 43. იგივეა, რაც არშიყი; 44. გველის ხმიანობა; 45. ძროხის ტყავის დიდი ტიკი; 50. მუნიციპალიტეტი; 51. საესტრადო წარმოდგენა; 52. ესტრადის მომღერალი დორიან ...; 54. ინდოეთის ფულის ერთეული; 55. დელიბის ოპერა; 57. მანქანის ტიპი; 59. მატყუარა; 60. შეძახილი ქართული ცეკვისას; 61. მე-4 ნოტი; 62. მსახიობ ელიავას სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ვაზის ბაღი | რეჟისორი ... სპილბერგი | მექანიზმის, მანქანის ნაწილი | ტუჩის საცხი | რისამე ნაირსახეობა | ჭკუა | იუპიტერის ძვ. ქართ. სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრიის დედაქალაქი | ხეშეში, ხამი | სისხლის აღების ადათი კორსიკაზე | ცხიმოვანა | ნესტან-დარეჯანის მამიდა | ოიდიპოს მეფის ქალიშვილი | ქუსლიანი დიდი ჯამი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 11 – 17 ნოემბერი №47 (1565)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol